სტაბილურობას განაპირობებს სისტემა და არა - პიროვნება A2

დროშები ჩქარა! A8

გულახდილად B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 10 იანვარი, 2004 წელი. №7 (556)

ფასი 50 თეთრი

## ღია წერილი მასმედიას

სტუდენტი-ახალგაზრდობა, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, აღშფოთებას გამოთქვამს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ახალგაზრდების უკანონოდ დაკავების ფაქტის გამო, შეთითხნილი ბრალითა და ცრუ ინფორმაციის საფუძველზე. თითქოსდა მათი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულ იქნა ნარკოტიკული ნივთიერებები და ასაფეთქებელი მასალა, რაც მიუღებელი და ყოვლად დაუჯერებელია საზოგადოებისათვის.

ჩვენ მოვითხოვთ შესაბამისი ორგანოების მხრიდან აღნიშნული ფაქტის ობიექტურ შეფასებას და რეაგირებას.

*ბათუმელი სტუდენტები*

## ცენტრალური ხელისუფლება მკვეთრ განცხადებებს ერიდება

ცენტრალური ხელისუფლება ამ ეტაპზე აჭარის ავტონომიის მისამართით მკვეთრ განცხადებებს ერიდება, რადგან, როგორც ჩანს, ავტონომიის ხელმძღვანელობასთან წინასაარჩევნოდ ურთიერთობის გაფუჭებას უფრთხის. ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ "კმარელების" დაკავებასთან დაკავშირებული საკითხი აჭარაშივე სამართლიანად გადაწყდება. მოქმედი პრეზიდენტი არ მალავს, რომ ახალი ხელისუფლებისთვის მთელ საქართველოში სტაბილური და კონსტრუქციული ვითარების შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია. ამავე დროს, მისი შეფასებით, **"ქვეყანაში საკუთარი აზრის გამოთქმა არავის უნდა შეეზღუდოს"**. ბურჯანაძემ საკმაოდ დელიკატურად უპასუხა ასლან აბაშიძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ "კმარას" აქტივისტების დაპატიმრების შესახებ მან წინასწარ ჩააყენა საქმის კურსში ახალი ხელისუფლების სამივე წარმომადგენელი: მოქმედმა პრეზიდენტმა ასლან აბაშიძესთან ტელეფონით საუბარი არ უარყო და აღნიშნა, რომ საუბრისას აჭარის ლიდერმა "კმარელების" გააქტიურებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა. თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძემ აბაშიძეს იმის გარკვევა ურჩია, "თუ რა არგუმენტებით დააკავეს "კმარას" წევრები. **"თუ "კმარელები" დაკავებულები არიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ საკუთარი აზრი გამოხატეს, ჩვენ ამას ვერ შევეგუებით, მაგრამ თუ არსებობს მათ მიმართ რაიმე კონკრეტული ბრალდებები, ეს არგუმენტირებული უნდა იყოს"**, - ასე უპასუხია აბაშიძისათვის ბურჯანაძეს.

*24 საათი*

### პოლიტიკა

## კარგი ჯარისკაცი ცუდი მეთაურის ხელში უმაქნისია

საქართველო პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა გახდა, სადაც სამხედრო უწყების რესტრუქტურიზების პროცესს კერძო კომპანია "კიუბიკი" უხელმძღვანელებს. გადამდგარმა ამერიკელმა ოფიცრებმა შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფში პირველი შეფასებითი სამუშაოები უკვე ჩაატარეს.

A2

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 3 | |
| ქუთაისი | 5 | |
| ბათუმი | 7 | |
| სოხუმი | 4 | |
| ფოთი | 6 | |
| თელავი | 1 | |
| ზუგდიდი | 5 | |
| გორი | 0 | |
| ახმეტა | 1 | |
| ქიათურა | 1 | |
| გაგრა | 2 | |
| სამტრედია | 6 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1100 |
| ევრო | 2.6615 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7602 |
| რუბლი | 0.0716 |

# 28 მარტი და ერთიანი სია

ლელა მჭედლიძე

*რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები 28 მარტს ჩატარდება. ეს იმ კომპრომისის მაქსიმუმია, რაზეც წავიდა ხელისუფლება ოპოზიციურ პარტიებთან.*

**"თავდაპირველად, ჩვენ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების, 25 იანვარს, ერთად ჩატარება გვინდოდა. ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან მოლაპარაკების შემდეგ, 7 მარტისათვის გადადებას ვვარაუდობდით. საბოლოოდ კი, იმისათვის, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რესურსები მოიძიონ, 28 მარტზე შევთანხმდით. არჩევნების კიდევ რამდენიმე თვით გადადება პარლამენტის ქმედითუნარიანობის დაქვეითებას გამოიწვევდა,"** - ასე განმარტა მოქმედმა პრეზიდენტმა საპარლამენტო არჩევნების ვადასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. ნინო ბურჯანაძის შეფასებით, მომავალი არჩევნები კიდევ ერთი დასტური უნდა იყოს იმისა, რომ **"ქართველ ხალხს, გამარჯვების მოპოვების გარდა, მისი შენარჩუნებაც შეუძლია."**

გუშინ ნინო ბურჯანაძემ "წარმოუდგენელი მოვლენა", ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობის ვიზიტი უწოდა მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციისათვის აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის თბილისში ჩამოსვლას. ინაუგურაციაზე უსაფრთხოების საგანგებო ზომებს სახელმწიფო დაცვის სამსახური უზრუნველყოფს. ბურჯანაძე აღიარებს, რომ დღეისათვის ამ სამსახურს მართლაც დიდი სამუშაო აწევს **"ყოფილი, მოქმედი და მომავალი პრეზიდენტების დაცვის სახით."**

გაგრძელება A2 გვერდზე



*ნინო ბურჯანაძე საპარლამენტო არჩევნების თარიღს ასახელებს.*

# „ერთპარტიული პარლამენტი ქვეყანას არ სჭირდება"

ასეთია არასამთავრობოთა პოზიცია

*ცენტრალური საარჩევნო კომისია, ფაქტობრივად, მზად არის საპარლამენტო არჩევნების ორგანიზებისთვის. როგორც ცესკო-ში აცხადებენ, ამ მხრივ საარჩევნო ადმინისტრაციებში პრობლემები არ შეიქმნება, თუმცა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი აღიარებს, რომ საჭირო იყო ორგანიზაციული და პოლიტიკური საკითხების შეჯერება და მხოლოდ ამის შემდეგ - არჩევნების თარიღის განსაზღვრა. "ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ქვეყანამ სრულფასოვანი და ქმედითუნარიანი პარლამენტი აირჩიოს, ხოლო პოლიტიკურმა სპექტრმა მომზადება მოასწროს," – აცხადებენ ცესკო-ში.*

თამარ ასათიანი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურისტები არ იზიარებენ პარლამენტარების - ვახტანგ ხმალაძისა და ზაქარია ქუცნაშვილის სამართლებრივ შეფასებას, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ხელახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის უფლება არა აქვს. ცესკო-ს იურიდიული სამსახურის ინფორმაციით, არჩევნების დანიშვნით ნინო ბურჯანაძეს ქვეყნის კანონმდებლობა და კონსტიტუცია არ დაურღვევია, რადგან, საარჩევნო კოდექსის თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში, არჩევნების დანიშვნის თაობაზე ცესკო ოფიციალურად მიმართავს პრეზიდენტს (იგულისხმება განმეორებითი, ხელახალი და შუალედური არჩევნები), ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი ეს უკვე გააკეთა, როდესაც შესაბამისი დადგენილება მიიღო.

იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების თარიღის დანიშვნასთან დაკავშირებით სამართლებრივი შინაარსის პრეტენზია ცესკო-ში ოფიციალური სახით შევა, ცესკო-ს თავმჯდომარე მასზე რეაგირებას აუცილებლად მოახდენს.

რაც შეეხება ამომრჩეველთა ერთიან სიებს: ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, დაიწყება ხელნაწერი სიების კომპიუტერიზება და, სათანადო ბაზის შექმნის შემდეგ, იგი ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო სექტორისათვის. ამასთან ერთად, მონაცემები შეივსება და შესწორდება.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსაც მიაჩნიათ, რომ მომავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ორგანიზებაში, ტექნიკური თვალსაზრისით, პრობლემები

გაგრძელება A2 გვერდზე

# სამხატვრო აკადემიის ახალი რექტორი

ნინო ჭანიშვილი

*"სისტემა ხავსს ებღაუჭება";*
*"ვარდების რევოლუციის დროებითი მარცხი აკადემიაში";*
*"საბჭოს უკანასკნელი ცდუნება";*
*"რეფორმა გადაიდო";*
*"გია ბუღაძე – მითი თუ რეალობა;"*
*"წითელი მაგია" - ამ შინაარსის პლაკატები სამხატვრო აკადემიის ფასადზე მაშინ იყო გამოკრული, როცა აკადემიის შენობაში რექტორის კენჭისყრა მიმდინარეობდა. სტუდენტური ფორუმის მიერ გამოკიდებულ პლაკატებს აკადემიის უკვე ახალი რექტორი ჩამოხსნის და მათ საგულდაგულოდ შეინახავს მოსაგონრად.*

გუშინ სამხატვრო აკადემიის არჩევნებზე სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭოს 57 წევრი გამოცხადდა, რომელთაგან 50 ადამიანმა რექტორობის ერთადერთ კანდიდატს გია ბუღაძეს მისცა ხმა.

გაგრძელება B2 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## ოპოზიცია სერიოზული კოალიციის შექმნას აპირებს

ვერიკო თევზაძე

*ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნების წინ გაერთიანებას გეგმავს. საქართველოში არსებული მემარჯვენე ძალები მხოლოდ მოკლევადიან გაერთიანებაზე როდი ფიქრობენ. კოალიცია "ედპ-ტრადიციონალისტთა კავშირი", რომელიც იდეურად მონათესავე რამდენიმე პარტიასთან კონსულტაციებს აწარმოებს, ყველა მემარჯვენე ორიენტაციის მქონე ძალას გაერთიანებისკენ მოუწოდებს.*

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ტრადიციონალისტთა კავშირის კოალიციას ბარიერის გადალახვაში ეჭვი არ ეპარება, თუმცა სხვა მემარჯვენე ძალების შემოერთებას სასურველად მიიჩნევს, ვინაიდან ეს მის **"პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის."** კოალიცია კონსულტაციებს მართავს "მრეწველებთან" და "მემარჯვენეებთან". ჯერჯერობით, გაერთიანებაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც, "ტრადიციონალისტებიც" და "ახლებიც" იმედოვნებენ, რომ გაერთიანება შედგება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ბარიერთან!

გიორგი ასანიშვილი

ქართული პოლიტიკური სპექტრი "ვარდების რევოლუციამ" საფუძვლიანად შეცვალა. ცვლილება გამოიხატება არა იმდენად რაოდენობრივ მხარეში, რამდენადაც ხარისხობრივ მაჩვენებელში. კერძოდ, ერთი მხრივ, საგრძნობლად ამაღლდა რევოლუციონერთა რეიტინგი, მეორე მხრივ კი, სერიოზულად შეილახა იმ პარტიების იმიჯი, რომლებმაც შევარდნაძის ბანაკში ყოფნა ამჯობინეს. ამის გამო, შეიქმნა საშიშროება, რომ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო ერთპარტიული გახდება. ეს "საფრთხე" საკმაოდ რეალურია იმის გათვალისწინებით, რომ "ნაციონალური მოძრაობა" და "ბურჯანაძე-დემოკრატები" ამ არჩევნებში ერთიანი პარტიული სიით მიიღებენ მონაწილეობას. ერთპარტიული პარლამენტის თავიდან ასაცილებლად შესაძლოა, გამოსავალი იყოს საარჩევნო ბარიერის დაწევა. მართლაც, შვიდპროცენტიანი

გაგრძელება A3 გვერდზე

## ევროკავშირი საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს მიესალმება

4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს ევროკავშირის ყველა ძირითადი სტრუქტურა გამოეხმაურა. ყველა მათგანი დადებითად აფასებს კენჭისყრის შედეგებს და საქართველოს ახალ ხელისუფლებას ძირეული რეფორმების გატარებისაკენ მოუწოდებს.

**"საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში დემოკრატიული განვითარების პროცესში გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიამ აღნიშნა, რომ წინა არჩევნებთან შედარებით, საგრძნობი წინსვლა სრულიად აშკარაა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილის არჩევნებში მონაწილეობა იმის ნიშანია, რომ საქართველოს მოსახლეობას სურს, დაიწყოს ახლებური ცხოვრება,"** – ნათქვამია საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ხავიერ სოლანას განცხადებაში.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

ეკა კვესიტაძის სვეტი

## სტაბილურობას განაპირობებს სისტემა და არა - პიროვნება

"ჩვენ უახლოეს მომავალში შევიტანთ კონსტიტუციაში ცვლილებებს და შემოვიღებთ პრემიერ-მინისტრის კაბინეტს," – ესაა ის ყველაზე კონკრეტული გეგმა, რომელიც სააკაშვილმა პრეზიდენტად არჩევის დღეს სასტუმრო "შერატონში" შეკრებილ ადამიანებს გააცნო.

მთავრობის მეთაურობა ის თანამდებობა იყო, რომელიც ახალ ლიდერებს შორის პოსტების გადანაწილების დროს ჟვანიას ერგო, თან სრული გარანტიით, რომ ის იქნებოდა არა სახელმწიფო, არამედ პრემიერ-მინისტრი.

საქართველოში ქვეყნის მოწყობის მოდელის შეცვლაზე დიდი ხანია საუბრობენ. თავის დროზე, პარლამენტის თავმჯდომარე ჟვანია საპარლამენტო რესპუბლიკის უპირატესობაზე საუბრობდა. ჟვანიას ამ აზრს მაშინ ბევრი ექსპერტი არ იზიარებდა და მიანიშნებდა, რომ ეს მოდელი მის ინტერესებში უფრო შედიოდა, ვიდრე - ქვეყნისაში.

დღეს საპარლამენტო რესპუბლიკაზე სერიოზულად აღარავინ საუბრობს. სამაგიეროდ, ახალ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება და პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება ქვეყნის მართვის სისტემას უფრო მოქნილსა და ეფექტურს გახდის.

იმ მოდელს, რაც დღეს საქართველოშია, ამერიკულთან მიახლოებული შეიძლება ეწოდოს, როცა ძალაუფლების კონცენტრირება პრეზიდენტის ხელში ხდება. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ბევრი საუბრობდა ამ მოდელის არაეფექტურობაზე, თუმცა ძველ ხელისუფლებას რეალურად არასოდეს დაუმტკიცებია მისი ეფექტურობა-არაეფექტურობა, რადგან ქვეყნის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ყოველთვის კორუმპირებული, უუნარო ხელისუფლება იყო, რომელიც ქვეყნის მართვას ვერასოდეს ახერხებდა.

ხოლო ის, რომ მთავრობაში არასოდეს ყოფილა ერთიანი გუნდი, ეს უფრო შევარდნაძის დაბალანსების პოლიტიკის შედეგი იყო, ვიდრე მინისტრთა კაბინეტის არარსებობის.

რამდენიმე წლის წინ, როცა შევარდნაძემ თავისი პოლიტიკის წარუმატებლობაში არსებული მოდელი დაადანაშაულა, მაშინ საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტი იუსტიციის მინისტრს დააწერინა, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა პროექტის შევარდნაძის ნებასურვილზე მორგება.

ის კანონპროექტი, რომელიც კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზნით ახლა მზადდება, ჯერ საჯაროდ არ გახმაურებულა. მისი ბოლო ვარიანტი ექსპერტებსაც კი არ უნახავთ, თუმცა ხელისუფლებაში უკვე ლაპარაკია იმაზე, რომ კონსტიტუციაში ცვლილება, დაჩქარებული წესით, ძველმა პარლამენტმა მიიღოს.

იმ ძირითადი პრინციპების მიხედვით, რომელიც ახალ პროექტშია ჩადებული და რომელზეც უკვე ღიად საუბრობენ, ის დიდად არ განსხვავდება შევარდნაძის მიერ თავის დროზე შემოთავაზებული პროექტისაგან. თუმცა, ამ შემთხვევაში, პარლამენტის დასუსტების ფონზე აქცენტი პრემიერ-მინისტრის გაძლიერებაზე კეთდება.

ვარდების რევოლუციას სამი ლიდერი ჰყავდა. ცხადია, სამივე ლიდერს აქვს ამბიცია, რომ ინსტიტუტი, რომელთა სათავეში ისინი აღმოჩნდებიან, მაქსიმალურად ძლიერი იყოს. მაგრამ ბუნებაში არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც თანაბარი სიძლიერის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ეყოლება.

საქართველოში უკვე წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მოდელების მორგებას ცალკეულ ფიგურებზე ცდილობდნენ. მართალია, კონკრეტული პოლიტიკოსები კონკრეტულ დროს ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ და, შესაძლოა, ისტორიასაც კი ქმნიან, მაგრამ ნებისმიერი ქვეყნის შეუქცევად განვითარებას ამ ქვეყანაში არსებული სისტემის მდგრადობა და ეფექტურობა უზრუნველყოფს.

შესაბამისად, დღეს აქცენტის გაკეთება იმაზე, რომ ახალი მოდელი რომელიმე პოლიტიკოსს უნდა მოერგოს, რადგან ის ამ მოდელში უკეთესად იმუშავებს, აბსურდია.

ქვეყანაში საზოგადოება ჯერ იმაზე უნდა შეთანხმდეს, თუ რა მოდელი იქნება უკეთესი ქვეყნისთვის, რა უფრო ეფექტურად იმუშავებს და სწორედ ამის მიხედვით უნდა მოხდეს სხვადასხვა თანამდებობებზე კონკრეტული ფიგურების შერჩევა და არა პირიქით.

თუ დღეს ახალ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მათ მიერ შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებები ყველა სხვა შესაძლო ვარიანტზე უკეთესია, მაშინ ეს საჯარო დისკუსიების დროს სერიოზული არგუმენტებით უნდა დაასაბუთოს.

რევოლუციის შემდეგ ახალი ლიდერებისათვის მიცემული კარტ-ბლანში სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, როგორიც კონსტიტუციაში ცლილებების შეტანაა, კულუარული კომბინაციების შედეგად გადაწყდეს.

გარდა ამისა, საზოგადოებისთვის ყოვლად მიუღებელი იქნება, თუ ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ძველი პარლამენტი მიიღებს, რომელსაც ხალხის ნების გამოხატვასთან საერთო არაფერი აქვს.

მოკლედ

### თამაზ ნადარეიშვილი : "სუკ-ის აგენტი კი არა, ოფიცერი ვიყავი"

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი უარყოფს მისი გადადგომის მოთხოვნით გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა ბრალდებას "სუკ-ის აგენტობის" თაობაზე და აცხადებს, რომ იგი "სუკ-ის აგენტი კი არა, ოფიცერი" იყო.

ნადარეიშვილის განმარტებით, საბჭოთა უშიშროების ოფიცრად მუშაობა მან 1975 წლიდან დაიწყო და დროთა განმავლობაში ბიჭვინთისა და გაგრის სახელმწიფო აგარაკებს კურირებდა. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიოგრაფიის ეს დეტალი საზოგადოებისთვის არასოდეს დაუმალავს და სუკ-ში მუშაობის შესახებ ინფორმაცია მის შესახებ გამოცემულ ყველა ბიოგრაფიულ ცნობარში ფიგურირებს.

"ჩემს წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების ორგანიზატორთა შორის, ნასამართლევი ხალხის გარდა, მრავლად არიან სუკ-ის აგენტებიც, რომლებსაც, ჩემგან განსხვავებით, საზოგადოებისთვის არასოდეს არაფერი უთქვამთ მათი აგენტურული საქმიანობის შესახებ," – აცხადებს ნადარეიშვილი. **ინტერ-პრესი**

### ერაყში 217 ქართველ სამხედრო მოსამსახურეს გააგზავნიან

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტაქტიკური ჯგუფი ერთი გაფართოებული ასეულის დონეზე, 217 სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით, 2 თებერვალს ერაყში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისათვის გაიგზავნება.

თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის, ბრიგადის გენერლის დიმიტრი ლეჟავას ინფორმაციით, ტაქტიკური ჯგუფის შემადგენლობაში შევა არმიის სპეცრაზმის მებრძოლთა ერთი სრული ასეული, რომელსაც საინჟინრო და სამედიცინო ქვედანაყოფი დაემატება.

სამშვიდობოები, რომლებიც ერაყში გაემგზავრებიან, არიან კონტრაქტორები. მათ შორის იმყოფებიან "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამის საწყისებზე მომზადებული სამხედრო მოსამსახურეები.

ერაყში საქართველოდან მორიგი ჯგუფი როტაციის ფარგლებში იგზავნება. ქართველ სამშვიდობოთა დისლოკაციის ადგილი კვლავაც ქალაქ ტიკრიტის შემოგარენი იქნება. ახლო მომავალში ერაყში ჩასვლას თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** აჭარის წარმომადგენლობის თავმჯდომარე ჰამლეტ ჭიპაშვილი თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის დარეგულირებას საქართველოს მომავალ პარლამენტს აკისრებს. "პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძისა და სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას აჭარაში ვიზიტებმა ერთგვარი დასაბამი მისცა ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის დარეგულირებას, რაც სამომავლოდაც უნდა გაგრძელდეს", - აცხადებს ჭიპაშვილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის პოლიტიკურ გაერთიანებათა საბჭოს მოთხოვნის მიუხედავად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი გადადგომას არ აპირებს და მის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებს "განაწყენებული ხალხის მიერ რევოლუციურ ტალღაზე სკამებისათვის ბრძოლად" მიიჩნევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 28 მარტს საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობას ეუთო-ს 400-450-მდე დამკვირვებელი გააკონტროლებს. ეს გუშინ კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის როი რივის შეხვედრის შემდეგ გაირკვა. "ეუთო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების მოსამზადებლად ფინანსურად დაეხმარება. გარდა ამისა, ცესკო-ს წევრებისთვის ეუთო ტრეინინგებსაც განახორციელებს," - განაცხადა ეუთო-ს წარმომადგენელმა. **ინტერ-პრესი**

## კარგი ჯარისკაცი ცუდი მეთაურის ხელში უმაქნისია

ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია "კიუბიკი" საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რესტრუქტურიზების პროექტს ამუშავებს



"წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებულ კარგად გაწვრთნილ ჯარისკაცებს შესაბამისი მეთაურები სჭირდებათ.

*საქართველოში გასული წლის ბოლოს მუშაობა დაიწყო გადამდგარი ამერიკელი მაღალჩინოსანი ოფიცრებისაგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელიც საქართველოსთვის სამხედრო დახმარების ფარგლებში, პენტაგონმა დაიქირავა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემდეგ, საქართველო პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა გახდა, სადაც სამხედრო უწყების რესტრუქტურიზების პროცესს კერძო კომპანია "კიუბიკი" უხელმძღვანელებს. გადამდგარმა ამერიკელმა ოფიცრებმა შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფში პირველი შეფასებითი სამუშაოები უკვე ჩაატარეს. საქართველოს მხარე "კიუბიკის" კონსულტაციებზე დიდ იმედებს ამყარებს.*

კობა ლიკლიკაძე
სპეციალურად "24 საათისთვის"

საერთაშორისო განათლების, ვერტმფრენთა და "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში კიდევ ერთი ახალი სამხედრო პროექტის განხორციელებას იწყებს. მაგრამ ამჯერად განსხვავება ის არის, რომ პროექტის რეალიზებას არა სახელმწიფო სტრუქტურა, არამედ კერძო საკონსულტაციო ჯგუფი უხელმძღვანელებს.

გადამდგარი ამერიკელი ოფიცრებისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია "კიუბიკშია" გაერთიანებული, გასული წლის ზაფხულიდან ამუშავებს საქართველოს სამხედრო უწყების სტრუქტურული გარდაქმნის გეგმას. დახლოებით, 30-კაციან დელეგაციაში, რომლის მივლინებისა და შრომის ანაზღაურების ხარჯებს მთლიანად პენტაგონი ფარავს, შედიან სხვადასხვა სპეციალობის ექსპერტები. თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, გიორგი მანჯგალაძის თქმით, "კიუბიკის" ჯგუფის გამოგზავნა საქართველოში, ქართული მხარის თხოვნის საფუძველზე, შარშან გადაწყდა და იგი "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ერთგვარ გაგრძელებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

**"პრინციპში ეს არის ორი სხვადასხვა პროგრამა, მაგრამ შედის ერთსა და იმავე სფეროში და ერთსა და იმავე საქმეს ემსახურება. რომ არ ყოფილიყო "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა, არ იქნებოდა "კიუბიკის" ინიციატივა. ანუ, ეს ორი სხვადასხვა ნაწილია იმ დიდი სფეროსი, რასაც ეწოდება თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების რეფორმირება,"** - აცხადებს მანჯგალაძე.

სინამდვილეში, შეერთებული შტატების სამხედრო დახმარების ჩანაფიქრი უფრო ღრმაა. შეუძლებელია "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებულმა კარგად გაწვრთნილმა, აღჭურვილმა და მოტივირებულმა ქვედანაყოფებმა შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა, თუკი სამხედრო უწყების მმართველობისა და უზრუნველყოფის უმაღლესი რგოლები არარეფორმირებული დარჩა. "კიუბიკის" ჩამოსვლის მთავარი მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უკარნახოს საქართველოს ხელისუფლებას, თუ რა სახის სამხედრო სტრუქტურები უნდა მართავდნენ მცირე რაოდენობის საბრძოლო ქვედანაყოფებს; როგორი უნდა იყოს საკადრო შემადგენლობა და მათი ფუნქციური დატვირთვა. საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციის განყოფილების წარმომადგენლების თქმით, ამ შრომატევად საქმიანობას, ჯერჯერობით, რამდენიმე ამერიკელი სამხედრო კონსულტანტი აწარმოებს, რომლებიც საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი დროით - დაახლოებით 5 წლით აპირებენ დარჩენას, მას შემდეგ, რაც კონტრაქტს საბოლოოდ მოეწერება ხელი.

"კიუბიკის" ჯგუფის წევრები, პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, ჯერჯერობით, თავს არიდებენ, მაგრამ ამერიკელი გადამდგარი ოფიცრების საქართველოში მოღვაწეობა უკვე მოექცა საერთაშორისო პრესის ყურადღების ცენტრში. კვირის დასაწყისში "კიუბიკის" საქართველოში გამოჩენას საყურადღებო სტატია მიუძღვნა "გარდიანმა". დასავლეთის პრესის შეფასება ერთმნიშვნელოვანია: სამხედრო თვალსაზრისით საქართველო სულ უფრო საკვანძო ქვეყანა ხდება შეეერთებული შტატებისთვის.

როგორც ირკვევა, კერძო ამერიკული კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში განსაკუთრებით სამხედრო განათლების საკითხებით დაინტერესდნენ და გასული წლის ბოლოს ვითარების გასაცნობად ეროვნული თავდაცვის აკადემიას ესტუმრნენ. აკადემიის უფროსი, ბრიგადის გენერალი გიორგი გოგაშვილი ამბობს, რომ ამ ჯგუფმა, რომელიც პარალელურად რუმინეთის თავდაცვითი უწყების რეფორმების გეგმაზე მუშაობს, უკვე შეიმუშავა კონკრეტული წინადადებები ქართველი კოლეგებისთვისაც.

**"იგივე ჯგუფი ძალზე წარმატებულად მუშაობდა და აგრძელებს კიდევაც ამ მუშაობას რუმინეთში. ახლა ამ ჯგუფმა მოღვაწეობა საქართველოში დაიწყო უკვე კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. მუშაობა მიმდინარეობს თავდაცვის სამინისტროს, შეიარაღებული ძალების თითოეული სამსახურის, დეპარტამენტისა და სამხედრო ნაწილის დონეზე. აკადემიაშიც ბრძანდებოდნენ და ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო საუბარი სამხედრო განათლებაზე,"** - აცხადებს გენერალი გოგაშვილი.

აღსანიშნავია, რომ "კიუბიკის" ჯგუფის წევრების გარდა, საქართველოს უსაფრთხოების სისტემის რეფორმირების საკითხზე საქართველოში გადამგარი სამხედრო მაღალჩინოსნებისა და პოლიტიკოსების კიდევ ერთი, ე.წ. "აისაბის"(უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო) ჯგუფი მუშაობს. უცხოელი, ძირითადად ამერიკელი და ნატოელი, კონსულტანტები წარმოდგენილნი არიან ჯარის ცალკეულ სახეობებში, მათ ემატებათ "წვრთნისა და აღჭურვის" პროცესში ჩაბმული 40 ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორიც, რაც, მთლიანობაში, საქართველოში შეერთებული შტატების სერიოზულ სამხედრო ინტერესებზე მიანიშნებს. ინტერესი ინტერესად, მაგრამ არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი მეთოდოლოგიური და პირდაპირი დახმარების მიუხედავად, საქართველოს სამხედრო ძალების რეფორმირების ტემპი, აშკარად ვერ პასუხობს დროის მოთხოვნას.

## 28 მარტი და ერთიანი სია

პირველი გვერდიდან

ნინო ბურჯანაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "ნაციონალები" და "დემოკრატები" საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ერთიანი სიით აპირებენ. **"ეს ბუნებრივია, რადგან ჩვენ ერთიანი გუნდით ვმუშაობთ და, ამდენად, კარგად ვიცით, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებულ მუშაობას."** შეთანხმებული მუშაობა არწმუნებს მოქმედ პრეზიდენტს, რომ ახალი პრეზიდენტი, ხელისუფლებაში ოფიციალურად მოსვლის შემდეგ, უკვე განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს უმნიშვნელოდ "შეასწორებს." შესაბამისად, გუნდურობის პრინციპიდან გამომდინარე, ბუნებრივი იქნება, ასევე, მინისტრთა კაბინეტის შემოღებაც, რომლის პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს. **"ეს იქნება არა კონკრეტულ პერსონებზე მორგებული საკონსტიტუციო ცვლილებების მოდელი, არამედ ქმედითი მექანიზმი,"** - ამბობს ბურჯანაძე. მომავალი პარლამენტი კი მას ახალ ხელისუფლებასთან ჯანსაღი თანამოაზრეობის პრინციპით მომუშავე ძალად ესახება, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას რეფორმების გატარებას გაუადვილებს.

## „ერთპარტიული პარლამენტი ქვეყანას არ სჭირდება"

პირველი გვერდიდან

არ შეიქმნება, თუმცა არასამთავრობოები პრეტენზიას არჩევნების თარიღის მიმართ გამოთქვამენ. როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი თინათინ ხიდაშელი აცხადებს, ცესკო-ს მიერ სათანადო ღონისძიებების გატარების შემთხვევაში (არჩევნების ორგანიზების თვალსაზრისით) პრობლემები არ იქნება. ამის მიუხედავად, მას მართებულად არ მიაჩნია საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის გადაწყვეტილება არჩევნების თარიღად 28 მარტის დანიშვნის თაობაზე. როგორც თინათინ ხიდაშელმა "24 საათს" განუცხადა, არსებობს იმის საფრთხე, რომ დარჩენილ პერიოდში ვერ ჩამოყალიბდეს კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემო.

**"ჩემი აზრით, არჩევნები გაზაფხულის მიწურულს, მაისში უნდა დანიშნულიყო, რადგან ახლა რეალურად არსებობს იმის საფრთხე, რომ ქვეყანას ერთპარტიული პარლამენტი ჰყავდეს. ეს, შესაძლოა, ხელს აძლევს დღევანდელ ხელისუფლებას, მაგრამ არა მგონია, ერთპარტიული პარლამენტი საქართველოს სჭირდებოდეს,"** – ამბობს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი. მისივე თქმით, აუცილებელია ამომრჩეველთა სიების კომპიუტერიზება და მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ხოლო მონაცემების გადამოწმება კარდაკარ სიარულის პრინციპით უნდა მოხდეს. **"არა მგონია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოისურვოს და თავად მიაკითხოს იმ პარტიებს, რომლებიც ორი ნოემბრის არჩევნების დროს საკუთარი ძალებით ადგენდნენ ამ მონაცემებს, მაგრამ თუკი პარტიებს სურთ სამართლიანი არჩევნები, მაშინ, ალბათ, მათ თავად უნდა გადაამოწმონ ის სიები, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოაქვეყნებს,"** - ასეთია თინათინ ხიდაშელის პოზიცია.

"სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებსაც მიაჩნიათ, რომ 28 მარტამდე ცენტრალური საარჩევნო კომისია თავს გაართმევს ორგანიზაციულ პრობლემებს.

**"არსებობს საკანონმდებლო ბაზა, ამასთან ერთად, იმის შანსი, რომ დარჩენილ პერიოდში ამომრჩეველთა სიები მოწესრიგდეს და დაიხვეწოს. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემები, ალბათ, არ შეიქმნება; თუმცა, სხვა საქმეა, პოლიტიკურად რამდენად გამართლებულია არჩევნების ასე სასწრაფოდ დანიშვნა. პოლიტიკური გარემო კონკურენტუნარიანი უნდა იყოს. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემები პოლიტიკურ სუბიექტებს შეექმნებათ,"** - ამბობს "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელი თამარ ჟვანია.

საგულისხმოა, რომ გუშინ საჯაროდ არაფერი თქმულა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ახალ მოდელზე. ჩვენი ინფორმაციით, პოლიტიკურ კულუარებში გუშინ უკვე დაიწყეს მსჯელობა ახალი წესის თაობაზე, თუმცა - უშედეგოდ, რადგან, დღევანდელი მოდელის კრიტიკის მიუხედავად, არც ერთი, ყველასათვის მეტ-ნაკლებად მისაღები წინადადება პოლიტიკური პარტიების მხრიდან არ გამოთქმულა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „ხელისუფლებას სურს, არჩევნები ხალხის გამოფხიზლებამდე ჩაატაროს"

ვერიკო თევზაძე

**"ამ ხელისუფლებამ, თავის დროზე, "მოქალაქეთა კავშირი" მუსიკის ჰანგებით მოიყვანა ქვეყნის სათავეში, დღეს კი უნდა, "ვარდების სინდრომით" დამკვიდრდეს"**, - "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" აცხადებს, რომ ხელისუფლება თავს გვახვევს ნაუცბათევ არჩევნებს. ედპ-ს წარმომადგენელთა აზრით, საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ოპტიმალური ვადა მაისის შუა რიცხვებია.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" პრეზიდიუმის წევრებმა ჯაბა სამუშიამ და გიორგი ხმელიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნეს, რომ არჩევნების ნაადრევად დანიშვნა ხელისუფლების ინტერესებში შედის: **"ხელისუფლება, რომელიც ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებას ვერ შეძლებს, ცდილობს, არჩევნები ხალხის გამოფხიზლებამდე ჩაატაროს."**


"ჩვენს ფეთქებად პრეზიდენტს სჭირდება პარლამენტის კონტროლი".

არჩევნების ვადის განსაზღვრამდე ედპ საჭიროდ მიიჩნევს საარჩევნო კოდექსის დახვეწას და სიების საკითხის ძირეულად მოგვარებას: **"ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, რომლისთვისაც ცესკო-ს დაკომპლექტების შევარდნაძისეული წესი მიუღებელი იყო, არათუ დემოკრატიული გახადა იგი, არამედ კიდევ უფრო გაზარდა მასში თავისი წარმომადგენლობა."** პარტიის წევრები არ ენდობიან ცესკო-ს თავმჯდომარეს ზურაბ ჭიაბერაშვილს, რადგან მათ ჭიაბერაშვილის ნეიტრალურობაში ეჭვი ეპარებათ.

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" მოითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად დაკანონდეს ქალაქის მერების და გამგებლების არჩევითობა. **"ხელისუფლება ამ საკითხზე მსჯელობას თავს არიდებს, იმიტომ, რომ ისინი დედაქალაქის მერის კანდიდატურაზე ვერ თანხმდებიან, "დემოკრატებს" თავიანთი კანდიდატი ჰყავთ, "ნაციონალებს" კი - თავისი".**

ედპ-ს 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარებისა არ სჯერა. **"ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე დილის 12 საათისთვის, დაახლოებით, 900-1000 ადამიანი იყო რეგისტრირებული, რაც წარმოუდგენელია,"** - პარტიის წევრები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ამ საკითხთან დაკავშირებით სენსაციურ განცხადებას გააკეთებენ. მიუხედავად ყველაფრისა, "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენლები სააკაშვილის გაპრეზიდენტებას ეგუებიან და ახლა უპირველეს ამოცანად ნორმალური საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მიიჩნევენ: **"ჩვენს მეტ-ნაკლებად ფეთქებად პრეზიდენტს აუცილებლად სჭირდება კონტროლი დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის მიერ."**


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროში გახსნილი ცხელი ხაზის მეშვეობით შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ნარკოტიკების ბრუნვისა და ამ უკანონო ბიზნესში პოლიციელთა მონაწილეობის შესახებ.

თქვენი ანონიმურობა გარანტირებულია.

ცხელი ხაზის ტელეფონებია:

98 27 50; 98 71 50; 99 11 28.

შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიურო


# ოპოზიცია სერიოზული კოალიციის შექმნას აპირებს

პირველი გვერდიდან

"მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძე ოპოზიციის გაერთიანებას არამარტო ოპოზიციისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც სასიცოცხლო ამოცანად მიიჩნევს. **"ამჟამინდელ ხელისუფლებაში შეინიშნება მცდელობა, რომ პარლამენტი ისეთივე პრინციპით აირჩიონ, როგორც ეს რუსეთის დუმის შემთხვევაში მოხდა, ანუ საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იქნება ერთი ან ორი პარტია, ოპოზიცია კი რეალურად არ იარსებებს."** ფიქრია ჩიხრაძის აზრით, ხელისუფლების ამგვარი **"მოკლევადიანი ხედვა"** ქვეყნის აღმშენებლობას რამდენიმე წლით უკან დასწევს. ასეთ ვითარებაში "ახლების" წარმომადგენელი ერთადერთ გამოსავალს ოპოზიციის ერთობაში ხედავს: **"თუ ოპოზიციის მხარეს სიმძიმის ცენტრი იარსებებს, ხელისუფლება ასე ადვილად ვერ მოახერხებს მის იგნორირებას."** ფიქრია ჩიხრაძე აღიარებს, რომ გაერთიანების გარეშე "მემარჯვენეები" ბარიერს ვერ გადალახავენ, თუმცა იგი პარტიის დაბალ რეიტინგს არ ახსენებს და მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად მხოლოდ გაუმართავ საარჩევნო კოდექსს და ცესკო-ს დაკომპლექტების დღეისთვის არსებულ წესს ასახელებს.

ჩიხრაძის გარდა, ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ სიებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეინიშნება, საარჩევნო ადმინისტრაცია კი ხელისუფლების სასარგებლოდ არის დაკომპლექტებული. სხვათა შორის, ამის თაობაზე გარკვევით მიანიშნა საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელობამაც, როცა 5 იანვარს წინა დღის საპრეზიდენტო არჩევნები შეაფასა.

მემარჯვენე ძალები არჩევნების წინ მთელ ოპოზიციასთან აპირებენ შეთანხმებულ მოქმედებას. ისინი საჭიროდ მიიჩნევენ მემარცხენეებთან კოორდინაციას. იმავე პოზიციაზე დგანან "ლეიბორისტები" და "სოციალისტები". ორივე პარტია მემარჯვენეებთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას აცხადებს. რაც შეეხება მემარცხენე ძალთა გაერთიანების საკითხს, ამ შემთხვევაში "ლეიბორისტებსა" და "სოციალისტებში" აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ირაკლი მინდელი, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოში მემარცხენე ძალების გაერთიანების იდეით გამოდის და უახლოეს მომავალში აპირებს ამ საკითხზე დიალოგის წარმოებას როგორც თანაპარტიელებთან, ასევე "ლეიბორისტებთან."

"ლეიბორისტები", კოორდინაციის დონეზე თანამშრომლობის გარდა, ყველანაირ გაერთიანებაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. **"ჩვენ წლების მანძილზე ჩამოვყალიბდით სერიოზულ პოლიტიკურ ორგანიზაციად და თავს უფლებას ვერ მივცემთ, რამდენიმე მანდატის გამო ეს ნაბიჯი გადავდგათ; თანაც, ჩვენი მიზანი რაღაც ბარიერის გადალახვა კი არა, ქვეყნის საბოლოოდ გადარჩენაა,** " - განუცხადა "24 საათს" პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გელა დანელიამ. "ლეიბორისტებს" ბარიერის გადალახვაზე საუბარი ზედმეტად მიაჩნიათ, თუმცა უმრავლესობაში მოსვლის პერსპექტივაზე საუბრისგან თავს იკავებენ. მიზეზად ხელისუფლების უპირატეს პირობებში ყოფნის ფაქტორს ასახელებენ. რაც შეეხება ნოემბრის მოვლენების შემდეგ პარტიის რეიტინგის დაცემას, ამაზე "ლეიბორისტები" სიტყვასაც არ ასველებენ.

დასასრულისთვის, ალბათ, ზედმეტი არ იქნება ვთქვათ, რომ გაერთიანების გზაზე შემდგარ ოპოზიციურ ძალებში ირონიულ ღიმილს თანაბრად იწვევს "აღორძინების" მარადიული სახეცვლილება. **"აღორძინება" თავფეხიანად ჩაბარდა,"** - ასეთი მოკლე ფრაზით გამოხატავენ ოპოზიციური პარტიები ხსენებული პოლიტიკური ბლოკისადმი თავიანთ "სიმპათიას" და დასძენენ, რომ "აღორძინება" ტრადიციას არ ღალატობს - იგი, წინა ხელისუფლების დარად, ამჟამინდელ ხელისუფლებასაც მშვენივრად უწყობს ხმას.

# ბარიერთან!

პირველი გვერდიდან

ზღვარის არსებობის პირობებში, ძალიან ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, ოპოზიციური პარტიებიდან რომელიმეს თუ გააჩნია ასეთი მაღალი ბარიერის დაძლევის შანსი.

არც თუ შორეულ წარსულში "ლეიბორისტებისთვის" ეს პრობლემა საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ "ვარდების რევოლუციის" დროს შალვა ნათელაშვილის მიერ დაკავებულმა პოზიციამ "ლეიბორისტებს" მრავალი მხარდამჭერი ჩამოაშორა, გამორიცხული არ არის, ბარიერის გადალახვის საკითხი ნათელაშვილისთვისაც აქტუალური გახდეს.

თუმცა, "ლეიბორისტები" იხტიბარს არ იტეხენ და აცხადებენ, რომ შვიდპროცენტიანი ზღვარი მათთვის არც დღეს წარმოადგენს დაბრკოლებას. ამასთან, იქვე მიუთითებენ, რომ თუ კონსულტაციების დროს ბარიერის დაწევის საკითხი დაისმება, ისინი მას მხარს დაუჭერენ.

**"არ გვინდა, მოკავშირეებს ხელი შევუშალოთ და ისე მოხდეს, რომ ოპოზიციური სპექტრიდან პარლამენტში მხოლოდ ჩვენ აღმოვჩნდეთ,"** - აცხადებს "ლეიბორისტული პარტიის" საინფორმაციო დეპარტამენტის თავმჯდომარე გელა დანელია. ამავე დროს, იგი აღნიშნავს, რომ ბარიერის ხუთ პროცენტზე უფრო დაბლა დაწევა დაუშვებელია, რადგან პარტიას, რომელსაც რაღაც პრეტენზიები აქვს, ამ ზღვარის გადალახვა აუცილებლად უნდა შეეძლოს.

საარჩევნო ბარიერის დაწევის იდეას "ახალი მემარჯვენეებიც" უჭერენ მხარს. მათი საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე ხაზს უსვამს, რომ, თავის დროზე, საარჩევნო ბარიერის შვიდ პროცენტამდე გაზრდას მან ხმა არ მისცა. ჩიხრაძის თქმით, **"საქართველოს პირობებში შვიდპროცენტიანი ბარიერი აბსურდია"** და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის ოთხ პროცენტამდე დაწევას. თუმცა, იქვე შენიშნავს, რომ არსებულ ვითარებაში, დროის სიმცირის გამო, ამ საკითხის დასმა არარეალურია.

განსხვავებული მოსაზრება აქვთ აკაკი ასათიანის თანაგუნდელებს. ფრაქცია "ტრადიციონალისტის" თავმჯდომარე გუბაზ სანიკიძე ბარიერის დაწევის წინააღმდეგია.

**"მაღალი ბარიერი ოპოზიციას გაერთიანებისკენ უბიძგებს, დაბლის შემთხვევაში კი იგი კიდევ უფრო დაიქსაქსება,"** - აცხადებს სანიკიძე.

საარჩევნო ბარიერის დაწევაზე თავად ოპოზიციის შიგნით აზრთა სხვადასხვაობას რომ თავი დავანებოთ, ისიც ძნელი წარმოსადგენია, მოქმედ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილების მიღება მოხერხდეს: მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში კვორუმის მოგროვება ჭირს, 157-ხმიანი გადაწყვეტილების მიღება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.




## "რკინიგზის" გენერალური დირექტორი თანამდებობას ტოვებს

"საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ამ სამიოდე კვირის წინ არჩეულმა გიორგი ლეჟავამ გუშინ ამ პოსტზე უარი განაცხადა. მისი განცხადება რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭომ თავის უახლოეს სხდომაზე, 15 იანვარს უნდა განიხილოს. ლეჟავას თანამდებობიდან გადადგომის შემთხვევაში რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ახალი კანდიდატურების განხილვა თავიდან მოუწევს.

გიორგი ლეჟავამ თავისი გადაწყვეტილება სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას უარყოფითი რეაქციით ახსნა: "შეუძლებელია, ესოდენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის დაეჭვებამ არ დაბადოს ეჭვი ქართულ საზოგადოებაში, რომელიც იმსახურებს, რომ სჯეროდეს თავისი მმართველი ფენის კეთილსინდისიერებისა," – განაცხადა მან.

როგორც ცნობილია, ზურაბ ჟვანია დაეჭვდა, რომ ახალ ამპლუაში გიორგი ლეჟავას საქმიანობას, შესაძლოა, კერძო და სამსახურებრივი ინტერესების თანხვედრა მოჰყოლოდა. ამ ეჭვის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გიორგი ლეჟავა სატრანსპორტო გადაზიდვების ბიზნესით იყო დაკავებული და აზერბაიჯანის ერთ-ერთ სატრანსპორტო კომპანიას ხელმძღვანელობდა. ლეჟავა აცხადებს, რომ მიუხედავად ამისა, საქართველოს რკინიგზის გარდაქმნის მისეული პროგრამა პირად სარგებელს შეუძლებელს ხდიდა.

*24 საათი*

### მოკლედ

#### LAHMEYER საქართველოს ენერგოსისტემის რეაბილიტაციას შეუდგება

ენერგოსისტემის რეაბილიტაციის დაწყების მიზნით, "საქართველოს ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტის" ფარგლებში მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. კონსულტანტი ფირმის შესარჩევად ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული უკვე გამოვლინდა – სამ კონკურენტთან გამარჯვება გერმანულმა კომპანია LAHMEYER-მა მოიპოვა, თუმცა მასთან კონტრაქტი იანვრის ბოლოს გაფორმდება. როგორც პროექტის კოორდინატორმა თემურ ჯულელმა განაცხადა, პროექტის კონსულტანტად მუშაობაზე პრეტენზიას ოთხი უძლიერესი საერთაშორისო კომპანია აცხადებდა, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, LAHMEYER-მა გაიმარჯვა. "ამჟამად მასთან გასაფორმებელი კონტრაქტის პროექტის მსოფლიო ბანკთან შეთანხმების პროცესი მიმდინარეობს. LAHMEYER დიდი გამოცდილების მქონე კომპანიაა. იგი პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოლდოვაში ანალოგიური სახის პროექტს ახორციელებს, გარდა ამისა, მუშაობს სომხეთშიც," – განაცხადა ჯულელმა. მისი თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელთა მოძიების მიზნით, კონსულტანტი ფირმა ტენდერს გამოაცხადებს და პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას მოამზადებს. კონსულტანტის დახმარებით მოძიებულმა ფირმამ ცენტრალურ სადისპეტჩეროზე უახლესი ტექნოლოგიის, ე.წ. "სკადას" სისტემის მართვის ფარი უნდა დაამონტაჟოს, მაღალი ძაბვის ქვესადგურების გამრიცხველიანება და სისტემაში კავშირგაბმულობის რეაბილიტაცია უნდა განახორციელოს. სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდეგ საქართველოს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ენერგოსისტემა ექნება, 2005 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. "ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" მსოფლიო ბანკმა 2001 წლის დასაწყისში დააფინანსა, თუმცა პარლამენტმა ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაცია მხოლოდ გასული წლის აპრილში მოახდინა. პროექტს მსოფლიო ბანკი - 27 მილიონი დოლარით, ხოლო გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი KFW - 25 მილიონი გერმანული მარკით დააფინანსებს. **ინტერ-პრესი**

#### ენერგეტიკის სამინისტრო "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" რუსეთიდან იმპორტის გაზრდას აიძულებს

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობის გაზრდას აიძულებს. როგორც კომპანიის ამერიკელმა მენეჯერებმა გადაწყვიტეს, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი 20 იანვრამდე 150 მეგავატიდან 75 მეგავატამდე შეამცირონ. 20 იანვრიდან 2 თებერვლამდე კი რუსეთიდან ქვეყნის რეგიონებისათვის 100 მეგავატის ელექტროენერგია შემოვა. "კომერციული თვალსაზრისით, ამგვარი გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან, თუ სამინისტროს პოზიციას გავიზიარებთ და იმპორტის მოცულობას 100 მეგავატამდე გავზრდით, თანხები იანვრის ბოლოსთვის აღარ გვეყოფა. თუ თვის ბოლოს ელექტროენერგია არ არის, მომხმარებელი, როგორც წესი, გადასახადს არ იხდის," - განმარტეს კომპანიაში. "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ამერიკელმა მენეჯერებმა საქმის კურსში სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანიაც ჩააყენეს. **ინტერ-პრესი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის მერაბ კვეკვესკირის ცნობით, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, 15 იანვრიდან ელექტროენერგიის წარმოება, მიწოდება, დისპეტჩერიზაცია და გადაცემა დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დაიბეგრება. "დღგ-ს აღარ გადაიხდიან დენის მწარმოებელი ორგანიზაციები - ჰესები და "თბილსრესი". გამანაწილებელ ენერგოკომპანიებს მეტი ელექტროენერგიის შესყიდვა და განაწილება შეეძლებათ," – განაცხადა კვეკვესკირმა. მისი თქმით, პარლამენტმა უარი თქვა ენერგობლოკებისთვის იმპორტირებული ბუნებრივის აირის დღგ-საგან გათავისუფლებასა და ახალი ენერგოობიექტების მშენებლობის გადასახადებისგან გათავისუფლებაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ყველა რაიონს ელექტროენერგიის მიწოდებას მორიგეობით, ორ-ორი საათით ისევ შეუწყვეტენ. "თელასის" ცნობით, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" თბილისის ენერგომომარაგება კვლავ 40 მეგავატით შეზღუდა. ამის გამო, უახლოეს დღეებში დილაობით ორი-სამი საათით გაითიშება ხოლმე ცენტრალური უბნები. დედაქალაქის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სავარაუდოდ, "თელასი" ელექტროენერგიის იმპორტს გაზრდის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თელასმა" ურჩ გადამხდელ საბიუჯეტო ორგანიზაციებს დავალიანების დაფარვის ან გარანტიების წარმოდგენის ვადა ორშაბათამდე მისცა. თუ მათი მხრიდან დავალიანების გასტუმრებაზე რეალური გარანტია არ იქნება, ან ამ დავალიანების დაფარვა არ დაიწყება, ორშაბათიდან მათ ელექტროენერგიის მიწოდება ისევ შეუწყდებათ. საბიუჯეტო ორგანიზაციების გათიშვა უკვე დაიწყო. "თელასის" მიმართ საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანება 2,3 მილიონ ლარს აღწევს. ურჩ გადამხდელთა შორის 500-მდე საბიუჯეტო ორგანიზაციაა. სახელმწიფო ტელევიზიამ და სახელმწიფო ტელეანძამ "თელასს" ჯერ კიდევ გუშინ წარუდგინეს გარანტიები, რომ დავალიანებას უახლოეს ათ დღეში გაისტუმრებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2004 წლის 1 აპრილიდან ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი გენერაციის ობიექტებზე მათთვის კუთვნილ თანხებს თვეში ორჯერ გაანაწილებს. ამის შესაძლებლობას ბაზარს ახალი საბაზრო წესები აძლევს, რომელთა მიხედვითაც ბაზრის მთავარი ანგარიშის პარალელურად ბანკებში ქვეანგარიშები - საკონტონორენტო ანგარიშები გაიხსნება. შედეგად, ბაზრის სატრანსფერო ანგარიში დაყადაღების შემთხვევებისგან გათავისუფლდება, დაცული იქნება ბაზრის წევრთა თანასწორუფლებიანობა, ელექტროენერგიის მწარმოებელთა შორის თანხები პროპორციულად გადანაწილდება. პირდაპირი ხელშეკრულებით შემოსული თანხები ერთ ანგარიშზე აკუმულირდება, რაც მათი გამჭვირვალობის მეტ გარანტიას იძლევა. თანხების გადარიცხვას კი აუდიტი შეამოწმებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თელავი.** "ხადორჰესის" პირველი აგრეგატის გაშვება, რომელსაც კახეთის მოსახლეობა ორ კვირაზე მეტია ელის, კვლავ ეჭვქვეშ დგას. ჩინურმა მხარემ ჰესის მშენებლობა პრაქტიკულად დაასრულა, ქართულ მხარეს კი 750 ათასი დოლარის ღირებულების სამუშაოები აქვს შესასრულებელი: ხადორიდან ახმეტის ქვესადგურამდე უსაფრთხოების ამომრთველები ჯერ კიდევ დასაყენებელია. ეს თანხა საქართველოს ცენტრალურმა ბიუჯეტმა უნდა გაიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სადგურის ამოქმედება კიდევ გადაიწევს. **ინტერ-პრესი**

## "ბი-პი" საქართველოს ენერგეტიკას მილიონი დოლარით დაეხმარება

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ნავთობის პირველი ნაკადი საქართველომ 2005 წელს უნდა მიიღოს**

*გუშინ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტების პარტნიორების სახელით, მილსადენის ოპერატორმა კომპანია "ბი-პი"-მ, საქართველოს ახალი ხელისუფლების უშუალო დახმარების მიზნით, ქვეყანაში ზამთრის სეზონზე ენერგომომარაგების დეფიციტის შესავსებად 1 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა.*



*დევიდ ვუდვორდი და რიჩარდ პანიგიანი ნინო ბურჯანაძეს შეხვდნენ.*

აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინ თბილისში ვიზიტად მყოფმა "ბი-პი"-ს ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ პანიგიანმა, ახლად არჩეულ პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან კრწანისის რეზიდენციაში შეხვედრის შემდეგ გაახმოვანა: **"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტები საქართველოს მომავალში უდიდეს სარგებელს მოუტანს, თუმცა ახალი ხელისუფლების დღის წესრიგში დღესდღეობით მთელი რიგი უპრეცედენტო და გადაუდებელი ამოცანები დგას. ერთ-ერთ ასეთ გადაუდებელ ამოცანას ზამთრის სეზონზე საქართველოს მოსახლეობის ენერგომომარაგება წარმოადგენს. ჩვენ, როგორც ქვეყნის უმსხვილესმა ინვესტორმა, ჩავთვალეთ, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტაში პირდაპირი და საგრძნობი წვლილი უნდა შეგვეტანა. ამჟამად გადაუდებლად ვმუშაობთ საქართველოს ხელისუფლებასთან, მსხვილ საფინანსო სააგენტოებსა და დონორ ორგანიზაციებთან, რათა აღნიშნული სახსრების გამოყენებით მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებულმა ნაწილმა რეალური და პირდაპირი სარგებელი მიიღოს."**

რიჩარდ პანიგიანმა დასძინა, რომ ეს შენატანი იმ გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური და საზოგადოებრივი ინვესტირების პროექტებისგან დამოუკიდებლად გაკეთდა, რომელთაც "ბი-პი" და მისი პარტნიორები საქართველოში უკვე ახორციელებენ. აღნიშნულ პროექტებში 8 მილიონ დოლარად შეფასებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა შედის, რომელმაც უკვე რეალური სარგებელი მოუტანა მილსადენის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სოფლებს. როგორც ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გია ჭანტურიამ დააკონკრეტა, ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ 72 სოფლის მოსახლეობას შეეხება, რომელიც ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს.

"ბი-პი"-ს დელეგაციის სხვა წევრები, კერძოდ კი, "ბი-პი აზერბაიჯანის" ხელმძღვანელი დევიდ ვუდვორდი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძეს და სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას შეხვდა.

**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი ძალზე წარმატებული პროექტია. მისი განხორციელებისას პრობლემები არც ადრინდელ ხელისუფლებასთან გაჩენილა და არც რევოლუციის შემდგომ, ახალ ხელისუფლებასთან. სამშენებლო სამუშაოები ვადების დაცვით მიმდინარეობს. 2004 წელი მნიშვნელოვანი წელია და ნავთობსადენის მშენებლობა უფრო სწრაფი ტემპებით უნდა წარიმართოს. რაც შეეხება ნავთობსადენის უსაფრთხოებას, გარწმუნებთ, ამ მხრივაც ყველაფერი წესრიგშია, რადგან მილსადენის დაცვა სახელმწიფო დაცვის სამსახურს ეკისრება. თუ საჭირო გახდა, შესაძლებელია სხვა სპეციალური სამსახურების, სააგენტოების ჩართვაც,"** – აცხადებდა დევიდ ვუდვორდი მოქმედ პრეზიდენტ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ. მისივე თქმით, ამ პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები თებერვლამდე უნდა დასრულდეს, შესაბამის დოკუმენტაციას კი ხელი 3 თებერვალს უნდა მოეწეროს.

*24 საათი*

## „მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭო ყოფნა-არყოფნის წინაშე

ეთერ მამულაშვილი

*სააქციო საზოგადოება "მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭოს საწარმოთა მართვის სააგენტოს მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს. უახლოს მომავალში კომპანიის აქციონერთა კრების მოწვევაა დაგეგმილი, სადაც საბჭოს თითოეული წევრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას. იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორთა კრება დაინიშნება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები თანამდებობებს უპირობოდ დატოვებენ.*





*გივი ქოროღლიშვილი და სერგო ტოპრაკაშვილი*

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

"მადნეულის" სამეთვალყურეო საბჭოს გუშინდელი სხდომა, სადაც კომპანიის გენერალური დირექტორის ზურაბ ლობჟანიძის თანამდებობაზე დარჩენა-არდარჩენის საკითხი უნდა განეხილათ, კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა. გუშინ სამეთვალყურეო საბჭომ უკვე მეორედ არ დააკმაყოფილა სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოსა და თბილისის პროკურატურის მოთხოვნა ლობჟანიძის გადაყენების შესახებ. ხსენებული საკითხის განსახილველად ცხრაკაციანი საბჭო პირველად ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში შეიკრიბა. მაშინ საბჭოს თავმჯდომარემ შოთა რეხვიაშვილმა გადაწყვიტა, რომ "მადნეულის" გენერალური დირექტორის საკითხს მხოლოდ მისი შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ განიხილავდა. შეგახსენებთ, რომ ლობჟანიძე იმ დროისთვის შვებულებას შვეიცარიაში ატარებდა, სადაც, როგორც კომპანიის თანამშრომლები ირწმუნებიან, "მკურნალობის სერიოზულ კურსს გადიოდა".

ლობჟანიძეს შვებულება 7 იანვარს ამოეწურა. გუშინ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გივი ქოროღლიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა: **"საბჭომ ლობჟანიძეს წერილი მისწერა და სთხოვა, დასწრებოდა 9 იანვრისთვის დანიშნულ სხდომას, სადაც მისი საკითხი უნდა განხილულიყო. პასუხად მივიღეთ, რომ ბატონი ზურას მკურნალობა 15 რიცხვამდე გაგრძელდა. მან ითხოვა, რომ ეს საკითხი მის ჩამოსვლამდე არ განგვეხილა".**

გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ საწარმოთა მართვის სააგენტოს მოთხოვნა დაუსაბუთებულია, რის გამოც ლობჟანიძის თანამდებობიდან გათავისუფლება "უსამართლობა" იქნება. შეგახსენებთ, რომ დღეისთვის თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში იმყოფება სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სააქციო საზოგადოება "მადნეულს" უკავშირდება.

საწარმოთა მართვის სააგენტოს დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, სამეთვალყურეო საბჭომ გუშინდელ სხდომაზე ლობჟანიძეს კვლავ შეუნარჩუნა გენერალური დირექტორის პოსტი. მან ასევე არ დააკმაყოფილა სააგენტოს მოთხოვნა, რომელიც "მადნეულის" აქციონერთა კრების მოწვევას ეხებოდა. საბჭოს უარი ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო. ამ ეტაპზე პარტნიორთა კრების მოწვევა სამეთვალყურეო საბჭოსთვის საკუთარი თავის დასამარების ტოლფასი იქნებოდა. საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის სერგო ტოპრაკაშვილის განმარტებით, "მადნეულის" აქციონერთა მოწვევა მხოლოდ ერთ მიზანს – სამეთვალყურეო საბჭოს სრული შემადგენლობის გადაყენებას და ახლის მოწვევას ემსახურება (ცნობისათვის, "მადნეულის" საწარმოში აქციების 98 პროცენტის მფლობელი სახელმწიფოა, კერძოდ კი – საწარმოთა მართვის სააგენტო).

მოვლენების ამ სცენარით განვითარება ლობჟანიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას ნიშნავს, რადგან საწარმოს აქციონერთა მიერ არჩეული ახალი საბჭო, პირველ რიგში, ძველ დირექტორს გაათავისუფლებს და ახალს მოიწვევს. ეს, ბუნებრივია, "მადნეულის" დღევანდელმა სამეთვალყურეო საბჭომ ძალიან კარგად იცის და სწორედ ამიტომაც მან გუშინ საწარმოთა მართვის სააგენტოს კატეგორიული უარი განუცხადა საწარმოს პარტნიორთა კრების მოწვევაზე. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სააგენტოს ერთადერთი გზა რჩება - სასამართლოს ძალით აქციონერთა კრების მოწვევა. ტოპრაკაშვილის განცხადებით, საწარმოთა მართვის სააგენტო მსგავსი მოთხოვნით სასამართლოს ამ დღეებში მიმართავს. სააგენტოში დარწმუნებულები არიან, რომ სასამართლო მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

## ბიზნესი უკუღმა

*სად იკარგება ენერგეტიკის კუთვნილი თანხები? როგორც ირკვევა, უამრავი ფინანსური "შავი ხვრელის" გარდა, ენერგეტიკის დარგს არასწორი დაგეგმვის პრობლემაც აწუხებს. როგორც სპეციალისტთა მიერ ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, დარგში ფინანსური ნაკადების მოძრაობა სემეკ-ის მიერ ისე უხეიროდაა დაგეგმილი, რომ დენის საფასურის 100-პროცენტიანი გადახდის შემთხვევაშიც ენერგეტიკა წაგებაზე იმუშავებს.*

მაია ურუშაძე

ჯერ კიდევ 2002 წლის აპრილში საბითუმო ბაზარი ენერგობალანსში ფინანსურ დეფიციტს წინასწარმეტყველებდა. ეს პროგნოზი ბაზრის სპეციალისტების მიერ შესწავლილ მასალებს ეყრდნობოდა, რომელთა ანალიზმაც მაშინ ცხადყო, რომ, სემეკ-ის მიერ დადგენილი ტარიფებით, ქვეყანაში წარმოებული და გარედან იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულებას რამდენიმე მილიონი ლარით უნდა გადაეჭარბებინა საბითუმო ბაზრის მყიდველების მიერ გადასახდელი თანხებისთვის.

**"მიმდინარე წლის 11 თვის ფაქტობრივმა შედეგებმა აჩვენა, რომ შეშფოთება უსაფუძვლო არ იყო: ამ პერიოდში ენერგოსისტემამ 256 მილიონ 900 ათასი ლარის ღირებულების დენი მოიხმარა, რომლის შესყიდვაც გამანაწილებელ კომპანიებს გაცილებით ნაკლები – 231 მილიონი ლარი დაუჯდათ, ანუ ენერგოსისტემაში თეორიულად არსებულმა ფინანსურმა დეფიციტმა 10 პროცენტი შეადგინა,"** – განუცხადეს "24 საათს" საბითუმო ბაზარში. ეს კი, არც მეტი - არც ნაკლები, იმას ნიშნავს, რომ დენის საფასურის 100-პროცენტიანი გადახდის შემთხვევაშიც კი, ელექტროენერგიის მომწოდებელთა ვალის მხოლოდ 90 პროცენტი დაიფარება.

თუ გავიხსენებთ, რომ ზოგიერთი მომხმარებელი საბითუმო ბაზარს გაცილებით ნაკლებ თანხებს უხდის, ვიდრე მართებს, რეალური მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება.

ამასთან, კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება აფხაზეთის მიერ მოხმარებული დენის საფასურის ამოღება. საბითუმო ბაზარს ხელთ არანაირი ბერკეტი არ უპყრია იმისათვის, რომ ამ მიმართულებიდან ფინანსური ნაკადი გაზარდოს. აფხაზეთის დავალიანებას დღეისათვის საქართველოს ბიუჯეტი მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს.

რაც შეეხება სხვა მსხვილ გამანაწილებელ კომპანიებს, მათი მხრიდან მოხმარებული ელექტროენერგიის ამოღების მაჩვენებლის გაზრდას ბაზარმა, ჯერჯერობით, ვერ მიაღწია. **"ჩვენ ვაწყდებით ტექნიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სირთულეებს, რომლის გადაჭრაც საბითუმო ბაზრის კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება,"** – აცხადებენ ბაზარში.

სპეციალისტების განმარტებით, ენერგეტიკაში ასეთი დისბალანსი გასულ წელს დარგზე განხორციელებულმა პოპულისტურმა თავდასხმებმა გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ "ლეიბორისტების" მიერ სემეკ-ის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის მოგებამ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის დაწევა განაპირობა, რის შედეგადაც გამანაწილებელ კომპანიებს შემოსავლის ოდენობა მნიშვნელოვნად შეუმცირდათ.

არადა, თავის დროზე, სემეკ-ის ხელმძღვანელები განმარტავდნენ, რომ მათ შემუშავებული ჰქონდათ სამი ტიპის ტარიფი. **"პირველი მათგანი საშუალებას იძლეოდა, რომ დარგი განვითარებულიყო, მეორე – უფრო დაბალი ტარიფი აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარების საშუალებას იძლეოდა, ხოლო მესამე დარგს მხოლოდ სულდგმულობის საშუალებას აძლევდა."** სემეკ-ში აცხადებდნენ, რომ "ლეიბორისტების" ენერგეტიკული დემარშის შემდეგ ენერგეტიკა **"მხოლოდ მეორედან მესამე ტიპის ტარიფზე გადავიდა და მეტი არაფერი."**

როგორც ჩანს, ეს საკითხი უახლოეს მომავალში მწვავედ დადგება დარგის ხელმძღვანელთა წინაშე. ფაქტი ჯიუტია: დღეს სახელმწიფოს ენერგეტიკის დოტირების საშუალება არ გააჩნია. ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დარგის წაგებაზე მუშაობას კი, შესაძლოა, უმძიმესი შედეგები მოჰყვეს.

**2003 წლის 11 თვის მონაცემებზე დაყრდნობით სურათი შემდეგია:**

| დასახელება | ბაზარზე შესყიდული ელექტროენერგია | | | გადახდა | |
|---|---|---|---|---|---|
| | მეგავატსაათი | ლარი | წილი მთლიან ღირებულებაში | ლარი | % |
| აფხაზეთი | 801 813 | 29 351 | 21% | 19 250 | 66% |
| გაერთიანებული ენერგოკომპანია | 1 167 825 | 39 262 | 29% | 3 632 | 9% |
| აჭარის ენერგოკომპანია | 284 119 | 7 964 | 6% | 1 402 | 18% |
| კახეთის ენერგოკომპანია | 45 185 | 1 336 | 1% | 540 | 40% |
| დანარჩენი ბაზრის წევრები | 1 211 709 | 59 840 | 43% | 51 876 | 87% |
| სულ | 3 510 652 | 137 753 | 100% | 76 700 | 56% |

# პუტინი ყაზახეთის „დასათრევად" გაემგზავრა

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ყაზახეთში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. უკვე საღამოს ის დახურულ კარს მიღმა ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდა. მართალია, შეხვედრის დეტალები ამ დროისათვის ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ დამკვირვებლები ერთხმად აცხადებენ, რომ ორი ქვეყნის ლიდერებს შორის არცთუ მეგობრული მუსაიფი გაიმართებოდა. მოსკოვს ასტანას მიმართ საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები დაუგროვდა. კრემლისათვის მთავარ გამაღიზიანებელ ფაქტორს კი ოფიციალური ყაზახეთის პროდასავლური ორიენტაციის თანდათანობითი გაძლიერება წარმოადგენს. რუსეთის ადმინისტრაცია შეშფოთებით ადევნებს თვალყურს დასავლეთსა და ყაზახეთს შორის სამხედრო და ენერგეტიკულ სფეროებში თანამშრომლობის პროცესის ნელ-ნელა გაღრმავებას, რუსული ენის ფაქტობრივად განდევნას და სახელისუფლებო რგოლებში რუსულენოვანი მოსახლეობის ხვედრითი წილის მკვეთრად შემცირებას. გარდა ამისა, ყაზახეთსა და რუსეთს შორის კვლავ პრობლემურ თემად რჩება საზღვრების დემარკაციის და ბაიკანურის კოსმოდრომის საკითხები.

### ყაზახეთი და დასავლეთი სამხედრო სფერო

რუსეთისათვის ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა მას შემდეგ შეიძინა, რაც ყაზახეთმა საკუთარი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მოდერნიზების თაობაზე ხელი მოაწერა პროექტს აშშ-სთან, დიდ ბრიტანეთთან და გერმანიასთან. პროექტის მთლიანი ღირებულება, დაახლოებით, ერთი მილიარდი ამერიკული დოლარია.

კრემლის ჩინოვნიკები მიიჩნევენ, რომ ყაზახეთის მიერ აღებული ორიენტაცია დასავლურ სამხედრო ტექნოლოგიების დანერგვაზე უხეშად არღვევს ყაზახეთის მიერ ნაკისრ ვალდებულებას დსთ-ს ფარგლებში ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის თაობაზე.

კრემლი ასევე ვერ ფარავს თავის გაღიზიანებას ყაზახეთის მიერ აშშ-სთან, დიდ ბრიტანეთთან, ესპანეთთან და თურქეთთან დაწყებული სამხედრო თანამშრომლობის გამო, რაც კასპიის ზღვაზე თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობას ითვალისწინებს. ამ მიზნის მისაღწევად 2003 წელს ნატო-ს ქვეყნებმა ყაზახეთს 35 მილიონი ამერიკული დოლარი გამოუყვეს.



*ნურსულთან ნაზარბაევი და ვლადიმირ პუტინი.*

უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ დასავლეთისათვის ცენტრალური აზიის რეგიონს განსაკუთრებული სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. ხოლო, როდესაც რეგიონის უდიდესი სახელმწიფო – ყაზახეთი – დასავლეთთან ინტეგრაციის სურვილს თავადაც იჩენს, ბუნებრივია, კრემლის იმპერიული ამბიციები უკვე სერიოზული პრობლემის წინაშე დგება.

### ყაზახური ნავთობი რუსეთის კიდევ ერთი თავის ტკივილი

ყაზახეთის მიერ აღებული პროდასავლური კურსი, სამხედრო-პოლიტიკურ სფეროსთან ერთად, რასაკვირველია, ნავთობის და ენერგეტიკულ საკითხებსაც მოიცავს.

კრემლის სტრატეგები უკვე საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ყაზახეთის ხელისუფლება ამ სფეროში რუსეთს ერთადერთ და "სანუკვარ" პარტნიორად აღარ განიხილავს. ასტანასათვის უფრო მიმზიდველ პერსპექტივად შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ნავთობპროექტებში მონაწილეობა განიხილება. დასავლური პროექტების თანახმად კი ყაზახური ენერგომატარებლები რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით უნდა მიეწოდოს ევროპულ ბაზრებს. ნურსულთან ნაზარბაევი ამ სარფიან წინადადებებზე, რასაკვირველია, თანხმობას აცხადებს და 2015 წლისათვის 160 მილიონი ტონა ნავთობისა და 70 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ექსპორტირებას აპირებს დასავლეთში.

რუსეთი კი ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, მშრალზე რჩება. სწორედ ამიტომ, კრემლის მესვეური თავის კოლეგასთან დახურულ კარს მიღმა აპირებს, პრინციპულად დასვას ჩრდილოეთ კასპიის ბუნებრივი აირის საბადოების ერთობლივად ათვისების საკითხი. უნდა ითქვას, რომ ეს წინადადება, უკვე დიდი ხანია, დღის წესრიგში დგას, მაგრამ შეთანხმებას ყაზახური მხარე ხელს არ აწერს. ნაზარბაევი დაჟინებით ითხოვს ამ პროექტში რუსული "როსნეფტის" წილის ხარჯზე ფრანგული კომპანია "ტოტალის" ჩართვას.

ვარაუდობენ, რომ პუტინი ასევე მკვეთრად გამოხატავს თავის უკმაყოფილებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტში ყაზახეთის ჩართვასთან დაკავშირებით. ამ პროექტის მთავარი ლობისტი ხომ შეერთებული შტატებია და ყაზახეთის მონაწილეობაც სწორედ ვაშინგტონის ინიციატივით გადაწყდა.

### საზღვრების პრობლემა და ბაიკანური

პუტინის ოფიციალური ვიზიტი ისე დაიწყო, რომ ორი ქვეყნის ექსპერტებმა საზღვრების დელიმიტაციის საკითხში საბოლოო შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლეს. ყაზახეთსა და რუსეთს შორის სამასკილომეტრიანი სასაზღვრო მონაკვეთი კვლავ საკამათოდ რჩება. ამდენად, პუტინის ვიზიტის დროს პრეზიდენტები ამ თემას, ალბათ, სამომავლო განხილვისათვის კვლავ სამთავრობო კომისიებს დაუტოვებენ.

რაც შეეხება ბაიკანურის კოსმოდრომის საკითხს, აქ პუტინს ნაზარბაევთან საკმაოდ დაძაბული საუბარი ექნება. რუსეთი დაჟინებით ითხოვს, რომ 2014 წლის შემდეგ, კოსმოდრომის იჯარის ვადა 50 წლით გაგრძელდეს. ასტანა კი ალტერნატიულ ვარიანტს ემხრობა, რომლის თანახმადაც, რუსეთს კოსმოდრომი იჯარით 2044 წლამდე უნდა გადაეცეს. ნაზარბაევის მოტივაცია ნათელია: ის იჯარის გახანგრძლივებას მცირე ვადებით ცდილობს, რათა რუსეთთან სავაჭრო რაც შეიძლება დიდხანს ჰქონდეს. ბაიკანურის კოსმოდრომი ხომ რუსეთისათვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტად არის მიჩნეული.

### რუსეთის მოლოდინი

კრემლის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეები პრეზიდენტ პუტინის ვიზიტის დასრულებას დიდი იმედებით ელიან. **"ვლადიმირ პუტინი, ალბათ, შეძლებს გააგებინოს თავის ყაზახ კოლეგას, რომ არსებული პრობლემების შენარჩუნებამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, შესაძლოა, სერიოზულად გაართულოს და, ამავე დროს, ადეკვატურმა რეაქციამ რუსეთის თხოვნებზე, შესაძლოა, ბევრი რამ მისცეს ასტანას,"** - წერს რუსულენოვანი გაზეთი "კომერსანტი."

**"ყაზახეთს შეუძლია თავისი სტაბილურობის შენარჩუნება და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთგაგების პირობებში ან კრემლის მხრიდან ნეიტრალიტეტის შენარჩუნების შემთხვევაში,"** - განუცხადა სააგენტო "ბიბისის" მოსკოვის დსთ-ს ინსტიტუტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ანდრეი გროზინმა.

რასაკვირველია, რუსეთთან ურთიერთობების გაუარესება ყაზახეთის ეროვნულ ინტერესებში სულაც არ შედის, ისევე როგორც დასავლეთთან კავშირებზე უარის თქმა. ბოლოს და ბოლოს, ოკეანსგაღმელი ჰეგემონის ნავთობდოლარებს ყაზახეთის დაცვა რუსული გავლენისაგან ამ ეტაპზე და უახლოეს მომავალშიც წარმატებით შეუძლია. რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი კი საზეიმო ვითარებაში წარიმართება: ნაზარბაევი ვლადიმირ პუტინის "შეტევას" "რუსეთის წელიწადის" გახსნის საზეიმო ცერემონიალით ეგებება.

# ევროკავშირი საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს მიესალმება

პირველი გვერდიდან

**"პრეზიდენტის არჩევნებმა საქართველოს გზა გაუხსნა ახალი ცხოვრებისაკენ... ევროკავშირი მოუწოდებს ყველა პარტიას, ითანამშრომლოს არჩეულ პრეზიდენტთან ასე საჭირო რეფორმების გასატარებლად... ევროკავშირი მიესალმება მიხეილ სააკაშვილის განცხადებას კორუფციასთან ბრძოლისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების შესახებ,"** – ნათქვამია ევროკავშირის ახალი თავმჯდომარე ქვეყნის, ირლანდიის მიერ კავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების სახელით გავრცელებულ განცხადებაში.

არჩევნებს ეხმაურება ევროკომისიის პრეზიდენტი, რომანო პროდიც: **"ამოცანები, რომლებიც თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის წინაშე დგას, უდიდესია ისევე, როგორც თქვენი ხალხის მოლოდინი. ამ ამოცანათაგან ორი უმთავრესი - კორუფციასთან ბრძოლა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საპარლამენტო არჩევნების გამართვაა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ სანამ თქვენ და თქვენი მთავრობა რეფორმების ერთგულნი იქნებით, ევროკავშირი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველოს უკეთესი მომავლის აშენებაში დაეხმაროს,"** – ნათქვამია მის მიერ პრეზიდენტისათვის გამოგზავნილ მისალოც წერილში.

მილოცვებთან და დახმარების სურვილთან ერთად, ევროკავშირი საქართველოს თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისკენაც მოუწოდებს. დამკვირვებელთა შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნები "საერთაშორისო სტანდარტებისაკენ გადადგმული ნაბიჯი" იყო, საპარლამენტო კი უკვე "საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი" უნდა იყოს.

# ლიბია 170 მილიონ დოლარს გადაიხდის

მრავალწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ლიბიის ხელისუფლებამ ხელი მოაწერა შეთანხმებას 1989 წელს დასავლეთ აფრიკაში დაღუპული საფრანგეთის ავიალაინერის მგზავრების ნათესავებისათვის ფულადი კომპენსაციის გადახდის თაობაზე. ამ ავიაკატასტროფის შედეგად 170 ადამიანი დაიღუპა. ლიბიის მთავრობა თითოეული დაღუპულისათვის ერთ მილიონ ამერიკულ დოლარს გადაიხდის, რაც ოთხ ეტაპად უნდა განხორციელდეს. ორმოცი მილიონი დოლარი ლიბიის მთავრობამ უკვე გუშინვე გადარიცხა საფრანგეთში. დანარჩენი თანხა ექვსი თვის განმავლობაში უნდა დაიფაროს. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტო "ფრანს პრესმა" გაავრცელა.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი თანხა გაცილებით ნაკლებია შოტლანდიის ქალაქ ლოკერბის თავზე აფეთქებული თვითმფრინავის კომპენსაციასთან შედარებით, საფრანგეთის მხარე მიღწეული შეთანხმებით მაინც კმაყოფილია. "ლოკერბის საქმისათვის" ლიბიამ დიდ ბრიტანეთს ორი მილიარდ შვიდასი მილიონი ამერიკული დოლარი გადაუხადა.

საფრანგეთის ავიახაზების ლაინერი 1989 წელს ნიგერიის თავზე აფეთქდა. 170 დაღუპულთაგან 54 ფრანგი იყო. 1999 წელს ამ ტერაქტისათვის ექვსი ლიბიელი ტერორისტი იქნა გასამართლებული. მოგვიანებით, ტერაქტზე პასუხისმგებლობა თავად ლიბიის ხელისუფლებამ აიღო და კომპენსაციის გადახდაზე მოლაპარაკებების სერიაც დაიწყო.

საერთაშორისო თანამეგობრობა აღნიშნულ შეთანხმებას საფრანგეთსა და ლიბიას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს.

გასული წლის დეკემბერში ლიბიამ უარი განაცხადა ბირთვული იარაღის პროგრამების დამუშავებაზე და სამხედრო ობიექტებზე გაერო-ს ინსპექტორთა შეშვებას დათანხმდა. ამ დათმობების მიუხედავად, შეერთებული შტატები ტრიპოლის ნაბიჯებს კვლავ სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს, რომ ლიბიას საერთაშორისო თანამეგობრობის ნდობის მოსაპოვებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი.




# აფხაზეთიდან დევნილები ნადარეიშვილის გადადგომას და "მიმოზების რევოლუციას" ითხოვენ



"მიმოზების რევოლუცია" იმელის შენობასთან იწყება.

*გუშინ "იმელის" შენობის წინ დევნილთა საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი ორგანიზატორია აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების პოლიტიკური საბჭო. აქციის მონაწილეები ითხოვენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის უპირობო გადადგომას, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებას და საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების გაგრძელებაზე უარის თქმას.*

გიორგი ასანიშვილი

ამ სამი ამოცანიდან აქციის ორგანიზატორებისთვის უმთავრესს თამაზ ნადარეიშვილის გადაყენება წარმოადგენს და ამიტომ, გუშინ ყურადღება, ძირითადად, მასზე იყო გადატანილი. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიმართ წაყენებული ბრალდებების ნუსხა საკმაოდ ვრცელია და ნადარეიშვილის მოღვაწეობის ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს.

მოძრაობა "დაბრუნების" წევრი, აფხაზეთის იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ თოდუა ირწმუნება, რომ გააჩნია დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, თამაზ ნადარეიშვილი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 1975 წელს გადაიბირა უშიშროების სამსახურმა და ამის შემდეგ "იაგოს" მეტსახელს ატარებს.

საპროტესტო აქციის მონაწილენი "იაგოს" აფხაზეთის ომის დროს დაკავებული პოზიციისთვისაც ედავებიან.

**"მეომრების მიერ ნადარეიშვილი დეზერტირად არის გამოცხადებული. ორი ორდენი მას, ეტყობა, გაგრისა და სოხუმის დაცემისთვის აქვს მიღებული. იმის ნაცვლად, რომ კოდორის ხეობაში იყოს და იქიდან ხელმძღვანელობდეს აფხაზეთის დაბრუნების საქმეს, ნადარეიშვილი თბილისში გამაგრდა და მაფიოზურ კლანებს ეხმარება. ის, შევარდნაძესთან ერთად, 12 წლის განმავლობაში ხელს უშლიდა აფხაზეთის შემოერთებას",** - აცხადებს მეომართა კავშირ "ჯიხას" ასმეთაური ჯემალ სვანიძე.

აქციის მონაწილენი იმის გამოც არიან უკმაყოფილონი, რომ "ვარდების რევოლუციის" დროს ნადარეიშვილი შევარდნაძის გუნდის მხარდამჭერთა შორის იყო.

**"ნოემბრის მოვლენების დროს ნადარეიშვილი ხალხს გაწუდგა და შევარდნაძეს პარლამენტში კვორუმის მოგროვებაში დაეხმარა",** - აღნიშნავს იგივე სვანიძე.

მოძრაობა "დაბრუნების" კიდევ ერთი წარმომადგენელი მალხაზ პატარაია კი მიიჩნევს, რომ "ვარდების რევოლუცია" შევარდნაძის გადაყენებით არ უნდა დასრულდეს.

**"ვარდების რევოლუცია" ფსოუსთან უნდა დამთავრდეს. აფხაზეთში ის "მიმოზების რევოლუციის" სახით უნდა გაგრძელდეს",** - შენიშნავს პატარაია.

აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს თამაზ ნადარეიშვილი ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა. მისი თქმით, იგი თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს, რადგან "იმელის" შენობის წინ შეკრებილი ხალხი მთელი დევნილი მოსახლეობის აზრს არ გამოხატავს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "მინდა, მივმართო საზოგადოების თითოეულ წევრს: ქუჩაში სამათხოვროდ გამოსულ ე.წ. ქუჩის ბავშვს ნუ მისცემენ ფულს. სჯობს, ფუნთუშა, სათამაშო, მაისური უყიდონ ან, თუნდაც, მოეფერონ. მათთვის მიცემული 20 თეთრიც კი წაქეზებაა იოლი ცხოვრებისკენ. თუ საზოგადოება ერთთვიან ბოიკოტს გამოაცხადებს და ქუჩაში გამოსულ ბავშვს არც ერთ თეთრს არ მისცემს, მაშინ მშობელი ან „დამკვეთი" აღარ დაინტერესდება შემოსავლის ამ წყაროთი. როცა ბავშვის უფლებას უპირველესად მშობელი-დედა არღვევს, საიდან უნდა დავიწყოთ ბავშვთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა? რადგან ჩვენში დღეს ზნეობის აშკარა დეფიციტია, ხოლო მშობლის აზროვნება ორიენტირებულია ყოფაზე და არა ცნობიერებაზე, საშიშროება გარდაუვალია," - გვირჩევს პოლიციის პოლკოვნიკი ციცო კიკალიშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ფილტვისა და ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა, ოთხი თვის სახელფასო დავალიანების დაფარვის მოთხოვნით, საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ხეჩინაშვილმა განაცხდა, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ცენტრს ამ ეტაპზე მხოლოდ დეკემბრის თანხის გადარიცხვას დაჰპირდა. მისივე თქმით, საპენსიო ფონდის წარმომადგენლები ცენტრის თანამშრომლებს უახლოეს დღეებში შეხვდებიან, რის შემდეგაც გადაწყდება, რა ვადებში დაიფარება სამი თვის სახელფასო დავალიანება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სახელმწიფო კანცელარიის შენობასთან ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანმა პენსიონერებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი ორი თვის საპენსიო დავალიანების დროულად გასტუმრებას მოითხოვენ. ვეტერან პენსიონერებს შორის არიან აფხაზეთის, სამაჩაბლოს და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები. ისინი აცხადებენ, რომ დღევანდელი ხელისუფლება დანაპირებს არ ასრულებს. „ჩვენ მხარი დავუჭირეთ სააკაშვილს, მაგრამ ჯერჯერობით დაპირება დაპირებადვე რჩება", — განაცხადეს მათ. ვეტერანთა თქმით, არიან ისეთებიც, რომლებსაც პენსია, ათი თვეა, არ მიუღიათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობას დღეიდან გიორგი ტყეშელაშვილი შეასრულებს, რომელიც აქამდე სამსახურის უფროსის მოადგილე იყო; ხელმძღვანელის მოვალეობები მას დროებით დაეკისრება. **მედია-ნიუსი**


# განცხადება

**სააქციო საზოგადოების რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ**

სს "ბორჯომის ავტოტრანსი"-ს გენერალური დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 29 იანვარს 15 საათზე ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცკის 42-ის სააქტო დარბაზში.

**დღის წესრიგი:**

*საზოგადოების ლიკვიდაცია;*

დღის წესრიგის საკითხის გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის გენერალურ დირექტორთან.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან, როგორც კრებაზე (ზეპირად), ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ იქნა გენერალურ დირექტორთან ან სამეთვალყურეო საბჭოში 2004 წლის 19 იანვრამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი "რეესტრი-XXI", 2003 წლის 29 დეკემბრის 18 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ა.წ. 19 იანვრის 10 საათიდან 28 იანვრის 18 საათამდე მისამართზე:

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №39 ა, დამოუკიდებელი რეგისტრატორის "რეესტრი-XXI"-ის ოფისი.

**სს "ბორჯომის ავტოტრანსი"-ს გენერალური დირექტორი**
**ქ. თბილისი 10 იანვარი 2004 წ.**


# რას წაიკითხავენ პატიმრები

დალი კუპრავა

გუშინ, "დაუმორჩილებლების" ინიციატივით, "წიგნის კაფეში" პატიმრებისთვის წიგნები შეგროვდა. მომსვლელები ჯერ წიგნებს აწყობდნენ საგანგებო მაგიდაზე და შემდეგ შინაურდებოდნენ.

**"ეს არ არის დაფინანსებული პროექტი. იდეა ქალთა და არასრულწლოვანთა კოლონიების მონახულებისას დაიბადა. იქ საკმაოდ მწირი ბიბლიოთეკებია. დაუმორჩილებლობის კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო. ეს პერმანენტული აქციაა და ყველა მსურველს შეუძლია მოიტანოს წიგნი პატიმრებისთვის,"** - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა. მან მაგიდას იურიდიული ლიტერატურა შეჰმატა, რაც, როგორც ყოფილმა პატიმარმა და საქართველოს მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლევან ბერძენიშვილმა აღნიშნა, პატიმრების განსაკუთრებული მოთხოვნაა. ორი წლის წინ, საპატიმროებში წიგნებზე მოთხოვნილებების შესწავლის შემდეგ, ლევან ბერძენიშვილი უკვე მეოთხედ მონაწილეობს ამგვარ აქციაში. ამჯერად მან მოიტანა საშუალოზე მაღალი სირთულის წიგნები - ვირჯინია ვულფი, ფოლკნერი, ფრიში... - პატივისცემის ნიშნად იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებული ინტელექტით გამოირჩევიან. პატიმრებს არ ჰყვარებიათ წიგნები სიყვარულზე, მაგრამ განსაკუთრებით უყვართ პოეზია. რაც შეეხება ინტერესს ქანებსა და მინერალოგიაზე შექმნილი ლიტერატურისადმი, ეს უფრო სპეციფიკურია და გათხრებს უკავშირდებაო, - აღნიშნა ბერძენიშვილმა.



საქართველოს მთავარმა ბიბლიოთეკარმა იცის, თუ რას კითხულობენ პატიმრები.

**"პატიმრებს უყვართ იურიდიული ლიტერატურა, დეტექტივები, კლასიკა, განსაკუთრებით - პოეზია. დიდი ინტერესია შემეცნებითი, გამოყენებითი ხასიათის ლიტერატურისადმი, უცხო ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოებისადმი. საერთოდ კი, პატიმრებისთვის წიგნების შერჩევა უკვე პროფესიად მექცა,"-** თქვა ლევან ბერძენიშვილმა; მან გაიხსენა თავისი პატიმრობის ხანა, როცა ხელიდან სტაცებდნენ ეტიმოლოგიის სახელმძღვანელოს, ხოლო ივანოვი-გამყრელიძის ენათმეცნიერული ნაშრომი, რომელიც თბილისში სამ კაცს თუ ექნება წაკითხული და, მათ შორის, ერთ-ერთი გამყრელიძეა, ლევან ბერძენიშვილის ზონაში ყველა პატიმარს წაუკითხავს. ლევან ბერძენიშვილი აღნიშნავს, საზოგადოდ, პატიმართა ინტერესს კითხვისადმი და საპატიმროების ბიბლიოთეკებზე ზრუნვის აუცილებლობას.

იურისტ ნიკა რურუას ის წიგნები შეურჩევია, რომელიც მას წაკითხული აქვს და მოსწონს: **"ქალთა კოლონიაში სამოქალაქო განათლების ლიტერატურა გვთხოვეს და ვუგზავნით".**

აქცია გრძელდება და კიდევ ათი დღის განმავლობაში ყველას შეუძლია წიგნების მიტანა კოსტავას ქუჩაზე "წიგნის კაფეში".

# კანონი კანონიერი უზნეობის წინააღმდეგ

თამარ დვალი

*"ბატონი მიშა პირველი იყო, ვინც უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ხმა აიმაღლა. იმედი გვაქვს, რომ ახალი პრეზიდენტი თავის დაწყებულ საქმეს კვლავ გააგრძელებს და ქალაქში შექმნილ ქაოსს ბოლოს მოუღებს", – აცხადებდნენ გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში შეკრებილი არქიტექტორები და "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებზე საუბრობდნენ.*

ვაკის პარკში, ალექსანდრეს ბაღსა, თუ "მზიურის" მიმდებარე ტერიტორიებზე დაწყებული უზნეო, თუმცა კანონიერი მშენებლობების აღკვეთის შესახებ გუშინ შეკრებილი საზოგადოება პრეზიდენტს მესიჯს უგზავნიდა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ითხოვდა. ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის თეიმურაზ ჩარკვიანის თქმით, ქალაქში დაწყებული მშენებლობების უმეტესობა, სამწუხაროდ, კანონიერად ითვლება.



კანონიერი უზნეობა ვაკის პარკში.

**"მშენებლობა, რომელზეც ქალაქის არქიტექტორს ნებართვა არ აქვს გაცემული, ითვლება უკანონოდ. ასეთი უნებართვო მშენებლობა ძალიან იშვიათად თუ შემხვედრია – ძირითადად, ყველაზე ნებართვაა გაცემული. სხვა საკითხია, რამდენად კანონიერად არის გაცემული. უნებართვო მშენებლობების ოპერატიულად გამოსწორებისა და აღკვეთის მიზნით, მომზადებული გვაქვს კანონპროექტი - "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ", რომლის თანახმადაც, არქმშენინსპექციას უფლება ექნება, მის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, დაჯარიმების და მშენებლობის შეჩერების იძულებითი წესით განხორციელებისათვის მიმართოს არა სასამართლოს, არამედ სააღმსრულებლო ბიუროს. როდესაც დამრღვევი პირი არ ეთანხმება არქმშენინსპექციის დადგენილებას, სასამართლოში საქმის განხილვა მოხდება დამრღვევი პირის სარჩელის საფუძველზე. აღნიშნული კანონპროექტი მოწონებულია მთავრობის სხდომაზე და გაგზავნილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად. თუ ეს ცვლილებები მოხდა, იმედია, საქმე გაადვილდება, "** – აცხადებს ჩარკვიანი. მისივე თქმით, ყველა სასამართლომდე მისული საქმე აქამდე მშენებლის სასიკეთოდ წყდებოდა ხოლმე. ცვლილებების შეტანის შემთხვევაში ასე აღარ მოხდება.

საკრებულოს არქიტექტურისა და მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე მანუჩარ მაჩაიძე აცხადებს, რომ თბილისში შენობა-ნაგებობების მდგომარეობა ძალზე საგანგაშოა. **"დაახლოებით, 22 ათასი სახლი პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის დაზიანებებითაა. ექვსი ათას სახლზე არსებობს კომისიის მიერ გაცემული დოკუმენტაცია, სადაც ნათქვამია, რომ ამ შენობების აღდგენა-გამაგრება შეუძლებელია. ამ სახლებში მაცხოვრებლები არიან ცუდ, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში. ასე რომ, მშენებლობა გარდაუვალია, თუმცა, საჭიროა წესების დაცვა. გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ამ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საკმაოდ უხარისხო მშენებლობები მიმდინარეობდა. ბოლო 6-7 თვეა, კონტროლი გამკაცრდა. თბილისი სეისმურად საშიში ზონაა და, ამ მხრივაც, დიდი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ, "** – აღნიშნა მაჩაიძემ.

# "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭო" ბათუმში დაპატიმრებული "კმარელების" გასათავისუფლებლად საზოგადოებრივი საბჭოს შექმნას გეგმავს

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭო" ბათუმში დაპატიმრებული "კმარას" აქტივისტების გათავისუფლებას მოითხოვს და, ამ მიზნით, სხვა არასამთავრობოებთან ერთად, საზოგადოებრივი საბჭოს შექმნას გეგმავს.

როგორც "სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" ხელმძღვანელმა მზია ალავიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნულ ინიციატივას მხარს უჭერენ "ახალგაზრდული კავშირი," "ქალთა განვითარების საერთაშორისო ასოციაცია," "ჰააგის კლუბი," საზოგადოება "ფიესტა," ასოციაცია "იურისტები და ჟურნალისტები ადამიანთა უფლებებისათვის," "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი," "ახალგაზრდა სტუდენტ-მედიკოსთა ასოციაცია" და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

"არასამთავრობოებმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ თბილისსა და ბათუმს შორის პრობლემების მოგვარებაში. ვფიქრობთ, საზოგადოებრივი საბჭოს შექმნა ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობას უფრო გამჭვირვალეს გახდის, გარკვეულწილად, მოხსნის არსებულ დაძაბულობას და ყველა სახის სამშვიდობო ინიციატივას ჩაუყრის საფუძველს," - აღნიშნა მზია ალავიძემ. **ინტერ-პრესი**

# გახმაურებული გატაცებების გასაიდუმლოებული საქმის დეტალები

### იმერეთში მოქმედმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ ცნობილ ბიზნესმენებს სოლიდური გამოსასყიდი გადაახდევინა




*ამირან ნაცვლიშვილის და გიორგი სანადირაძის გათავისუფლება სოლიდური თანხა დაჯდა.*

*2002-2003 წლებში, იმერეთში, ფულის გამოძალვის მიზნით დაფიქსირდა ადამიანთა გატაცების 15 შემთხვევა. ბოლო პერიოდში რეგიონში მომხდარი გატაცების შემთხვევებმა იმდენად მასშტაბური სახე მიიღო, რომ იმერეთი პანკისის ხეობას დაემსგავსა. სხვათა შორის, გამტაცებელთა ჯგუფს, რომელიც იმერეთის რეგიონში მუშაობდა, კრიმინალური ხელწერა პანკისის ხეობაში მოქმედი ცნობილი დანაშაულებრივი დაჯგუფებისგან ჰქონდა აღებული. გასულ წელს იმერეთის რეგიონში მომხდარი გატაცებებიდან ყველაზე რეზონანსული ქუთაისის ავტოქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ამირან ნაცვლიშვილისა და 12 წლის ზესტაფონელის გიორგი სარდანაძის ორჯერ გატაცების ფაქტი გახალდათ. ამ საქმეების გამოძიება ქუთაისის საოლქო პროკურატურამ ახლახან დაასრულა. ამ რეზონანსული გატაცების დეტალები თავის დროზე როგორც გატაცებულთა ახლობლებმა, ასევე სამართალდამცველებმაც მკაცრად გაასაიდუმლეს. არადა, როგორც ახლა ირკვევა, გამტაცებელთა ჯგუფის წევრებმა ორივე შემთხვევაში სოლიდური გამოსასყიდი მიიღეს.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ნაცვლიშვილისა და სარდანაძის გატაცება თერთმეტკაციანმა, კარგად ორგანიზებულმა ბანდიტურმა დაჯგუფებამ განახორციელა.

პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნით, ბანდის ორგანიზატორებად კონსტანტინე ჭრელაშვილი და გელა ბარაბაძე არიან მიჩნეულნი. მათ კრიმინალურ დაჯგუფებაში გაერთიანებულნი იყვნენ: გიორგი ბაბუნაშვილი, ვასილ ლოსაბერიძე, რამაზ შალიკიანი, რევაზ ფურცხვანიძე, გენადი მჟავანაძე, ლევან ბერუჩაშვილი, გოჩა ბრეგაძე, დავით ქოჩიაშვილი და თორნიკე დავითაშვილი. რომელთაგან ორი - გელა ბარაბაძე და დავით ქოჩიაშვილი - ადრე ადამიანთა გატაცებისთვის იყვნენ ნასამართლევი, დანარჩენები კი, ძარცვისა ნარკოტიკების დამზადება-შენახვისთვის იხდიდნენ სასჯელს. ამ ჯგუფმა, რომელიც, ძირითადად, იმერეთში მოქმედებდა, სამი თვის განმავლობაში შვიდი კარგად ორგანიზებული, ბანდიტური თავდასხმა განახორციელა.

სწორედ ამ ჯგუფის წევრებმა გაიტაცეს სააქციო საზოგადოება "ქუთაისის ავტოქარხნის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ამირან ნაცვლიშვილი. ნაცვლიშვილის გატაცების გეგმის შემუშავებამდე ჭრელაშვილმა და მჟავანაძემ ავტოქარხნის დაცვის თანამშრომლები გამოკითხეს და შეისწავლეს ამირან ნაცვლიშვილის სახლის მისამართი, სამუშაო გრაფიკი და სხვა დეტალები. დაადგინეს ისიც, რომ მას სამტრედიის სოფელ ბაშში გარდაეცვალა ბიძა - პეტრე ნაცვლიშვილი, რომელიც 2002 წლის 26 ნოემბერს უნდა დაეკრძალათ. ჯგუფის წევრებმა ნაცვლიშვილის მოტაცება დაკრძალვის დღეს გადაწყვიტეს. ამ მიზნით ისინი სოფელ ბაშში ჩავიდნენ და ქუთაისი-სამტრედიის გზატკეცილზე ჩასაფრდნენ, თუმცა მოგვიანებით ნაცვლიშვილის გატაცება გადაიფიქრეს.

მალე მათ ახალი გეგმა შეიმუშავეს. 2002 წლის 2 დეკემბერს ავტომატებით შეიარაღებული კონსტანტინე ჭრელაშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, რევაზ ფურცხვანიძე და ვასილ ლოსაბერიძე გატაცებული ავტომობილით მივიდნენ ბუხაიძის ქუჩა N4-ში მდებარე ამირან ნაცვლიშვილის სახლთან და მსხვერპლს ჩაუსაფრდნენ. ბანდის სხვა წევრები კი ავტოქარხნის შესასვლელთან ნაცვლიშვილის გამოსვლას ელოდებოდნენ. დაახლოებით რვა საათზე ქარხნის შესასვლელთან ჩასაფრებულმა გენადი მჟავანაძემ კონსტანტინე ჭრელაშვილს აცნობა - ნაცვლიშვილი სახლისკენ მოემართებაო. 20 წუთში ისინი ამირან ნაცვლიშვილს თავს დაესხნენ, თავზე ტომარა ჩამოაცვეს, თავისივე მანქანაში ჩასვეს და გაიტაცეს. "ავტოქარხნის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თავდაპირველად "გოჭოურის" სასაფლაოსთან მიიყვანეს, სადაც რეზინის ხელკეტებითა და ავტომატის კონდახებით სცემეს, რის შედეგაც ბოროტმოქმედებმა იგი გელა ბარაბაძის მეზობლის, თეიმურაზ კუჭუხიძის მიტოვებულ სახლში მიიყვანეს. ამირან ნაცვლიშვილის კუთვნილი მანქანა კი ქუთაისის ჰოსპიტლის ტერიტორიაზე მიატოვეს. ბანდის წევრები ნაცვლიშვილის გატაცების დღესვე მობილური ტელეფონით რამდენჯერმე დაუკავშირდნენ ამირან ნაცვლიშვილის მეუღლეს, რუსუდან ტოგონიძეს, გატაცების ფაქტი შეატყობინეს და მომხდარის პოლიციაში გაცხადების შემთხვევაში მეუღლის მოკვლით დაემუქრნენ. მეორე დღეს ისინი ქუთაისის ავტოქარხნის შვილობილი კომპანიის - "ავტომშენის" დირექტორს თამაზ თამაზაშვილს დაუკავშირდნენ და ამირან ნაცვლიშვილის გამოსასყიდად 50 ათასი აშშ დოლარის გადახდა მოითხოვეს. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი ნაცვლიშვილის მოკვლით დაიმუქრნენ.

ნაცვლიშვილის მეუღლემ 48 ათასი დოლარი, 1000 ევრო და 2000 ლარი შეაგროვა და ამის შესახებ 5 დეკემბერს აცნობა თამაზ თამაზაშვილს. გამოსასყიდის გადაცემისთვის ჯგუფის წევრებმა უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მიმართეს და საქმეში პოლიციელი ზაალ კახნიაშვილი ჩართეს. კახნიაშვილმა შეიარაღებული ბანდის წევრები თავის მანქანით თერჯოლის სოფელ გოდოგანში ჩაიყვანა, საიდანაც ოთხი გამტაცებელი ტყიბულის სოფელ გელათში ფეხით გადავიდა. გელათის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია გახლდათ ის ადგილი, სადაც ჯგუფის წევრებმა ფული ჩაიბარეს და მომდევნო დღეს ამირან ნაცვლიშვილი პოლიციელ ზაალ კახნიაშვილის ავტომობილით ბუაჩიძის ქუჩაზე მიიყვანეს და გაათავისუფლეს.

**"გამოძალული თანხიდან 34 ათასი დოლარი კონსტანტინე ჭრელაშვილმა და ბანდის სხვა ექვსმა წევრმა გაინაწილეს. 500 დოლარი კონსტანტინე ჭრელაშვილს თავისი ძმისთვის - მსჯავრდებული სოსო ჭრელაშვილისთვის გადასაცემად მისცეს. 6 ათასი დოლარი კი მეგობრის, გეგუთის კოლონიის მკვიდრის, სულხან მჟავიას გასათავისუფლებლად გადადეს, ხოლო 8 ათასი დოლარი - მორიგი თავდასხმის განსახორციელებლად,"** - განაცხადა იმერეთის სამხარეო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა გიზო უგულავამ.

მოგვიანებით ჭრელაშვილის გამტაცებელთა ჯგუფმა ახალი წევრები შემოიმატა და შეიარაღებაც გაიუმჯობესა. ახალმა წევრებმა ახალი საქმეები მოიტანეს. **"ბანდის ახალმა წევრმა ლევან ბერუჩაშვილმა 2003 წლის იანვრის დასაწყისში კონსტანტინე ჭრელაშვილს, გელა ბარაბაძეს, ვასილ ლოსაბერიძეს, გენადი მჟავანაძეს, დავით ქოჩიაშვილს, თორნიკე თავადიშვილსა და გოჩა ბრეგაძეს შესთავაზა დიდი ოდენობით ფულის - 200 ათასი დოლარის გამოძალვის მიზნით ზესტაფონის მკვიდრის, ბიზნესმენ დიმიტრი სარდანაძის გატაცება. მიზნის განსახორციელებლად მათ ვაზ 2121" და ვაზ-06 მარკის ავტომანქანა გაიტაცეს. დანაშაულის ჩადენის დროდ კი 2003 წლის 26 იანვარი დათქვეს,"** – წერია საბრალდებო დასკვნაში.

დათქმულ დღეს, დაახლოებით ექვსის ნახევარზე, ცეცხლსასროლი იარაღებითა და საბრძოლო მასალით შეიარაღებული გელა ბარაბაძე, გიორგი ბაბუნაშვილი, გოჩა ბრეგაძე, ლევან ბერუჩაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე, თორნიკე თავიდაშვილი და დავით ქოჩიაშვილი თავს დაესხნენ ზესტაფონში, რესტორან "გემოში" მყოფ დიმიტრი სარდანაძეს, რომელიც თავის მეგობრებთან - ზესტაფონის პოლიციის ყოფილ უფროს ხვიჩა გუმბარიძესთან, დიმიტრი ჭაჭიაშვილთან, ირინია ჯავახიასთან და ამირან ფურცელაძესთან ერთად ვახშმობდა. დიმიტრი სარდანაძე დერეფანში გამოიყვანეს, მაგრამ იქვე მიატოვეს. მიზეზი კი გოჩა ბრეგაძის მიერ საკუთარი ავტომატიდან გასროლით ფეხის დაიზიანება გახლდათ, ამასთანავე თავდასხმელები ვერ დარწმუნდნენ, რომ ვისაც იტაცებდნენ, დიმიტრი სარდანაძე იყო თუ არა, ამიტომაც ხვიჩა გუმბაიძის კუთვნილი პისტოლეტი გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მიუხედავად მარცხისა, თავდამსხმელებს ფარხმალი არ დაუყრიათ და მოგვიანებით დიმიტრი სარდანაძის 12 წლის შვილის - გიორგის გატაცება დაგეგმეს; შეთანხმდნენ, რომ ის 2003 წლის 12 თებერვალს გაეტაცათ. ახალი საქმისთვის ახალი მანქანა - "ბმვ"-ს მარკის ავტომობილი მოიპარეს.

სამხედრო ფორაში ჩაცმული და ავტომატებით შეიარაღებული ბანდის წევრები: გელა ბარაბაძე, გიორგი ბაბუნაშვილი, ვასილ ლოსაბერიძე და თორნიკე თავადიშვილი მოპარული მანქანით ზესტაფონში ჩავიდნენ, სკოლიდან გამოსულ გიორგი სარდანაძე ავტომობილში ჩასვეს და გაიტაცეს.

საგამოძიებო მასალებში ნათქვამია, რომ გიორგი სარდანაძის გატაცებას საზოგადოების მხრიდან პრესითა და ტელევიზიით აჟიოტაჟი და მწვავე შეფასებები მოჰყვა, რასაც დამნაშავეები დაუფრთხია. **"ბანდიტები დარწმუნდნენ, რომ სარდანაძიდან ფულის გამოძალვის შემთხვევაში მხილებულნი იქნებოდნენ და 2003 წლის 18 თებერვალს იგი გაათავისუფლეს,"** - ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში, თუმცა სამართალდამცველთა ეს მტკიცება, ანუ ფაქტი, რომ დამნაშავეებს მხილების შეეშინდათ, ეჭვს იწვევს, რადგან გელა ბარაბაძემ და ვასილ ლოსაბერიძემ, რომლებსაც პოლიცია უკვე ეძებდა, გიორგი სარდანაძე 29 აგვისტოს მეორედ, ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს და რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს კიდეც.

თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, კონსტანტინე ჭრელაშვილისა და ლევან ბერუჩაშვილის გაერთიანებულ ჯგუფებს შორის კონფლიქტი მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, სარდანაძის გატაცების იდეის ავტორმა ლევან ბერუჩაშვილმა გიორგი სარდანაძის პირველი გატაცებისას გადახდილი გამოსასყიდი, 50 ათასი დოლარი, კონსტანტინე ჭრელაშვილის ჯგუფს არ გაუყო. სწორედ ამის გამო მოხდა პარტნიორებს შორის კონფლიქტი და გაბრაზებულმა ჭრელაშვილმა სარდანაძე მეორედ გაიტაცა. გავრცელებული ინფორმაციით, სარდანაძეებს მეორეჯერაც მოუწიათ გამოსასყიდის – 50 ათასი დოლარის გადახდა. იმის გამო, რომ შეშინებულმა სარდანაძეებმა სამართალდამცველებს ჩვენება არ მისცეს და გამოსასყიდის გადახდის ფაქტი კატეგორიულად უარყვეს, საბრალდებო დასკვნაში სარდანაძის გატაცების შესახებ მწირ ინფორმაციას შეხვდებით.

ქუთაისის პროკურატურამ ორივე გატაცება ერთ საქმედ გააერთიანა, თუმცა ძიების პროცესში ვერ მოხერხდა ბანდის წევრების: გელა ბარაბაძის, ვასილ ლოსაბერიძის, თორნიკე თავადიშვილის, რამაზ შალიაკიანის, გენადი მჟავანაძისა და დავით ქოჩიაშვილის ადგილსამყოფელის დადგენა. ისინი ამჟამად იძებნებიან.

საქმე განსახილველად ქუთაისის საოლქო სასამართლოს უკვე გადაეცა და პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება.

# „პოლიცია მღებრიშვილის გარეშე!"

ხათუნა ჯანგირაშვილი

"გათავისუფლდეს პოლიცია ულირსი თანამშრომლებისგან", "არ გვინდა კორუმპირებული, მოძალადე და მექრთამე პოლიციელები" - გუშინ ასეთი შინაარსის ლოზუნგები იყო გამოფენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ. მშვიდობიანი, საპროტესტო აქციით არასამთავრობო ორგანიზაციებმა ("ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი", "საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი" და "საქართველოში ფორსმაჟორული და სხვადასხვა სიტუაციების დროს დაზარალებულთა საზოგადოება") შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს საკუთარი პრეტენზიები წაუყენეს. მართალია, აქციის ორგანიზატორთა განმარტებებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ გამართული გუშინდელი შეკრება ზოგად შინაარსს ატარებდა, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები გუშინ კონკრეტულ მაღალჩინოსან პოლიციელთა გვარებს ასახელებდნენ, რომლებმაც, მათი აზრით, სასწრაფოდ უნდა დატოვონ პოლიციური თანამდებობები.

**"დარწმუნებულები ვართ, ახალი მინისტრი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ წლების განმავლობაში დაჭაობებული სტრუქტურა ბოლომდე გაწმინდოს და ამ სისტემაში მხოლოდ პატიოსანი, პროფესიონალი და არაკორუმპირებული თანამშრომლები დატოვოს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დადგეს დრო, როცა ჩვეულებრივი მოქალაქეები ნდობას გამოუცხადებენ პოლიციელებს, კი არ შეეშინდებათ მათი უკანონო ქმედების, არამედ მათი იმედი ექნებათ. იმედი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი გაკეთდება. ჩვენი აქციის მიზანი სწორედ შინაგან საქმეთა ახლი მინისტრის მხარდაჭერაა; თუმცა, თუკი ამ სტრუქტურაში ყველაფერი ისევე დარჩება, ჩვენ ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს მივმართავთ",** - განაცხადეს ჩვენთან საუბრისას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეკრებილებმა, რომელთა რისხვის მთავარი ობიექტები გუშინ "ომონის" შეფი თემურ მღებრიშვილი და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ყოფილი უფროსი დავით კაჭკაჭიშვილი აღმოჩნდნენ. აქციის ორგანიზატორებმა "წმინდა ინკვიზიციის სიგელი" წარმოადგინეს, რომელიც "კანონსაწინააღმდეგო, არაადამიანური და სადისტური ქმედებებისთვის" თემურ მღებრიშვილს არგუნეს.

არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრები მღებრიშვილს ქცევასა და პოლიტიკური შინაარსის კომენტარებს უწუნებენ. "სასწრაფოდ გათავისუფლდეს პოლიცია მღებრიშვილისა და მისნაირებისგან", - ასეთი გახლდათ აქციის მონაწილეთა გუშინდელი კონკრეტული მოთხოვნა.

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებთან გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრი არ გამოსულა. აქციის მონაწილეებს მისი მოადგილე შოთა ასათიანი შეხვდა და ისინი მოსალაპარაკებლად სამინისტროში "შეიპატიჟა".

"კონსტრუქციული დიალოგი, რასაც დადებითი შედეგი ნამდვილად მოჰყვება", - ასე შეფასდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესა და აქციის მონაწილეთა შორის შემდგარი შეხვედრა.

**"იმ შემთხვევაში, თუ თემურ მღებრიშვილის წინააღმდეგ კონკრეტული მტკიცებულებები იქნება წარმოდგენილი, სამინისტრო რეაგირებას აუცილებლად მოახდენს",** – ასეთი დაპირება მიიღეს არასამთავრობოებმა მინისტრის მოადგილისგან.

**"რას ამბობთ, რა დამიშავებია ერისა და ქვეყნის წინაშე, კარგის მეტი რა გამიკეთებია, ერთი თბილისელი კაცი ვარ, რასაც მავალებდნენ, ყოველთვის იმას ვაკეთებდი. პოლიციის კანონი არასდროს დამირღვევია. ახლა სიტყვის თავისუფლებააო - ვისაც რა უნდა, იმას იტყვის. აჰა, გამომიკვლიონ და თუ რამე დანაშაული მაქვს ჩადენილი, მე თვითონ ვაღიარებ, ხმამაღლა ვიტყვი - ხალხნო, მტყუანი ვარ, გამათავისუფლეთ სამსახურიდან-მეთქი",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სპეცდანიშნულების რაზმის შეფმა თემურ მღებრიშვილმა.

## ბათუმში „კმარას" დევნა გრძელდება

ბათუმის პოლიციამ გუშინწინ ღამით "კმარას" სამი აქტივისტი დააკავა - ბექა მურვანიძე და ძმები - ირაკლი და აჩიკო ჩხეტიები. ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსი ჯუმბერ ტაკიძე მათი დაკავების ფაქტს ადასტურებს და მოტივად ხულიგნობას ასახელებს.

როგორც "კმარას" თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სააგენტო "ინტერ-პრესს" განუცხადეს, გუშინწინ დაკავებულ პირებს არანაირი კავშირი არ აქვთ "კმარას" იმ ჯგუფთან, რომელიც პოლიციამ 6 იანვარს დააკავა. თეა თუთბერიძის თქმით, აჭარაში "კმარას" რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ჯგუფი მოქმედებს, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ, თუმცა "მათი საქმიანობის კოორდინაცია მოძრაობის თბილისის ოფისიდან ხდება". მისივე თქმით, ირაკლი და აჩიკო ჩხეტიები 7 იანვარს თბილისში იმყოფებოდნენ და მათ ბათუმში გასავრცელებლად პროკლამაციები წაიღეს.

გუშინ კი ბათუმის საქალაქო სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა 6 იანვარს "კმარელებთან" ერთად დაკავებულ მათი ოჯახების წევრებს: "კმარას" წევრის ლევან ჩხარტიშვილის მამას - რომეო ჩხარტიშვილს და ასევე "კმარელი" მიშა ხაჟომიას ძმას - ირაკლი ხაჟომიას. მათი ადვოკატი ნატო დავითაძე ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ზედა ინსტანციაში გასაჩივრებას არ გამორიცხავს, თუმცა იმასაც აცხადებს, რომ გასაჩივრებას შედეგი არ მოჰყვება და აჭარის უმაღლესი სასამართლოც ანალოგიურ გადაწყვეტილებას გამოიტანს.

## ლევან მამალაძის ადვოკატი დაპატიმრების ბრძანებას ასაჩივრებს

*გუშინწინ თბილისის პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა ნოზაძემ ქვემო ქართლის გუბერნატორის - ლევან მამალაძის დაპატიმრების შესახებ ბრძანება გასცა, რომელსაც ბრალდებულის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი უკანონოდ მიიჩნევს და მის გასაჩივრებას აპირებს.*

**"ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის - ლევან მამალაძის მიმართ პროკურატურას მამხილებელი მტკიცებულება არ გააჩნია,"** – აცხადებს ალეკო ალადაშვილი.

ლევან მამალაძის ადვოკატმა ორი კვირის წინათ გენერალურ პროკურატურას მოთხოვნით მიმართა და ყოფილი გუბერნატორის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში არსებული მტკიცებულების გაცნობა მოითხოვა.

**„იურისტებისათვის არ არის საინტერესო ის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ამა თუ იმ მოქალაქის შესახებ იქმნება. კონკრეტულ ბრალდებას კონკრეტული მტკიცებულება სჭირდება",** - აცხადებს ალეკო ალადაშვილი, რომლის ინფორმაციითაც, მას გენერალური პროკურორისგან პასუხი დღემდე არ მიუღია.

ალეკო ალადაშვილის თქმით, გენერალურმა პროკურატურამ, რომელიც პირველ რიგში უნდა იცავდეს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს, დაარღვია მამალაძის უდანაშაულობის პრეზუმფცია და წინასწარგამიზნულად შექმნა უარყოფითი აზრი მამალაძის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

ადვოკატი ირწმუნება, რომ მამალაძემ "ჯიპი" საკუთარი სახსრებით შეიძინა და ბრიტანელი ბიზნესმენის ჯაინ პანდიტისთვის მას არაფერი გამოუძალავს. "პროკურატურის ბრალდება მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშსწორებაა, ყოფილ რწმუნებულს სასამართლომაც აღმკვეთი ღონისძიება ადვოკატის მონაწილეობის გარეშე შეუფარდა, მამალაძე დაცვის გარეშე დატოვეს," – ამბობს ალეკო ალადაშვილი, რომელმაც ყოფილი გუბერნატორის დაპატიმრების თაობაზე ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანება გუშინ საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.

გააუქმებს თუ არა საოლქო სასამართლო ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებას ლევან მამალაძის №5 იზოლატორში შესახლების შესახებ, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

*24 საათი*

## თამაზ ნადარეიშვილი ბრალდებებს უარყოფს

„ნადარეიშვილის კრიმინალური დაკვეთის პიკი" – ასე მონათლა აფხაზეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანებულმა საბჭომ თამაზ ნადარეიშვილისადმი ოპოზიციურად განწყობილი, აფხაზეთის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მამუკა მაისურაძის ოჯახზე თავდასხმა.

გაერთიანებული საბჭოს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, მამუკა მაისურაძის საცხოვრებელ ბინაში, რომელიც ვარკეთილის დასახლებაში მდებარეობს, ხუთშაბათს, ღამით, სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი შეიჭრა. თავდამსხმელებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მაისურაძის დედას, რამდენჯერმე გაისროლეს იარაღიდან. ინციდენტის დროს თავად დეპარტამენტის თავმჯდომარე შინ არ იმყოფებოდა. ბოროტმოქმედები მის ოჯახის წევრებს დაემუქრნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მაისურაძე არ შეწყვეტს აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომრის თამაზ ნადარეიშვილის საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთებას, მას ფიზიკური ლიკვიდაცია ემუქრება.

თავად მამუკა მაისურაძის თქმით, მის ბინაზე თავდასხმამდე ორი საათით ადრე მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა ნადარეიშვილის დაცვის სპეცსამსახურის უფროსი ნუკრი დარასელია და პირადად დაემუქრა მოკვლით.

თამაზ ნადარეიშვილი აბსურდულს უწოდებს მაისურაძის ოჯახზე თავდასხმის ფაქტის დაკავშირებას მის სახელთან.

**"სად გაგონილა, თავდამსხმელებს დამკვეთის ვინაობა დაესახელებინოთ. ამასთან, რომელ კრიმინალურ ზეწოლაზეა საუბარი, როცა მე სერიოზულად ვერც აღვიქვამ მოწინააღმდეგეთა მოძრაობას"**, - ამბობს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

## რეფორმა სრული სვლით

შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმების განხორციელების აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. მეტიც, შინაგან საქმეთა მინისტრი გია ბარამიძე სტრუქტურის რეფორმირების პროცესში ისეთი ღონისძიებების გატარებასაც გეგმავს, რომელსაც სამინისტროს ყოფილი მმართველობა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა; კერძოდ, ბარამიძე აპირებს, უზრუნველყოს პოლიციის დეცენტრალიზაცია, ანუ ადგილობრივი პოლიციის განყოფილებების მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადასვლა. ამას გარდა, მას მნიშვნელოვნად მიაჩნია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება. სხვათა შორის, იგი ამ უკანასკნელი ამოცანის განხორციელებას გუშინვე შეუდგა და სტრუქტურებში გასატარებელ რეფორმებზე მსჯელობა სწორედ იმ საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად დაიწყო, რომლის შემადგენლობაშიც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები შედიან, მათ შორის - თავად შს მინისტრი, ასევე თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი გიგა ბოკერია, იურისტი დავით უსუფაშვილი, ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი კახა ლომაია და სხვები.

სისტემის შიდა კონტროლის მიზნით გათვალისწინებულია გენერალური ინსპექციის ფუნქციონირება სამინისტროსაგან განცალკევებული ბიუჯეტით. გენერალური ინსპექციის უფროსს 4 წლის ვადით თავად პრეზიდენტი დანიშნავს, შს მინისტრი კი მის უფლებამოსილებაში ვერ ჩაერევა. გენერალური ინსპექციის უფროსი დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ პოლიციელის დასჯის შესახებ.

რეფორმის სხვა ამოცანათა შესახებ საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული. ცნობილია, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების რეფორმირების ფარგლებში უნდა მოხდეს პოლიციურ და სამოქალაქო ფუნქციათა მკაცრად გამიჯვნა. თავად სამინისტროს ქვეყნის შიდა პოლიტიკის წარმმართველ დაწესებულებად გარდაქმნის საქმეში ერთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია - უწყებას სათავეში სამოქალაქო პირი უდგას. გია ბარამიძის თქმით, რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, სისტემის ოპტიმიზაცია და საკადრო პოლიტიკის დახვეწა იქნება.

**"ჩვენი მიზანია, რომ პოლიციამ თავისი საქმიანობით ხალხის ნდობა მოიპოვოს,** - ამბობს ბარამიძე, - **ვიმედოვნებთ, რომ რეფორმა ამას მიგვაღწევინებს"**.

მისივე განცხადებით, სასურველია, რეფორმის პროცესის აქტიურად წარმართვისათვის პრეზიდენტთან შეიქმნას მაკოორდინირებელი ორგანო, რომელშიც წარმოდგენილნი იქნებიან უწყებრივი რეფორმათა ჯგუფების ხელმძღვანელები.

*24 საათი*

# დროშები ჩქარა!

**საქართველოს მიერ მე-19 საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად, რა თქმა უნდა, მოიშალა სახელმწიფო ატრიბუტიკის დამცავი მექანიზმები.**

**გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ თეთრ ფონზე გამოსახული "გორგასლიან-დავითიანი" დროშა, თითქოსდა, იერუსალიმის სამეფოს დროშის ანალოგია.**

**იერუსალიმის დროშა არაფრით არ შეიძლება ჩაითვალოს ქართული დროშის ანალოგად.**

**ჯვარი ქართველისათვის განსაკუთრებული სიწმინდის, იმედის, ხსნის სიმბოლოა. იგი არის ჩვენი დამცველი ყოველგვარი ბოროტებისაგან.**

**სახელმწიფო ისტორიული ატრიბუტიკის აღდგენა უმოკლესი გზაა, რომ ნათლად, ვამცნოთ ქვეყნიერებას - ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რა მიმართულებით გვაქვს გადაწყვეტილი განვითარება.**



ელდარ შენგელაია
*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე*

*თავისუფლება სულს ისე*
*მოსწყურდა,*
*ვით დაჭრილ ირმების გუნდს -*
*წყარო ანკარა...*
*დროშები ჩქარა!..*
*გათენდა, შეერთდით,*
*შეერთდით, შეერთდით!*
*დროშები, დროშები...*
*დროშები ჩქარა!*

სახელმწიფო ატრიბუტიკა შეიცავს სამი ელემენტის ერთიანობას. ეს არის: სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა და სახელმწიფო ჰიმნი.

ამჯერად ჩვენ შევეხებით ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, **სახელმწიფო დროშას**, და აღვნიშნავთ, რომ ვექსილოლოგია (დროშათმცოდნეობა) ისტორიული მეცნიერების დამხმარე დისციპლინაა, რომელიც იკვლევს სახელმწიფო და სხვა დანიშნულების დროშების ისტორიას და ამ სფეროს მეცნიერები მონაწილეობენ ახალი დროშების შექმნის პროცესშიც.

სანამ ქართული ისტორიული დროშის - "გორგასლიან-დავითიანის" - თემას შევეხებოდეთ, გვინდა ამ სფეროში არსებული ზოგადი სურათი წარმოგიდგინოთ.

უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლა სახელმწიფო პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული პროცესია. ამ ბოლო 50 წლის განმავლობაში ისტორიული პროცესების შედეგად 70-მდე ქვეყანაში აღდგა, შეიცვალა, ნაწილობრივ სახე იცვალა ან სრულიად ახალი ატრიბუტიკა შეიქმნა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ სახელმწიფოებრიობა და დღეს ჩამოყალიბდნენ, **შექმნეს ახალი სახელმწიფო ატრიბუტიკა, რადგან ისტორიული მემკვიდრეობა ამ სფეროში არ გააჩნდათ.**

ხოლო იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც ფორმალურად იყვნენ დამოუკიდებელნი ან დაკარგული ჰქონდათ დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობის რეალურ აღდგენასთან ერთად **აღიდგინეს ისტორიული სახელმწიფო ატრიბუტიკა**, რითიც ხაზი გაუსვეს თავის საუკუნოვან სახელმწიფოებრიობას. მაგ.: უნგრეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, რუსეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები და სხვა.

სიტყვა "გერბი" (პოლონურად Herb; გერმანულად Erbe) ნიშნავს "მემკვიდრეობას", ასე რომ, გერბის და დროშის საშუალებით თაობებსა და ეპოქებს შორის მყარდება მემკვიდრეობა, მყარდება დროთა კავშირი.

საქართველოს მიერ მე-19 საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად, რა თქმა უნდა, მოიშალა სახელმწიფო ატრიბუტიკის დამცავი მექანიზმები. უამრავი საბუთი თუ ნივთი ამ სფეროდან გატანილი იყო საქართველოდან, აღმოჩნდა სხვა სახელმწიფოებში, მუზეუმებში, კერძო კოლექციებში. მეფის რუსეთის და საბჭოეთის დროს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დევნამ კიდევ უფრო გაალარიბა ქართული სახელმწიფო ატრიბუტიკის შესახებ არსებული მასალები და ცნობები, დაირღვა დროთა კავშირი.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის პროცესთან ერთად, ბუნებრივია, საზოგადოებაში აღიძრა კითხვები სახელმწიფო ატრიბუტიკის შესახებ. სიცხადისათვის მინდა გაგახსენოთ, თუ როგორ ვითარდებოდა ბოლო ათწლეულში ისტორია ქართული სახელმწიფო ატრიბუტიკის გარშემო.

სახელმწიფო ატრიბუტიკის (გერბი, დროშა, ჰიმნი) საკითხებზე საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1993 წელს დაიწყო მუშაობა. ამავე დროს სახელმწიფო მეთაურმა შექმნა სახელმწიფო კომისია. 1996 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა "საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისია". კომისიამ გარკვეული მუშაობა გასწია, რის შედეგადაც ჩატარდა კონკურსი სახელმწიფო ჰიმნზე, მართალია უშედეგოდ. სხვა საკითხები პასუხგაუცემელი დარჩა.

1997 წლის 14 ნოემბერს პარლამენტმა შექმნა ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელსაც დაევალა, შეემუშავებინა საქართველოს პარლამენტის პოზიცია სახელმწიფო ატრიბუტიკასთან დაკავშირებით. ინტერფრაქციული ჯგუფის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო იმ პერიოდში საქართველოს პარლამენტში არსებული ყველა ფრაქცია ("აფხაზეთი", "აღორძინება", "ედპ", "იმედი", "ლეიბორისტი", "მამული", "მაჟორიტარ-სოციალისტი", "მოქალაქეთა კავშირი", "სახალხო პარტია").

რაც შეეხება სახელმწიფო გერბს და დროშას, ინტერფრაქციულ ჯგუფს, პირველ ყოვლისა, უნდა გადაეწყვიტა, თუ რა მიმართულებით წარემართა მუშაობა. მიმართულება კი რამდენიმე იყო:

1. შექმნილიყო სრულიად ახალი გერბი და დროშა. რაც ნიშნავდა იმას, რომ ხაზი გადაგვესვა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიისათვის;

2. უცვლელად დარჩენილიყო არსებული გერბი და დროშა, რაც ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა იწყება 1918 წლიდან;

3. აღდგენილიყო საქართველოს ისტორიული გერბი და დროშა, რაც ცხადყოფდა საქართველოს მრავალ ათასწლიან სახელმწიფოებრიობას.

გამომდინარე იქიდან, რომ:

საქართველოს სახელმწიფოებრიობა ითვლის ათასწლეულებს;

ბაგრატიონთა გერბი "კვართიან-დავითიანი" და დროშა "გორგასლიან-დავითიანი" თვალნათლივ ცხადყოფს იმას, რომ საქართველო ქრისტიანული ცივილიზაციის უძველესი ქვეყანაა;

ინტერფრაქციული ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ **მიზანშეწონილია მხარი დაეჭიროს საქართველოს ისტორიული სახელმწიფო ატრიბუტიკის აღდგენას.**

საქართველოს ისტორიული ატრიბუტიკის სრული სახის დადგენისათვის მოხერხდა როგორც ჩვენში არსებული ისტორიული წყაროების შეკრება, ისე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში კარტოგრაფიული ნიმუშების ფოტოასლების გადაღება და საქართველოში ჩამოტანა. ჩატარებულმა მუშაობამ ცხადყო ჩვენი ისტორიული ატრიბუტიკის სახე. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ დროშის სახეს.

დღეს ჩვენს ხელთ არსებული 8 ისტორიული რუკის (პორტულანის) საფუძველზე გვაქვს სრული წარმოდგენა საქართველოს ისტორიული სახელმწიფო დროშის შესახებ.

გვინდა შევჩერდეთ ორ მათგანზე.

პირველი რუკა არის ანჯელინო დულჩერის 1339 წლის პორტულანი (საზღვაო რუკა), რომელიც მოიცავს ინგლისიდან დაწყებული კასპიის ზღვითა და სპარსეთის ტერიტორიას. ხმელეთზე ასახულია გალავანშემორტყმული განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქები (დედაქალაქები). მათ უმეტესობაზე სხვადასხვაგვარი დროშებია აღმართული. მეცნიერი მონიკა პელეტიე, რომელსაც საგანგებოდ აქვს შესწავლილი ეს და სხვა რუკები, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "დროშები მიუთითებენ სუვერენულ სახელმწიფოებზე". შავსა და კასპიის ზღვებს შორის არეალზე აღმართულია ციხე-ქალაქი თბილისი, წარწერით "ტიფლის". მის გარშემო ტერიტორიას ამშვენებს წარწერა "ჯეორჯიანია". ხოლო თბილისის თავზე გამოსახულია საქართველოს ისტორიული სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშა.

ამავე პორტულანზე სებასტოპოლის, ე.ი. სოხუმის თავზეც, აღმართულია დროშა, რომლის ნახევარი ქართულ ისტორიულ სახელმწიფო დროშას წარმოადგენს, ხოლო მეორე ნახევარი ლურჯი და თეთრი ზოლების მონაცვლეობაა, რაც ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი აფხაზეთისა და ჯიქეთის ტერიტორია ერთიანი საქართველოს შემადგენელი ნაწილი იყო.

მეორე რუკა არის ვენეციელი ძმების, ფრანჩესკო და დომინიკო პიციგანების მიერ 1367 წელს გამოხაზული პორტულანი, – საქართველოს ("ჯეორჯიანია") დედაქალაქის, თბილისის ("სივიტას ტიფლის") გამოსახულების თავზე აღმართულია საქართველოს ისტორიული ხუთჯვრიანი დროშა.

რომის პალატინის ბიბლიოთეკის ამ რუკის აღწერილობაში აღნიშნულია: "რუკაზე მრავლადაა წარმოდგენილი ქალაქები ციხე-სიმაგრეებით, ნათელია, რომ მათ შორის უფრო მნიშვნელოვანია ისინი, რომელთაც დროშები აქვთ გამოსახული."

აღსანიშნავია, რომ პირველი რუკა არის კატალონური სკოლისა, ხოლო მეორე - ვენეციური, ანუ გვაქვს ორი დამოუკიდებელი წყარო, რაც მეცნიერებაში ძალზე მნიშვნელოვანია ჭეშმარიტების დადგენისათვის.

ეს ორი რუკა-პორტულანი კარტოგრაფიის ისტორიაში უნიკალურ ქმნილებად ითვლება. დროთა განმავლობაში არავის შეუტანია ეჭვი ამ რუკებზე ასახული ისტორიული პერიოდის ინფორმაციის სიზუსტეში. "პარლამენტის უწყებანის" 1997 წლის ივლისის გამოცემა მთლიანად მიეძღვნა ჰერალდიკის საკითხებს.

გამოქვეყნდა ჰერალდიკოსების: მალხაზ აფრიდონიძის, დავით კლდიაშვილის, ზაზა ფირალიშვილის; ცნობილი მუსიკათმცოდნის მანანა ახმეტელის; აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის; გამოჩენილი მწერლების ოთარ ჭილაძისა და თამაზ ჩხენკელის სტატიები.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ინტერფრაქციული ჯგუფი სახელმწიფო სიმბოლოების შემუშავებისა და ჰერალდიკის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით.

გაწეული სამუშაოს განზოგადოებისათვის, სათანადო დასკვნების გამოსატანად ჩატარდა ინტერფრაქციული ჯგუფის და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ერთობლივი სხდომა ჰერალდიკოსების, ისტორიკოსებისა და კულტურის სხვა სფეროების მოღვაწეთა მონაწილეობით. სხდომამ მიიღო რეზოლუცია და მხარი დაუჭირა ისტორიული სახელმწიფო ატრიბუტიკის აღდგენას.

სხდომის შემდეგ ჩატარდა ინტერფრაქციული ჯგუფის მორიგი შეხვედრა, რომელმაც მიიღო მიმართვა საქართველოს პარლამენტის ბიუროსადმი.

ბიუროზე განხილვის შემდეგ აღნიშნული საკითხი შეტანილ იქნა საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

საქართველოს პარლამენტში გაიმართა დებატები, რის შედეგადაც, ხმათა უმრავლესობით, 139 ხმა ერთის წინააღმდეგ, მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის დადგენილება "საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის შესახებ" (1999 წლის 9 ივნისი. №2060-II ს), რომლითაც ეთხოვა საქართველოს პრეზიდენტს, "საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ორგანული კანონის პროექტი სახელმწიფო ატრიბუტიკის შეცვლისა და ისტორიული, ტრადიციული ატრიბუტიკის აღდგენის თაობაზე". ამასთან, პარლამენტმა მიიღო მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელშიც ნათქვამია:

"საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ "საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 12 აგვისტოს №518 ბრძანებულების მე-6 პუნქტის თანახმად, ჰერალდიკის სფეროში ერთიანი სახელმწიფო სიმბოლოების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის, გამოყენებისა და დაცვის მიზნით უნდა შექმნილიყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ჰერალდიკის მუდმივმოქმედი კოლეგია. ამ კოლეგიის შემადგენლობა და დებულება უნდა დამტკიცებულიყო ერთი თვის ვადაში, რაც, სამწუხაროდ, არ გაკეთდა და კოლეგია ვერ შეუდგა მუშაობას, ეს კი ხელს უშლის პროფესიულ და მიზანმიმართულ საქმიანობას სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემების მოგვარებაში". აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კოლეგიის დებულებისა და სტრუქტურის პროექტები გადაგზავნილი იყო კანცელარიაში.

მინდა შეგახსენოთ, პარლამენტის ეს დადგენილება და მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი მიღებულია 1999 წლის 9 ივნისს, მაგრამ დადგენილების და მიმართვის შესახებ არც დადებითი, არც უარყოფითი პასუხი პარლამენტს არ მიუღია. ასევე არ არის გადაწყვეტილი სახელმწიფო ჰერალდიკის მუდმივმოქმედი კოლეგიის შექმნის ბედი. არადა, მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სახელმწიფო მეთაურთან არსებობს სახელმწიფო ჰერალდიკის საკითხების მარეგულირებელი რგოლი, რომელიც დაკომპლექტებულია ჰერალდიკის სფეროში მომუშავე მეცნიერებით. მათ კომპეტენციაში შედის სახელმწიფო ატრიბუტიკის დაცვა და სამართლებრივი რეგულირება, გამოყენების წესების განსაზღვრა. აღნიშნული რგოლები მუშაობენ არა მარტო სახელმწიფო ატრიბუტიკაზე, არამედ, საერთოდ, ჰერალდიკის გამოყენებაზე სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არათუ სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს, არამედ ქალაქებს, დაბებს, ორგანიზაციებსა და ბოლოს, ოჯახებს, თავისი გერბი და ზოგ შემთხვევაში დროშაც გააჩნიათ. ყველა ეს საკითხი გვარდება სწორედ ასეთი ტიპის სახელმწიფო რგოლის მიერ. საბედნიეროდ, საქართველოს ჰყავს ამ სფეროში მომუშავე მეცნიერები და ბოლო პერიოდში მათ შეუერთდა ახალგაზრდა ჰერალდიკოსთა ნიჭიერი თაობა, რომლებმაც ამ დარგში ცოდნა გამოამჟღავნეს და საინტერესო ნაშრომები გამოაქვეყნეს. ამიტომ, გაუგებარია კულტურის სამინისტროსათვის ამ სფეროს გადაბარება, როდესაც ეს სულ არ არის ამ უწყების კომპეტენცია. საქმეს წაადგებოდა არა მრავალრიცხოვანი კომისიები, არამედ პრეზიდენტთან არსებული, კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტებული ჰეროლდთა კოლეგიის შექმნა.

რაც შეეხება საკითხებს, რომლებიც ბოლო დროს საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა, გვინდა ერთ-ერთ მათგანზე კიდევ ერთხელ გავცეთ პასუხი.

გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ თეთრ ფონზე გამოსახული "გორგასლიან-დავითიანი" დროშა, შუაში დიდი წითელი ჯვრით და კუთხეებში იგივე ფერის პატარა ჯვრებით, თითქოსდა იერუსალიმის სამეფოს დროშის ანალოგია.

ჩვენ ეს საკითხი შევისწავლეთ და მოგახსენებთ, რომ როდესაც 1099 წელს შეიქმნა იერუსალიმის სამეფო, რომელსაც სათავეში ქვემო ლოტარინგის ჰერცოგი გოდფრიდ ბულიონელი ჩაუდგა, შეიქმნა გერბი. გერბზე ვერცხლის ფონზე ოქროს დიდი და ოთხი პატარა ჯვარი იყო გამოსახული. მას უწოდებდნენ "წმინდა გერბსაც" და "იერუსალიმის გერბსაც".

გერბის ეს ფორმა გადატანილი იყო დროშაზე - თეთრ მინდორზე მოტივტივე ფორმით.

ჰერალდიკის და ვექსილოლოგიის კანონების მიხედვით, არათუ ფერის, არამედ სიმბოლოს ფორმის ერთი შტრიხის შეცვლაც კი ახალ ჰერალდიკურ სიმბოლოს ნიშნავს.

ამიტომაც, იერუსალიმის დროშა არაფრით არ შეიძლება ჩაითვალოს ქართული დროშის ანალოგად.

რადგან, ფერზე რომ არაფერი ვთქვათ (იერუსალიმის დროშაზე გამოხატული ჯვრები ოქროსფერია, ხოლო ქართულზე - წითელი), იერუსალიმის ჯვარი ფორმით განსხვავდება ქართული ჯვრისგან. ქართულ ისტორიულ სახელმწიფო დროშაზე დიდი წითელი ჯვარი მთლიანად ფარავს დროშას კიდიდან კიდემდე, ხოლო იერუსალიმის დიდ ჯვარს ოთხივე მხარეს აქვს მართობული მონაკვეთები და იგი, ჰერალდიკური ტერმინით რომ ვთქვათ, "ტივტივებს", ანუ ჯვრის ბოლოები არ ეხება დროშის კიდეს.

ჯვაროსანთა მოძრაობა წმინდა მიწის გასათავისუფლებლად მე-11 საუკუნის ბოლოს იწყება. ამ ისტორიული პერიოდისათვის ახლო აღმოსავლეთში არსებობდა უმაღლესი კულტურის ქრისტიანული სახელმწიფოები: ბიზანტია, საქართველო, სომხეთი, კილიკია, სერბეთის სამთავრო, რომელთა ტაძრები და ეკლესიები, ფრესკული მხატვრობა, ხატები, საკულტო ნივთების ესთეტიკა დღესაც მსოფლიო კულტურის საგანძურს ეკუთვნის. ასეთივე მიდგომა ვრცელდება ამ სახელმწიფოების ჰერალდიკურ კულტურაზე. ამიტომაც საკითხავი და შესასწავლია, თუ ვინ ვისგან გადაიღო, რა აითვისა, რა გამოიყენა? ვინ დაამტკიცებს, რომ სწორედ "გორგასლიან-დავითიანი" დროშა არ იყო გამოყენებული იერუსალიმის ჯვრის გამოსახულების შექმნისას? მეტადრე, რომ საქართველოში არსებობს მატერიალური ნიმუშები ხუთჯვრიანი ქართული სახელმწიფო დროშის გამოსახულებით და არაერთი წერილობითი ისტორიული წყარო.

გრიგოლ ფერაძე წიგნში "ქართული ეკლესიის ისტორია", აქვეყნებს უცხოელ პილიგრიმთა ცნობებს წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, რადგან ის ეხება დროშას: "1299 წ. მონღოლთა ხანმა ყაზანმა გაილაშქრა თავრიზიდან ეგვიპტელთა წინააღმდეგ... თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიის ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშითურთ".

მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის "სივნიეთის ისტორიაში" აღნიშნულია, რომ საქართველოში "რამეთუ განწესებულ იყო მეფისა ქონებად თეთრისა ალმისა და წითლისა ნიშნისა..." (სომხურად ნიშანი და ჯვარი იდენტური ცნებებია).

ამ მხრივ, როგორც დადასტურება, საინტერესოა მცხეთის საკათედრო ტაძრის, სვეტიცხოვლის კედლის მხატვრობის ერთი ადგილი, კონქის მარცხენა მხარეს კუთხე (სამხრეთ კედელზე). იალქნიანი გემის გროტანძაზე აღმართულ დროშაზე გამოსახულია შინდისფერი ჯვარი თეთრ ფონზე. როგორც ცნობილია, ეს ფრესკული მხატვრობა თარიღდება მე-11-12 საუკუნეებით და რესტავრირებულია მე-15 და შემდეგ მე-17 საუკუნეებში.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადებაში ისტორიულ სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით ნათქვამია:

"ხუთჯვრიანი რელიეფური გამოსახულება დაცულია ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის საკურთხევლის ფასადზე, ცენტრში. ეს ტაძარი X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა და ფრესკული მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშია. ბოჭორმა განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სამეფო ნიშნით აღბეჭდილი კახეთის მთავარი ციხე-სიმაგრე იყო, სადაც ინახებოდა წმ. გიორგის მარჯვენა ხელი."

ხარაგაულის რაიონში, ჩხერის წმ. გიორგის მე-13-14 საუკუნის ეკლესიაზე, ასევე ამოტვიფრულია ქართული ისტორიული ხუთჯვრიანი დროშა.

1999 წლის 22 ივლისს დმანისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ხუთჯვრიანი ქვაჯვარი, ქართული სახელმწიფო ისტორიული ხუთჯვრიანი დროშის გამოსახულებით, რომლის დათარიღებაზე მუშაობენ სპეციალისტები.

ნეკრესის ახლად გათხრილ მონასტრის ნანგრევებში აგრეთვე აღმოჩნდა ხუთჯვრიანი რელიეფური გამოსახულება, რომლის თარიღიც მე-6 საუკუნეს არ ცდება.

მინდა დავძინო, რომ მაშინაც კი, როდესაც საქართველო დაიშალა და როგორც ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობდა, მისი კუთხეების დროშებს ამა თუ იმ ფორმით ამშვენებს ჯვრები. ამის დამადასტურებელი არის მრავალი რუკა და დოკუმენტი.

ჯვარი ქართველისათვის განსაკუთრებული სიწმინდის, იმედის, ხსნის სიმბოლოა. იგი არის ჩვენი დამცველი ყოველგვარი ბოროტებისაგან.

ჩვენ "მანქურთებად" ვერ ვიქცევით. ვერ ამოვშლით ჩვენი მეხსიერებიდან ისეთ მოვლენებს, როგორიცაა: ცურტაველი, მერჩულე, დავით აღმაშენებელი, თამარი, რუსთაველი, გიორგი ბრწყინვალე, სულხან-საბა, თეიმურაზ ბატონიშვილი, გურამიშვილი და სხვანი დიდნი.

როგორც უძველესი ქრისტიანული ქვეყანა, ვერ ვიტყვით უარს მაცხოვრის ჯვარცმაზე და ამაღლებაზე, იმიტომ, რომ ეს არის საქართველო.

ჩვენი აზრით, საქართველოს სახელმწიფო ისტორიული ატრიბუტიკის აღდგენა, შესაძლოა, გარკვეული სახეცვლილებით, უმოკლესი გზაა, რომ საქვეყნოდ, ნათლად, საბოლოოდ ვამცნოთ ქვეყნიერებას - ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რა ზნეობით ვაპირებთ ცხოვრებას, როგორი ისტორიული წარსული, პოლიტიკური და კულტურული ორიენტაცია გაგვაჩნია და რა მიმართულებით გვაქვს გადაწყვეტილი განვითარება.

www.24hours.ge
24
B

შაბათის სტუმარი

# 23 ნოემბერი და კომუნისტური ეპოქის დასასრული

*მივხვდი, რატომ დაერქვა რევოლუციას ვარდის სახელი -* ***это были только цветочки*** *- და იმიტომ. დროშების ფრიალი მორჩა. ახლა სტაბილური, დამაჯერებელი ბრძოლის დრო დადგა. ამ პროცესებში ჩართვას ხალხი ისევე მოითხოვს, როგორც მაშინ, ძალიან და გაუთავებლად რომ წვიმდა... დიდი ანალიტიკოსობა არ ჭირდება, რომ მიხვდე, უკანასკნელ დღეებამდე როგორ ცრუობდნენ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები - პარლამენტთან შეკრებილ ხალხს ბრბოს უწოდებდნენ, მაგრამ "ბრბოს" ბრძოლის შედეგად მოსულ ხელისუფლებაში მოკალათებაზე ყოველთვის ოცნებობდნენ.*
*ქუჩაში იდგა* ***აკადემიკოსი დათუნა მუსხელიშვილიც.*** *ეს იყო პროფესიული მოთხოვნილება - ისტორიულ პროცესებზე დაკვირვება, პლუს მოქალაქეობრივი პოზიცია, პლუს მისი პატარა შვილთაშვილებისთვის უკეთესი ქვეყნის დატოვების სანუკვარი სურვილი.*
*იმ ამბებიდან დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ გარკვეული შეფასებების დრო დადგა. ამის გარეშე საზოგადოება ვერ გაიაზრებს, რა მოხდა და ეს თუ არ ვიცით, ვერც იმას დავგეგმავთ, რა შეიძლება მოხდეს.*

მაია ჭალაგანიძე

**- ოდესმე, ალბათ, მეცნიერებათა აკადემიის სისტემის რეორგანიზაციის საკითხიც დადგება. როგორ უნდა ირჩინონ თავი სამეცნიერო კვლევითმა დაწესებულებებმა, სადაც უამრავი ადამიანია დასაქმებული.**

- რეორგანიზაციის შესახებ ნათელი და ზუსტი წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ რაღაც რომ უნდა შეიცვალოს, ფაქტია. საკითხავია, დღევანდელ პირობებში გაუძლებს თუ არა ბიუჯეტი ამ ინსტიტუტების შენახვას. საბჭოთა რეჟიმის დროს უამრავი ინსტიტუტი და მათ შორის, ჩვენიც - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი - ხელოვნურად იბერებოდა. ასეთი პრაქტიკა იყო - ცეკაში თუ ვინმე რამეს დააშავებდა, გამოსაცვლელი იყო, ან ყავლი გაუდიოდა, ჩვენთან აგზავნიდნენ. ამ ბოლო წლებში მიმდინარე პერიოდული შემცირებები, თავისთავად, კანონზომიერი იყო, მაგრამ შემცირების მეთოდები - არასწორი. ახლანდელ პირობებში ადამიანის ქუჩაში გაშვება აბსოლუტურად წარმოუდგენელი და არაჰუმანურია. ამიტომ სხვა გზას უნდა მიმართონ. ერთ-ერთ გზაზე ახლავე მოგახსენებთ - პარლამენტი რამდენიმე წლის განმავლობაში, რატომღაც, არ იღებდა (არ მახსოვს, ეს პარლამენტი თუ ამას წინა) სოციალური უზრუნველყოფის კანონს ჩვენისთანა მეცნიერ-თანამშრომლებისთვის. პროექტი აკადემიაში შეიმუშავეს. პარლამენტმა კანონის მიღებაზე უარი თქვა და სწორედ იმ დღეებში, როდესაც ბედის ანაბარა მიატოვეს ეს ხალხი, პარლამენტარებმა თავისთვის სიცოცხლის ბოლომდე 700 ლარიანი ხელფასი დაიმტკიცეს.

**- როგორც ვიცი, შემდგომ ეს კანონი მიიღეს და 2007 წლიდან უნდა შევიდეს ძალაში.**

- დიახ, მიიღეს. ახლა მას განხორციელება სჭირდება; თუმცა, ამის გაკეთება ასე უცბად რთულია, გარდამავალი, მოსამზადებელი პერიოდებია გასავლელი. ამის მერე თავისთავად დარეგულირდება ვითარება, მანამდე კი ჩემთვის წარმოუდგენელია აკადემიის სისტემაში რაიმე რეფორმის განხორციელება.

ჩვენთანაც და ყველგან, აკადემიის სისტემაში, ერთი გაჭირვებაა - დაბალი ანაზღაურების გამო ახალგაზრდობა არ მოდის. 47 ლარი იყო პროფესორის ხელფასი და 30 პროცენტი მოიმატა. დაბალი ანაზღაურება ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც მეცნიერების პრესტიჟი დაეცა. დღეს მეცნიერთა უდიდესი ნაწილი 50 წელს გადაცილებულია, მაგრამ ინსტიტუტების საქმიანობა ამ ასაკის ადამიანთა ცოდნისა და გამოცდილების ხარჯზე ხდება.

ჩემი აზრით, ახალი მთავრობის სათავეში მოსული პოლიტიკოსები კულტურული ხალხია და მეცნიერების ფასი იციან; არა მგონია, ბედის ანაბარა მიუშვან მეცნიერები. ასე თანაგრძნობის გამო კი არ უნდა მოიქცნენ, არამედ იმიტომ, რომ მეცნიერება საჭიროა - სახელმწიფოს პრესტიჟი კულტურის, მეცნიერების და ხელოვნების დონით ისაზღვრება და არა ბიზნესმენთა რაოდენობით. მგონია, რომ ახალი ხელისუფლება ამ აუცილებლობას ხედავს და მეცნიერებამ შეიძლება თავისი პრესტიჟი და ადგილი დაიბრუნოს.

**- 80-იან წლებში ეროვნული მოძრაობა დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, ახლა ბრძოლა დემოკრატიული ღირებულებებისთვის გაიმართა. რევოლუციის დღეებში 80-იანი წლების გამოცდილებას ბევრი უარყოფითი კონტექსტით იშველიებდა. თქვენ ხართ ისტორიკოსი, ორივე მოვლენის თვითმხილველი და მონაწილე - რა იყო საერთო ამ მოძრაობებს შორის?**

- ჩემი აზრით, დიდი მსგავსებაა და ეს ერთმანეთის გაგრძელება იყო. მართალი ბრძანდებით, მაშინ ანტირუსული და ანტიკომუნისტური აღტკინება იყო. მაგრამ, იმის შემდეგ, რაც საქართველოში მოხდა, ყველაფერი ტყუილი გამოდგა - ვითომ თავისუფლება, ვითომ დემოკრატია... საბოლოო ჯამში, ისევ კომუნისტურ რეჟიმს ვუბრუნდებოდით და ვშორდებოდით იმას, რასაც მთავრობა აცხადებდა - დემოკრატიულ წინსვლას და დასავლურ ღირებულებებთან ინტეგრაციას. კომუნისტური რეჟიმის საბოლოო რესტავრაცია ვერ მოხდა, მაგრამ 2 ნოემბრის არჩევნებით სწორედ ამას აპირებდნენ - აკანონებდნენ ცხოვრების იმ საშინელ, კორუმპირებულ წესს, რასაც 10 წლის განმავლობაში ამკვიდრებდნენ. მაგრამ კომუნისტებს, ყველაფერთან ერთად, ხალხი ტერორის ქვეშ ჰყავდა. ახლა კი დემოკრატია იმაში გამოვლინდა, რომ რეპრესიებისა და დაჭერის სინდრომი მოიხსნა. ამან განაპირობა ის, რაც თვენახევრის წინ მოხდა - ფაქტობრივად, 23 ნოემბერს საქართველოში კომუნისტური ეპოქა დამთავრდა.

**- თუმცა, კომუნისტური რეჟიმის შენარჩუნების მცდელობები აჭარაში ისევ შეინიშნება. რა ისტორიული პირობები უწყობს ხელს აბაშიძის მაგვარი რეტროგრადული, ერთპიროვნული მთავრის წარმოშობას?**

- რა ხდება შუა აზიაში? იქ სულ სხვაგვარი მენტალიტეტია - ხანები და ფაშები თავის შვილებს უტოვებენ ხელისუფლებას...

რაც აჭარაში ხდება, საქართველოს არც ერთ სხვა რეგიონში არ მომხდარა. შეიძლება, ჩემმა ნათქვამმა უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ის, რაც აჭარაშია, წარსულით არის განპირობებული. იგი დიდი ხანი საქართველოდან იყო მოწყვეტილი. თუმცა, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ აჭარაში დღეს ისეთივე და უფრო დიდი ქართველები ცხოვრობენ, როგორც დანარჩენ საქართველოში და ძველი მენტალიტეტით ხალხს ვეღარავინ მართავს.

გარდა ამისა, აჭარაში დღეს მიმდინარე მოვლენებს ხელი იმანაც შეუწყო, რომ რეგიონი ავტონომიურია. ეს კი ყოველთვის წარმოშობს ადამიანთა ისეთ წრეს, რომელიც ძალაუფლებას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. რაიკომის მდივნებიც კი პატარ-პატარა მეფეებივით ცხოვრობდნენ და მით უფრო, ავტონომიებში იყო ასე. კარგად რომ გაიგო ის, რაც დღეს აჭარაში ხდება, კარგად უნდა გაიაზრო, რა მოხდა აქ, თბილისში. მოხდა ის, რომ დამთავრდა კომუნისტური რეჟიმი, დამთავრდა ავტორიტარიზმი და მართლაც შეიქმნა დემოკრატიის მშენებლობის დაწყების რაღაც საშუალება. რა თქმა უნდა, დემოკრატია ჯერ შორს არის და ათასი წინააღმდეგობა იქნება - მთავრობის შეცდომებიც, ჩავარდნებიც, მაგრამ ფაქტია, რომ პროცესი დაიწყო და საზოგადოება აქეთ არის მიმართული, რაც ხელს უწყობს ამ პროცესების ნორმალურ განვითარებას.

აჭარაში კი დინების საპირისპიროდ მოძრაობაა, მეტი არაფერი. საზოგადოების განვითარებას ობიექტური, შეუქცევადი კანონზომიერებები გააჩნია და უკან ვერაფერი დააბრუნებს. რაც თბილისში და მთელს საქართველოში თვენახევრის წინ მოხდა, სოციალური განვითარების ობიექტური კანონზომიერების გამოხატულება იყო, სწორედ ამიტომ გამოვიდა ხალხი ქუჩაში. აი, ამ ისტორიული ბორბლის მსვლელობის უკან დაბრუნება სურდათ 2 ნოემბრის არჩევნებით, რაც ისევ წუმპეში და ჭაობში დაბრუნების მცდელობა გახლდათ. საბედნიეროდ, ბორბალი ისევ წაღმა დატრიალდა და თანაც ისე, რომ მისი გაჩერება აღარ შეიძლება.

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ინტერვენციაც იყო და რესტავრაციაც, მაგრამ პროცესები ვერ შეჩერდა და დღეს მთელი ევროპა დემოკრატიულია. თუ მეცხრამეტე საუკუნეში არ ესმოდათ, რომ ეს კანონზომიერი პროცესი იყო, ახლა, 21-ე საუკუნეში ეს ყველას უნდა ესმოდეს.

**- ახალი ხელისუფლების ლიდერებს აჭარაში მიმდინარე პროცესებზე ძველი ტრადიციების ზეგავლენით მკაფიო პოზიცია საჯაროდ არ გამოუხატავთ. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

- "სამოქალაქო დარბაზის" შეკრებაზე ამის შესახებ იყო საუბარი. პრეზიდენტის, სახელმწიფო მინისტრის და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის აქამდე გაკეთებული განცხადებები იმის მაიმედებელია, რომ სწორი, დემოკრატიული პრინციპებისკენ, სახალხო მართვისკენ და საზოგადოების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისკენ მივდივართ. არც მე მესმის, რატომ არ აკეთებენ განცხადებებს. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის ლეგიტიმაციაა ამის დამაბრკოლებელი. უნდა მოხდეს ინაუგურაცია, რათა პრეზიდენტი კანონიერი უფლებამოსილებებით აღიჭურვოს.

ლიდერთა პოლიტიკური ნაბიჯები არ მომწონდა, მაგრამ მათი კრიტიკა ჩემს კომპეტენციად არ მიმაჩნდა. სრულ ინფორმაციას არ ვფლობ იმის შესახებ, რაც სინამდვილეში ხდება. ჩემი აზრით, რუსეთი აუცილებლად არის ჩარეული...

**- ეს ხომ თვისობრივად სხვა ტიპის ხელისუფლებაა და თავისი ქმედებებით საზოგადოებაში კითხვებს არ უნდა ბადებდეს, პროცესები გამჭვირვალე უნდა იყოს.**

- ალბათ, არის რაღაც ისეთი, რისი გამჭვირვალობაც არ შეიძლება...

**- დემოკრატიული განვითარების ძირითადი პროცესები მართლაც ახლა იწყება. რა ისტორიული შეცდომები უნდა გაითვალისწინოს ახალმა ხელისუფლებამ?**

- სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილება არსებობს. მართალია, ეს სამწუხარო გამოცდილებაა, მაგრამ - ასეა. საბჭოთა რეჟიმს რომ თავი დავანებოთ, ის, რაც ამ 10-12 წლის განმავლობაში მოხდა, დიდი შეცდომა იყო. მართლა არსებობდა იმედი, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ მივდიოდით. შემდგომ დაიწყო არა დემოკრატიული საზოგადოების, არამედ - კლანური, ანტიდემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება. ეს კი პატარ-პატარა ავტორიტარულ რეჟიმებს წარმოშობს. ასეთი შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს.

ქართველებს ერთი მინუსი გვაქვს, რომელიც ყოველთვის პლუსი გვეგონა - დოქტრინის რანგში გვყავს აყვანილი მეგობრობა... თუ მეგობრობა არ იცი, ნორმალურ კაცად არ ითვლები. ეს კარგია ოჯახურ, ყოფით ურთიერთობებში. მეგობრობა სახელმწიფო დონეზე არ შეიძლება, ეს პირუკუ პროცესებს წარმოშობს. ნათესაობა და მეგობრობა რომ სახელმწიფო მმართველობის დონეზე ავა, ის ქვეყანა დაღუპულია და ჩვენთან სწორედ ეს მოხდა - როცა სახელმწიფოს ერთი კლანი, ერთი ჯგუფი მართავდა. სხვათა შორის, ამ ტრადიციაზე უარის თქმა ძალზე რთულია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს.

**- რადგანაც ჩვენმა საზოგადოებამ განვითარების რაღაც დონეს უკვე მიაღწია, ახლოს არის, ალბათ, ის დღე, როდესაც ადამიანი მეგობარს არ დაკარგავს იმის გამო, რომ მან თანამდებობაზე არ დანიშნა...**

- ქართველთა შეგნებაში ეს აუცილებლად უნდა შევიდეს. მეგობრობის გამო პოლიტიკის კეთება არაფრით არ შეიძლება.

**- რევოლუციის დღეებში სულ იმ წვიმაში იდექით. თქვენ, ისტორიკოსს, პირველ რიგში, რისი გეშინოდათ?**

- მიუხედავად იმისა, რომ 80-იანი წლების გამოცდილებაც მაქვს, 1956 წლისაც, სიმართლე გითხრათ, შიში არ მქონია და არა მხოლოდ მე ვიყავი ასე. არაჩვეულებრივი განწყობა და სამართლიანი, ბუნებრივი ბრძოლა მიმდინარეობდა. ამბობენ, ამერიკელების ინსპირირებული და დაფინანსებული იყოო, მაგრამ სინამდვილეში ხომ ეს ქართველმა ხალხმა გააკეთა. სხვადასხვა პიროვნებებმა, მედიის საშუალებით რამდენჯერმე განაცხადეს, რომ ეს იყო პუტჩი, რომ ეს ხალხის განწყობას არ გამოხატავდა - ამის თქმა არაკეთილსინდისიერებაა. ეს ნამდვილი სახალხო მოძრაობა იყო, მე და ჩემისთანები იქ იმიტომ ვიდექით, რომ ყველაფერი ყელში იყო ამოსული.

ქართველებს საზიზღრობების კეთებაც შეგვიძლია და ეს განსაკუთრებით კარგად უკანასკნელ ათ წელიწადში გამოჩნდა. რევოლუციის დღეებში კი საწინააღმდეგო თვისებებიც გამოვლინდა - ჯარი ხალხის მხარეს დადგა და ყველას უკეთესობის იმედი გაუჩნდა...

**- ისტორიულად ასე იმედიანად ქართული საზოგადოება რა პერიოდში იყო?**

- ასეთი რამ შუა საუკუნეებში ისტორიულად ვერ მოხდებოდა. მოძრობა რომ სისხლისღვრის გარეშე დასრულდა - თავისი მიზეზები აქვს და ეს ქართველი კაცის ბუნებაში დევს. ჯერ კიდევ 15 წლის წინ, გამსახურდიას რეჟიმის დროს ვწერდი - ქართველებს, სულ ცოტა, 2500 წლის სახელმწიფოებრივად, ცივილიზებულად ცხოვრების გამოცდილება აქვთ. შუა საუკუნეებში მომხდარი პერიპეტიების მიუხედავად - დარბევები, აოხრებები, შემოსევები - სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება ქართველთა მენტალობაში გამოიხატა.

1956 წელსაც ახალგაზრდობა იდგა და ხალხის მხრიდან არც იქ მომხდარა რაიმე ექსცესი - არც არაფერი დაურბევიათ და გაუძარცვავთ. ასე იყო 80-იან წლებშიც - დემონსტრანტები დაარბიეს და დახოცეს, მაგრამ ხალხი სხვაგვარად აზროვნებდა და როგორც ჩანს, ეს ქართველებისთვის ჩვეულია. ახლაც ასე მოხდა - ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალობის გამო, განსაცდელის დროს ხალხი ერთიანდება და პასუხისმგებლობა ემატება. როცა ქუჩაში 100 000 ადამიანი დგას, ძალზე რთულია, წესიერება დაიცვა. ვიგრძენი, რომ ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ - ბოლო დღეს, როდესაც ხალხი კანცელარიისკენ დაიძრა (მეც იქ გახლდით), ეროვნული ბანკის წინ, ლეონიძის ქუჩაზე, რაღაც სითხე იყო დაღვრილი. ხალხი ერთმანეთს აფრთხილებდა, ბენზინია და სიგარეტი არ მოწიოთ, ასანთი არ დაანთოთ - ეს თვისება განსაცდელის დროს ხალხს მუდმივად აქვს.

სახელმწიფოს პრესტიჟი კულტურის, მეცნიერების და ხელოვნების დონით ისაზღვრება და არა ბიზნესმენთა რაოდენობით.

2 ნოემბრის არჩევნებით სწორედ ამას აპირებდნენ - აკანონებდნენ ცხოვრების იმ საშინელ, კორუმპირებულ წესს, რასაც 10 წლის განმავლობაში ამკვიდრებდნენ

შუა საუკუნეებში მომხდარი პერიპეტიების მიუხედავად - დარბევები, აოხრებები, შემოსევები - სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება ქართველთა მენტალობაში გამოიხატა.

აჭარაში დინების საპირისპიროდ მოძრაობაა, მეტი არაფერი. საზოგადოების განვითარებას ობიექტური და შეუქცევადი კანონზომიერებები გააჩნია და უკან ვერაფერი დააბრუნებს.



აკადემიკოსი დათუნა მუსხელიშვილი



# აფიშა

## თეატრები

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"საახალწლო ნაძვის ხის ამბავი"
რეჟისორი ოთარ ბაღათურია
დას: 13:00; 15:00 სთ.
ფასი: 3 ლარი (საჩუქრით)

**თეატრალური სარდაფი**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
მორის რაველი
"ბოლერო"
რეჟისორი: გია მარღანია
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
მიუზიკლი
"ყველაზე დიდი სასწაული"
რეჟისორები: ვარსიმაშვილი და ღლონტი
დას: 13:00 სთ

## კინო

**ამირანი**
"ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ"
დას: 13:30; 18:00; 20:00 სთ.

"რეალური სიყვარული"
15:30; 22:00 სთ.
ფასი: 6-9 ლარი

**რუსთაველი**
"ნემოს ძიებაში"
(ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 16:00; 18:00 სთ.

"ჯაშუშთა შვილები 2"
დას: 14:00; 20:00 სთ.

## კლუბები

**"აჭარა მიუზიკ ჰოლი"**
რეზიდენტი დი-ჯეები
დას: 22 სთ.
გოგონები უფასოდ; ბიჭები – 20 ლარი

## გამოფენა

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
გეგა ქუთათელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
ლადო ფოჩხუას ნამუშევრების გამოფენა

**რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზი**
პეტრე ფილინის ფოტონამუშევრების გამოფენა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
საახალწლო საშობაო გამოფენა "50 ახალგაზრდა მხატვრის საახალწლო სიურპრიზი"

# სამხატვრო აკადემიის ახალი რექტორი

A1 გვერდიდან

რამდენიმესაათიანი კენჭისყრა სტუდენტური ფორუმის საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. სტუდენტური ფორუმი არჩევნების იქამდე გადადებას მოითხოვდა, სანამ აკადემიის ახალი, უფრო დემოკრატიული დებულება არ იქნება მიღებული.

სტუდენტური ფორუმი არარეგისტრირებული კავშირია, რომელშიც, დაახლოებით, 20 ადამიანია გაერთიანებული. როგორც აკადემიის ზოგიერთი პედაგოგი ამბობს, ფორუმის წევრებს შორის მხოლოდ ერთი-ორია სამხატვრო აკადემიის სტუდენტი. ფორუმის ლიდერი კი აკადემიის ყოფილი სტუდენტია - უდიპლომოდ დარჩენილი გიორგი კევლიშვილი. როგორც თავად აცხადებს, მან, პრინციპულად, არ დაიცვა დიპლომი. მისი პედაგოგები კი ამტკიცებენ, რომ იგი არც იყო ამის ღირსი.

სტუდენტური ფორუმის მოთხოვნებს აკადემიის პედაგოგები - ყარამან ქუთათელაძე და გივი ნონიკაშვილი უჭერდნენ მხარს. სამეცნიერო საბჭოს წევრმა ყარამან ქუთათელაძემ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და პროტესტის ნიშნად, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ფორუმის მხარდამჭერი ნონიკაშვილი კი აცხადებდა: "სტუდენტს 600 დოლარს ვართმევთ და რა ხარისხის პროდუქტს ვატანთ აქედან. კონცეპტუალურად, აკადემიას ერთი სახე არ აქვს. მე ბულაძესთან საქმე არა მაქვს, მე საქმე მაქვს სისტემასთან, რომლის ნაწილად დღეს გია ბულაძე იქცა. ამ



გია ბულაძეს საქმეები არ აშინებს

მირიან ხახაიძის ფოტო

დებულებით ვერც ერთი ნიჭიერი ადამიანი ვერ მოვა აკადემიაში. ბიუროკრატიული სისტემაა, სადაც საწინააღმდეგო აზრი ვერ გავა. გიას კი ურჩევნია, ამ სისტემასთან ლავირებით მოხვდეს შიგნით. ერს ჰგონია, რომ აკადემია აქვს, სინამდვილეში ერს 150 ბიუროკრატი ჰყავს".

სამხატვრო აკადემიის ახალი რექტორის სამომავლო გეგმები კი ასეთია: "პირველ რიგში, ვიზრუნებ ახალი წესდების შექმნაზე, საბჭოს შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი სტუდენტთა 20-30 პროცენტი (გუშინდელ არჩევნებში სტუდკავშირის ორმა წევრმა მიიღო მონაწილეობა ნ.ჭ.). ვაპირებ გათბობის გაკეთებას (აკადემია მას შემდეგ აღარ ჰქონია გათბობა, რაც ქვეყანში ცენტრალური გათბობის სისტემა მოიშალა ნ.ჭ.). ამას 120 ათასი ლარი სჭირდება და ეს სულაც არ არის დიდი თანხა გარკვეული ფონდებისთვის". ბულაძე აცხადებს, რომ იგი თავის სამთავრობო კავშირებსაც გამოიყენებს, იმისათვის, რომ სამხატვრო აკადემია ფეხზე დააყენოს: "ვარდების რევოლუციის დროს აკადემია კარგად იქცეოდა და მთავრობა ჩვენგან დავალებულია. ახალი თაობის პოლიტიკოსებიდან ბევრი ჩემი მეგობარია. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ აკადემია სათანადო დონეზე დადგეს."

მართალია, გია ბულაძის კედლომანია (ეს ტერმინი თავად მოიგონა მხატვარმა) ბევრს აღიზიანებს, და ის რუსეთში მოღვაწე ჩვენს მეორე თანამემულეს ზურაბ წერეთელს ემსგავსება, იმაში ეჭვი არავის ეპარება, რომ ის პატიოსანი და არაკორუმპირებული ადამიანია. ამასთან, ბატონ გიას საკმარისი ამბიცია აქვს იმისა, რომ რეალური რეფორმები გაატაროს სამხატვრო აკადემიაში. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ გია ბულაძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართულ რეალობაში მხატვრის სტატუსის ასამაღლებლად - რომ მხატვარი აუცილებლად ჩამობღენძილ, გაუბედურებულ და გაუნათლებელ ადამიანს არ გულისხმობს; და რომ მხატვარი შეიძლება ინტელექტუალი და ნორმალურად ჩაცმული ადამიანი იყოს. ამას გარდა, ბოლო ორი წლის განმავლობაში მან არაერთხელ ჩართო აკადემიის სტუდენტობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; პირველად კი აკადემიის კარი ალტერნატიულ ხელოვნებას მაშინ გაუხსნა, როცა აკადემიის წინ, ლადო ბურდულის მონაწილეობით, როკ-აქცია მოაწყო.

სოსო ქოიავა კი, რომელსაც 1992 წლიდან სამხატვრო აკადემიის რექტორის თანამდებობა ეკავა, სასწავლებლიდან წასვლას არ აპირებს: "ბევრი მაქვს გაკეთებული ლითონის მხატვრული დამუშავების კათედრის ჩამოყალიბებისთვის. მე აკადემიის პროფესორი ვარ და მომავალშიც კათედრას ვუხელმძღვანელებ".

# სალამი, მადონა!

## პოპ-ვარსკვლავის ზღაპრები "პარნასში"

ანა კორძაია-სამადაშვილი

90-იანი წლების დასაწყისიდან კითხვის მოყვარული ქართველები საბჭოთა დროს და ჟურნალ Иностранная литература-ს მისტირიან, აქაოდა, მაშინ საქმის კურსში ვიყავით, ახლა კი თანამედროვე უცხოური ლიტერატურა ჩვენამდე დაგვიანებით მოდისო. ისინი განუწყვეტლივ ჩივიან, რომ მსოფლიო ლიტერატურის ქართულ ენაზე კითხვა უჭირთ, და ამას მთარგმნელებს აბრალებენ. "დიუმა ქართულად როგორ უნდა წაიკითხო?" – ვითომ "სამი მუშკეტერი" ვოლოგდის ოლქში იყოს დაწერილი.

ქართველ გამომცემელთა სადიდებლად უნდა ითქვას, რომ უკვე რამდენიმე წელია, ქართველებს ქართულად კითხვა ასწავლეს, და თანამედროვე ქართული ლიტერატურის გარდა (რომლის განვითარებასაც, ავტორების ნიჭის გარდა, გამომცემელთა შემართებასაც უნდა ვუმადლოდეთ), თარგმნილი ლიტერატურაც მრავლად ქვეყნდება, თან არამარტო მრავალი წლის წინათ ნათარგმნი კლასიკოსთა ნაწარმოებები, არამედ სულ ახალი წიგნებიც.

ასე, გამომცემლობა "არეტემ" ქართველ მკითხველს, თან მის საუკეთესო ნაწილს – ბავშვებს, მადონას ზღაპრები წარუდგინა. "ინგლისის ვარდებისა" და "მისტერ პიბოდის ვაშლების" პრეზენტაცია გუშინ, ვაკეში, წიგნის მაღაზია "პარნასში" გაიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თანამემამულეთა უმრავლესობა "ყურმოკრულ განათლებას" მაინც არ უჩივის, სხვა თუ არაფერი, შოუ-ბიზნესის ახალ ამბებში მაინც ერკვევა, პოპ-ვარსკვლავ მადონას მიერ დაწერილი ზღაპრები, თან ნამდვილი, საბავშვო ზღაპრები მრავლისთვის მოულოდნელობა იყო. არადა, ფაქტია, რომ მადონამ ორი, ძალიან კეთილი წიგნი გამოაქვეყნა, და ისინი ამჟამად ჩვენთვის და ქართველი ბავშვებისთვისაც ხელმისაწვდომია.

მართალია, თავად ქალბატონი მადონა ჩიკონე თავისი წიგნის ქართული ვარიანტის პრეზენტაციას არ დასწრებია და ავტოგრაფებიც არ დაურიგე-



წიგნების პრეზენტაცია

თეიმურაზ სახიტაშვილის ფოტო

ბია (რაც ზოგიერთი მარად უკმაყოფილო ჟურნალისტის სისინის საგანიც გახდა, რატომ – არ ვიცი), მაგრამ "პარნასში" და მის წინ, ჭავჭავაძის გამზირზე, მისი მუსიკა ჟღერდა, და ხალხიც უხვად მოგროვდა. თუმცა წიგნები საბავშვოა, მადონას თაყვანისმცემელთა რაოდენობამ პოტენციური მკითხველის, ანუ პატარების რაოდენობას აშკარად გადააჭარბა. ზოგი ქირქილებდა, "სექსის" ავტორის ზღაპარი ბავშვებს როგორ წავაკითხოთო, მაგრამ, ასე თუ ისე, წიგნები შეიძინეს. ძალიან ყოჩაღი ქალია ეს მადონა – ან უყვართ, ან – სძულთ, გულგრილი კი არავინ რჩება.

მხიარულად გამოწყობილი მოძრაობის დასის მსახიობები მის წიგნებს ხან აფრიალებდნენ, ხანაც გულდასმით კითხულობდნენ, რაც "პარნასის" წინ გამვლელთა ხალისის საგნად იქცა. შემდეგი სიხარული "მისტერ პიბოდის ვაშლების" თარგმანის ავტორის, გიო ახვლედიანის გამოჩენა იყო, რომელიც საზოგადოებას თავისი მობრძანებით ხშირად არ ანებივრებს ხოლმე.

"ალბათ, ოდესმე იტყვიან, ეს ის კაცია, მადონა რომ თარგმნაო," - მომახსენა სევდიანად გიომ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი იმდენადაც არ წაქცეულა, რომ აკა მორჩილაძე თავისი ლიტერატურის ისტორიაში ამ სტატუსით შეიყვანოს. მადონას ზღაპარი მისი პირველი და, როგორც თავად ბრძანა, უკანასკნელი თარგმანია: მასზე მუშაობა ერთ საღამოს, BBC-ს ახალი ამბების დაწყებისთანავე დაიწყო, და გადაცემა როცა დამთავრდა, თარგმანიც დამთავრებული ჰქონდა.

მე კი მახსოვს, როგორ დაარწმუნეს გიო წიგნების გამომცემლებმა, გია დარსალიამ და მალხაზ ხარბედიამ, რომ მადონას ზღაპარი აუცილებლად უნდა ეთარგმნა. ეს მოხდა იმის შემდეგ, რაც 15 სექტემბერს, "ინგლისის ვარდების" მსოფლიო პრემიერის გადაცემის ყურებისას გიას დედამ სხვათა შორის ჰკითხა: ამ წიგნებს ხომ არ გამოსცემდიო? გია ინტერნეტში "შეძვრა", იპოვნა სათანადო სააგენტო და მოლაპარაკებებიც დაიწყო. ყველაფერი ჩინებულად ვითარდებოდა, სანამ საქმე მთარგმნელებზე არ მიდგა.

გიო ახვლედიანი იმხანად ლონდონში იმყოფებოდა. უგრძელესი ტელეფონის ნომრის აკრეფის შემდეგ მალხაზ ხარბედიამ მასთან უგრძელესი საუბარი გამართა, რომლის მეასე საათზეც გია თავისი დეპოზიტის ბედმა შეაწუხა. მთავარია, რომ გიო დათანხმდა, და გუშინ მის მიერ თარგმნილ "მისტერ პიბოდის ვაშლების" ამბავს მრავალი ადამიანი მადონას, ლამაზი ილუსტრაციების და გიოს სიყვარულით ყიდულობდა.

"ინგლისის ვარდების" მთარგმნელი, ბიძინა მაყაშვილი პრეზენტაციაზე ცოტა მოგვიანებით მობრძანდა. როგორც ჩანს, არც მას უხარია ხოლმე დიდად ინტერვიუების მიცემა და ფოტოაპარატების ჩხაკუნი. "მადონას ძირითადი პროფესია, მისი მუსიკა არ მაღელვებს, ისევე, როგორც მისი ვულგარული საქციელი და პროვინციული გარეგნობა. მე ეს არ მომწონს. მაგრამ ეს ახალი პროექტი, საერთოდ, მადონას საბავშვო ლიტერატურის ასპარეზზე გამოსვლა, მისი ნიჭიერების დასტურად მიმაჩნია. თავად ეს წიგნები - ილუსტრაციები თუ თხრობის მანერა - ძალიან მომწონს, ჩემი ბავშვობისდროინდელ უცხოურ საბავშვო წიგნებს მაგონებს და ნოსტალგიურ გრძნობებს აღძრავს. თუნდაც ეს: "ვისია ეს წიგნი?"

დღეიდან ამ წარწერის ქვეშ მრავალი ქართული სახელი და გვარი დაიწერება, და მსოფლიოს ასი სხვა ქვეყნის მრავალ ბავშვთან ერთად ჩვენი პატარებიც წაიკითხავენ, თუ რა ამბავი გადახდათ თავს ჩვეულებრივ ინგლისელ გოგონებს, და როგორი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პატარა ქალაქში მისტერ პიბოდის ლოყაწითელმა ვაშლებმა.

**P.S.** ქალიშვილთან ერთად პრეზენტაციაზე მობრძანებულმა დათო ტურაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ შემდეგ ჯერზე ლელა წურწუმიას ზღაპრების კრებულის პრეზენტაცია გაიმართება. საინტერესო წინადადებაა, რას იტყვით?!

# პირველი

ვერა ნეფარიძე

*როგორ გგონიათ, შეიძლება გამოფენა ერთდროულად იყოს რიგით პირველიც და მესამეც? ასეთი აბსურდის დაჯერება მეც გუშინ, ახალგაზრდა მხატვრის, გეგა ქუთათელაძის წყალობით მომიხდა...*

როდესაც სამხატვრო აკადემიაში სტუდენტების დიდი ვნებათაღელვის ფონზე, სამეცნიერო საბჭო რექტორს ირჩევდა, აკადემიის შარშანდელი კურსდამთავრებული ახლობელთა წრეში, საკუთარ პერსონალურ გამოფენას ხსნიდა. სწორედ ზემოთნახსენები ვნებათაღელვის გამო, გახსნას ბევრი "აკადემიელი" (როგორც სტუდენტი, ისე პედაგოგი) ვერ დაესწრო. სამაგიეროდ, ვინც "ქარვასლაში" მოვიდა, ისინი დარწმუნებულები იყვნენ აკადემიის მომავალში და ამიტომაც, მისი ერთ-ერთი წარჩინებული მოწაფის შემოქმედებითი ცხოვრებით უფრო დაინტერესდნენ, ვიდრე იმ უპერსპექტივო პროტესტით, რომელიც გამოფენის პარალელურად, აკადემიაში ახალ რექტორს გამოუხატეს.

მართალია, სიტყვა წარჩინებული ვახსენე, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, რა ნიშნებზე დაამთავრა შარშან გეგა ქუთათელაძემ თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი. უბრალოდ, ხატვის გარკვეული კანონების ზედმიწევნით ცოდნა საკმაოდ აშკარაა ახალგაზრდა მხატვრის ნებისმიერ ნამუშევარში (ყოველ შემთხვევაში, "ქარვასლაში" წარმოდგენილ ექსპოზიციაზე). თუმცა, ამ შემთხვევაში ალბათ გასათვალისწინებელია, რომ გეგას აკადემიაში ისეთი ცნობილი პედაგოგები და მხატვრები ასწავლიდნენ, როგორებიც არიან: თინა ზამბახიძე ან გოგი წერეთელი...

"ქარვასლაში" გუშინ ახალგაზრდა მხატვარმა უკანასკნელი პერიოდის ნამუშევრები გამოფინა. აპლიკაციები, ლინოგრავიურები, გუაში... ტექნიკის გარდა, გამოფენა თემატური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. პირადად, ყველაზე ეფექტური და ორიგინალური ლინოგრავიურები (განსაკუთრებით ორივე "ხე") მეჩვენა. აქამდე ექსპოზიციიდან რამდენიმე ნამუშევარი ავტორს სხვადასხვა ჯგუფური გამოფენის დროს ჰქონდა წარდგენილი დამთვალიერებლის წინაშე. ძირითადი ნაწილი კი პირველად გამოიფინა გალერეაში.

"მესამე პერსონალურია, მაგრამ მაინც პირველი", - ისედაც, საკუთარ შემოქმედებაზე საუბრისას სიტყვაძუნწი მხატვრის ასეთი პასუხი თავიდან ვერ გავიგე. მერე იოლად გამარკვიეს გეგას ოჯახის წევრებმა სიტუაციაში. გეგა ქუთათელაძეს პირველი-ორი პერსონალური გამოფენა საკმაოდ ადრე, ბავშვობაში ჰქონია. გუშინდელი კი "დიპლომიანი" მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა იყო. ექსპოზიციას კარგი შეფასებები მისცეს როგორც მხატვრებმა, ისე დილეტანტებმა და, უბრალოდ, მოყვარულებმა. ეს უკანასკნელნი კი გუშინ "ქარვასლაში" არც ისე ცოტანი იყვნენ.

# ფარაჯანოვს მთელ წელიწადს გაიხსენებენ

გამოჩენილი რეჟისორის სერგეი ფარაჯანოვის დაბადებიდან 80 წლისთავი მოსკოვში აღინიშნება როგორც კინემატოგრაფის ისტორიის განვითარების მნიშვნელოვანი თარიღი.

იუბილეს მიეძღვნება ხანჟონკოვის სახლში გამართული საღამო. საღამოზე რეჟისორს გაიხსენებენ სცენარისტები და რეჟისორები. ნაჩვენები იქნება 1970 წელს გადაღებული ცნობილი ფილმი "ბროწეულის ფერი". ამ კინოსურათში კარგად ჩანს რეჟისორის მხატვრული ხედვა, ფიქრები და მისი გამომსახველობითი მანერა, პოეტური შეხედულებები და სამყაროს მისეული აღქმა.

რუსეთის ტელე-არხებზე ნაჩვენები იქნება ფარაჯანოვის 80-ან წლებში გადაღებული ფილმები: "ლეგენდა სურამის ციხეზე", რომელიც ქართული ფოლკლორის მიხედვითაა შექმნილი და რომანტიკული დრამა "აშიკ-ქერიმი".

ფარაჯანოვს საერთაშორისო აღიარება მოუტანა ფილმმა "მივიწყებული წინაპრების ლანდები". იგი თავადაც წარმატებით თამაშობდა მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებში.

რუსეთში ფარაჯანოვის საიუბილეო ღონისძიებები მთელი წლის განმავლობაში გაიმართება. **მედია-ნიუსი**


24 საათი

# წიგნები



შაბათს 10-23 იანვრის ნომერში წაიკითხავთ

ზურაბ კიკნაძის წერილს "მწერალთა კავშირი. როგორი დაარსდა, როგორი გახდა, როგორი უნდა იყოს?"

შერვუდ ანდერსონის მოთხრობას
დათო მაღრაძისა და მაია სარიშვილის ლექსებს

რეცენზიებს გოდერძი ჩოხელის, ერლომ ახვლედიანის, აკაკი ხინთიბიძის, ასტრიდ ლინდგრენის, ენტონი ბერჯესის, მილან კუნდერას წიგნებზე

ინტერვიუს ლევან ბერძენიშვილთან

# ნიუ იორკელის ახალი ქართული პროექტი

თამარ ბაბუაძე

"ყავის მაგიდის წიგნი" – ინგლისურენოვან სამყაროში ასე ეძახიან იმას, რასაც რუსები чтиво-დ მოიხსენიებენ, ქართველები კი, ზუსტად არც ვიცი, რას ვეძახით, ალბათ - უფრო გასართობად საკითხავ წიგნებს.

ამ კატეგორიაში ამერიკელებს, პირველ რიგში, ფოტო-ალბომების ძვირფასი გამოცემები შეჰყავთ, ვთქვათ ჰელმუტ ნიუტონის სამას გვერდზე გადაჭიმული და ძვირფას ფურცელზე დაბეჭდილი ავტობიოგრაფია, რომელიც 2003 წელს გამოიცა, ანდა ნებისმიერი, უხვად ილუსტრირებული წიგნი სტილზე, არქიტექტურაზე, ფოტოგრაფიაზე...

როდესაც გავიგე, რომ ამერიკელი ფოტოგრაფი, ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქლიფტონ მიდორი თბილისში აგვისტოდან იმყოფება, ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩაზე სახლობს (თალიანი ეზო და ძველი სახლები, ხვეული კიბე და კიბეს შემოხვეული ვაზი... – ასე წერს თვითონ), ფოტო-ფირზე გადააქვს მთელი ჩვენი ქართული ცხოვრება და მერე საქართველოს შესახებ ალბომის გაკეთებას აპირებს, გავიფიქრე, რომ მიდორს, საბოლოო ჯამში, "ყავის მაგიდის" რანგის კრებული გამოუვა (რაც, თავისთავად, არც არის ცუდი; მით უფრო, რომ, თუ არ ვცდები, ბოლო დრომდე, ბადრი ვადაჭკორიას ალბომის გამოცემამდე საქართველოს მსგავსი რამ არც ღირსებია).

თუმცა, მერე მიდორის რამდენიმე წინა გამოცემა ვნახე და აღმოჩნდა, რომ შევცდი - მისი წიგნები გაცილებით მეტია, ვიდრე "ყავის მაგიდის გამოცემები". ავტორი ირჩევს ერთ თემას, მაგალითად, სოლოვეცკის სამონასტრო კომპლექსს, რომელიც გასაბჭოების შემდეგ საპრყობილედ გადააკეთეს წითლებმა და იქ ათასი შავი საქმე აკეთეს; იკვლევს მის ისტორიას, ინიშნავს საინტერესო ეპიზოდებს, იღებს ასობით ფოტოს, და სიტყვიერი და ვიზუალური მასალის ნაზავი გადააქვს წიგნში, რომლის ეფექტის გასაძლიერებლადაც თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის ყველა სიკეთეს იყენებს (ორიგინალური დაკაბადონება, შთამბეჭდავი ფოტომონტაჟი, საოცარი ფერები, ეფექტური კადრები, ტექსტისა და სურათის ჰარმონიული შეთავსება). ასე რომ, საბოლოო ჯამში ყოველთვის სახეზეა შესანიშნავი ვიზუალური მასალით გაფორმებული ძირფესვიანი კვლევა რომელიმე საინტერესო საკითხზე.

რატომ, საქართველო...

სწორედ ასეთი ბედი ელის კლიფტონ მიდორის "ხელში" ჩავარდნილ საქართველოსაც. ავტორი ხომ შინ, ნიუ იორკში უამრავი მასალით დატვირთული მიდის – ფოტოები, ჩანაწერებით სავსე დღიური, მეხსიერებაში შემორჩენილი მოგონებები და, "მე ამისგან გავაკეთებ," ტიპის იდეები.

"საქართველო შემოქმედებითი იდეებისთვის ზღვა მასალას ფლობს. აქ ყველაფერი საინტერესო და სამახსოვროა – წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, რომელსაც თქვენ საოცარი იმედით უყურებთ", - გვიყვება ფოტოგრაფი, რომელიც საქართველოს თემით წლების წინ, რუსეთში მოგზაურობის დროს დაინტერესდა. მოსკოვში, თურმე, ის ხშირად ხვდებოდა ქართველებს და ყოველ ჯერზე სულ უფრო მეტად ულვივდებოდა ჩვენში მოგზაურობის სურვილი. რუსები ამ იდეას აპროტესტებდნენ, არწმუნებდნენ, - საქართველოში გაგიჭირდებაო, - ქართველები კი უდარდელად აქეზებდნენ, - აუცილებლად წადი, ნახავ, როგორ მოგეწონებაო. ბოლოს ქლიფტონმა შარშან ზაფხულს ორი კვირით მოახერხა ჩამოსვლა. მერე კი "ფულბრაიტის" სტიპენდია მიიღო და საქართველოში მეუღლესთან და შვილთან ერთად უფრო ხანგრძლივი დროით, ექვსი თვით გამოემგზავრა.

"ალაბამას შტატში ვიზრდებოდი და თან მაშინ, როცა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა ლვივდებოდა. ეს ის დრო იყო, როცა თავდაყირა დადგა ყველაფერი – ფასეულობები, რეალობა. თეთრკანიანები იძულებულნი გახდნენ, ეღიარებინათ, რომ შავკანიანებიც მოქალაქეები იყვნენ.

რაღაც მსგავსი დავინახე რუსეთშიც – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დედამიწა საბჭოთა მოქალაქეებისთვისაც ამოტრიალდა. განსაკუთრებით დავინტერესდი ექს-საბჭოთა რესპუბლიკებით, რადგან ვფიქრობდი, რომ რკინის ფარდის ეპოქაში რუსებზე უფრო მათ უჭირდათ. ასე ალმოვჩნდი აქ..."

"ერთი რამ მაოცებს ყველაზე მეტად. ასე პატარა ქვეყანას, როგორ აქვს კულტურული ცხოვრების ასეთი მაღალი დონე – გალერეები, მუზეუმები, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, თეატრები... ეს საოცრებაა. შოტლანდიაც ხომ, თითქმის, საქართველოსავით პატარაა, მაგრამ, კულტურული აქტივობის მხრივ, აქაურობას ვერც კი შევადარებ; თუნდაც შტატები ავიღოთ – სამხრეთ კაროლინას შტატი, თითქმის, საქართველოს ტოლია, მაგრამ საქართველოსთან მაინც ვერ მივა.

ერთი მოსაზრება მაქვს ამის ასახსნელად და მითხარით, მართალი ვარ თუ არა. ასე მგონია, რომ კულტურული ცხოვრების დაცვა თქვენი ისტორიული მისიაა. კავკასიას ხომ ისე გამუდმებით ესხმოდნენ თავს, რომ ხალხს მუდამ უწევდა საკუთარი ფასეულობებისა და კულტურის იარაღით დაცვა. ასე რომ, საუკუნეების განმავლობაში მთელ ერს რაღაც იმუნური სისტემის მსგავსი ჩამოგიყალიბდათ და კულტურული ცხოვრების აქტიურ და მაღალ დონეზე ფუნქციონირებას ახლაც გაცხარებით იცავთ".

## ცხოვრება კავკასიელების გარემოცვაში

როგორც ხედავთ, ქლიფტონ მიდორს საქართველოს შესახებ სალაპარაკო არ ელევა. რამდენიმე თვე საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ალაბამელი ქართველად იქცეს, მაგრამ, სრულიად საკმარისი დროა იმისთვის, რომ მან ქართველების შესწავლა შეძლოს - მით უფრო, თუ ის გამუდმებით მოგზაურობს. მიდორს შემოვლილი აქვს კახეთი რთველის დროს და ქართველი რომანტიკოსის მსგავს ფრაზას ამბობს: "ალაზნის ველი ისეთი ლამაზი იყო, როგორც არასდროსო"; ჩურჩხელების ამოვლებაში გატარებული კახური დღის შემდეგ ხილით სავსე ბაღში ნაქეიფარი კი: "შესანიშნავი ღვინო პირდაპირ ძველი მარნიდან მოჰქონდათ, ქართულ კლასიკურ სადღეგრძელოებს ვამბობდით. ისე დავთვერი, თითოეული სადღეგრძელო დიადი აზრით სავსე მეგონა. სხვათა შორის, ეს ხერხია იმისთვის, რომ ქართული სუფრა გაითავისო და მოგეწონოს: უნდა დათვრე... ვარსკვლავებიანი ღამე იყო, ჩვენ კი ვისხედით ეზოში და ვსაუბრობდით" (ქართულ შთაბეჭდილებებს ქლიფტონ მიდორი თავის მეუღლესთან ერთად ინტერნეტ-გვერდს უძღვნის. www.livingwithcaucasians.blogspot.com - ეს მისამართი ერთგვარი ონლაინ-დღიურია, რომლის წაკითხვაც ყველას შეუძლია).

ზოგადად, ეკლესია-მონასტრები მიდორის სუსტი წერტილია. ცხადია, ის საქართველომ, ამ მხრივ, კიდევ ერთხელ გააოცა: "გენიოსები იყვნენ ქართველები, ისე ზუსტ ადგილმდებარეობას უძებნიდნენ ტაძრებს. ატენის სიონი ავიღოთ – შესანიშავ ადგილზეა აგებული. ვარძია, უფლისციხე, ჯვარი, გრემი, ნეკრესი, ალავერდი, მცხეთა, თბილისი – თითქმის, ყველაფერი ვნახე, რაც გზამკვლევში იყო აღნიშნული. თუმცა, ჩემი ფავორიტი მაინც საფარა და სამთავისია, კვეთის გამო. დავით გარეჯში არ ვყოფილვარ, ვიცი, რომ ფანტასტიკურია, მაგრამ მითხრეს, - ყაჩაღები შეიძლება დაგხვდნენ გზაზეო, - მართალია? არა? თუ ასეა, წავალ, თებერვლამდე დრო არის. მე ხომ ამერიკაში გამგზავრებამდე კიდევ ბევრი რამე მინდა, მოვასწრო".

თუ არ ჩავთლით, 50-იანი წლების სამოქალაქო მოძრაობას ალაბამაში, რომელიც მიდორის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი წიგნის მთავარი თემა გახდა, საქართველოს რევოლუცია მისთვის პირველი რევოლუციაა.

აშშ-ს საელჩომ ამერიკელებს მაშინ სიფრთხილესკენ მოუწოდა, მაგრამ მიდორი პარლამენტის წინ გამართულ მიტინგებს არ მოშორებია. მართალია, ეშინოდა, - სროლა ატყდებაო, - მაგრამ, მაინც სულ რუსთაველზე დადიოდა და იღებდა დემონსტრანტებს, იწერდა დღიურში განსაკუთრებით საინტერესო ამბებს, საინფორმაციო გამოშვებებსაც კი უყურებდა ქართულ ენაზე. მერე კი, როცა ყველაფერი დამთავრდა, აღტაცებული ამბობდა, - ეს ფანტასტიკა იყო! როგორ გამიმართლა, როგორი იღბლიანი ვყოფილვარ, რომ ასეთ მნიშვნელოვან დროს თბილისში ვიყავიო.

მეტიც, ცოლ-ქმარ მიდორებს ისე გადაედოთ ქართული საზოგადოების მთავარი თვისება – პოლიტიზირება, რომ ეს ჩვეულება ვერც რევოლუციის შემდეგ მოიშორეს. მიდორების ინტერნეტ-დღიურში, 5 იანვრის ჩანაწერში ასეთ ფრაზას ვაწყდებით: "...მოკლედ, ყველაფერი დამთავრდა, პრეზიდენტი არჩეულია. ახლა შეგვიძლია, მიშა-ობა ვიზეიმოთ – "მიშას" ფესტივალი".

ერთი სიტყვით, ქართული ცხოვრება ქლიფტონ მიდორმა ისე გაითავისა, რომ ეფექტური წიგნი უნდა გამოუვიდეს. პრობლემა ერთია – საქართველოში იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესო თემები მოიძია, რომ რომელიმე კონკრეტულის არჩევა უჭირს. ღვინის, ეკლესია-მონასტრების, რევოლუციის გარდა, მას თბილისის არქიტექტურაც აინტერესებს - სახელმიწფო მუზეუმის მასალებსაც იცნობს, ძველი ფოტოებისა და საფოსტო ბარათების ჩათვლით, და ქალაქის გარდაქმნის პროცესის აღწერაც სურს.

თუმცა, ჯერ ზუსტად არ იცის, რა გამოცხვება საქართველოსგან. მეტიც, როდესაც კონკრეტულ პროექტს უხსენებ, უჩვეულოდ სიტყვაძუნწობს ჩვეულებრივ ენაწყლიანი ავტორი და დუმილს "დათარსვის "შიშით" ხსნის: "წინასწარ ვერაფერს გეტყვით. უამრავი მასალა და რამდენიმე დამოუკიდებელი იდეა მაქვს, მაგრამ - იმდენად ბუნდოვანი, რომ თქმად არც ღირს. თან წინასწარ არც მინდა ამაზე ლაპარაკი. მეშინია, საკუთარი წიგნი არ გავთვალო", - ამბობს ის და ყურადღების სხვა თემაზე გადასატანად თავისი ახალი წიგნის პილოტ ვერსიას გვაჩვენებს უზბეკეთის ქალაქ-მუზეუმ ხივაზე, რომელიც გასაყიდად 2004 წლის ზაფხულში გამოვა.

## სიკვდილის ზღვარზე და დიდი გასეირნება ალაბამაში

მიდორი ზაფხულში გამოსცემს წიგნს უზბეკეთზე და ფიქრობს, რომ ის ძალიან სასარგებლო იქნება ამერიკელებისთვის, რომელთაც სრული ინფორმაცია არ აქვთ ცენტრალურ აზიაში რუსეთის ექსპანსიაზე. თუმცა, ამ მოსაწყენ, ისტორიულ ქრონიკებს ავტორი მხატვრული ელემენტებით ახალისებს. ის ისტორიულ ქალაქ ხივას, თავისი ირეალურობის და მისტიკურობის გამო, წარმოგვიდგენს ადგილად, სადაც სიკვდილის შემდეგ მიდიხარ. წიგნში ჩნდება გამოგონილი გმირიც, რომელსაც გზამკვლევი აქვს. სწორედ ამ გზამკვლევის საშუალებით გვიყვება ავტორი ცენტრალური აზიის ისტორიულ ამბებს. ასე რომ, მიდორი აკეთებს წიგნს წიგნში, თანაც შესანიშნავად გაფორმებულსა და დაკაბადონებულს.

"ხივა, მართლაც, საოცრება იყო. იქ აგვისტოში ვიყავი, 50 გრადუსი სიცხე იდგა. ბუხარასა და ხივას შორის მივდიოდით მანქანით; ისე ცხელოდა, რეალობის განცდას ვკარგავდი. უდაბნოს ქვიშა ჰაერში ბრუნავდა, მზეზე იისფრად ბრჭყვიალებდა, დამდნარ გზაზე ბორბლები უცნაურ ხმებს გამოსცემდა. თითქოს, ჰალუცინაციებიც მეწყებოდა. სწორედ მაშინ გამიჩნდა სიკვდილის განცდა; ისეთი შეგრძნება, თითქოს, გარდავიცვალე და ხივა იყო ჩემი საბოლოო დანიშნულების წერტილი".

მიდორი, დაახლოებით, 30-იოდე წიგნის ავტორია. თუმცა, როგორც თავად ამბობს, აქვს რამდენიმე გამორჩეულად საყვარელი პროექტი, ისეთი - გარღვევას რომ ეძახიან. რადგანაც ალაბამელია, მისთვის განსაკუთრებით ძვირფასია კრებული სელმას მსვლელობის შესახებ. 50-იან წლებში, სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის გაჩაღებამდე ქალაქ სელმადან მონტგომერიში აფრო-ამერიკელების ჯგუფს უმოგზაურია და ადგილობრივი მთავრობისგან არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება უთხოვია. მიდორმა მოიძია მაშინდელი პრესა, წიგნები შავკანიანი მონების შესახებ, მერე გადაიღო ალაბამის ის გზატკეცილები, სადაც წლების წინ შავკანიანები საპროტესტო მსვლელობას აწყობდნენ და ამ ფოტოებზე დააკრა ძველი ცნობები. მოკლედ, ფრიად საინტერესო და შთამბეჭდავი კრებული გამოვიდა. ეს მსვლელობა კი თბილისში ჩამოსულმა საოცრად მიამსგავსა ქართველების საპროტესტო მარშს თბილისისკენ – როცა დედაქალაქისკენ განათებული მანქანების გრძელი რიგები მოიკლაკნებოდა რეალობისა და ფასეულობების შესაცვლელად.

## წიგნი: თემიდან - ბეჭდვამდე

მიდორის წიგნები ძალიან ლამაზი და საინტერესოა, მაგრამ მაინც სულ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, ავტორი ამ ყველაფერს მხოლოდ საკუთარი თავისთვის აკეთებს. "ასეც არის - ჩემ წიგნებს დიდი კომერციული წარმატება არასდროს მოუტანიათ, მაგრამ ამას ნაკლებად განვიცდი, რადგან მე თვითონ მიყვარს ის, რასაც ვაკეთებ. ეს ჩემი ინტერესის სფეროა, პირველ რიგში, მე მაინტერესებს ამბავი, რომელსაც წიგნს ვუძღვნი და მე თვითონ მსიამოვნებს დაკაბადონებაც, ფერთა შეთანხმებაც, ფოტოების გადაღებაც, მათი კომპიუტერული დამუშავებაც. წიგნი ჩემთვის ამ სხვადასხვა საფეხურების მთლიანობაა. ძალიან საყვარელი და ძვირფასი პროცესია – თემის შერჩევიდან – ბეჭდვამდე".

**P.S.** ქლიფტონ მიდორი ნიუ იორკში თებერვალში დაბრუნდება და ახალ, ქართულ პროექტზე შინ, საკუთარ სახელოსნოში ჩაფიქრდება. იმედია, ამჯერად კომერციული წარმატების მიღწევაში საქართველო მას აუცილებლად დაეხმარება. "ვარდების რევოლუციამ" ხომ ქართული თემა მსოფლიო მედიის პირველ გვერდებზე ხანგრძლივი ვადით დააბრუნა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

კლიფტონ მიდორი



მიდორის ქართული არქივიდან

ათეულები

### ყველაზე შემოსავლიანი კონცერტების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| შემსრულებელი | სად | როდის | შემოსავალი $ | ბილეთის ფასი $ |
|---|---|---|---|---|
| 1. სელინ დიონი | "სეზარს პალასი", ლას ვეგასი | 30 დეკემბერი-3 იანვარი | 2.8 მილიონი | 225. 175. 127. 87. |
| 2. The Dead, [illegible], Funk Brothers | ოკლენდი, კალიფორნია | 30-31 დეკემბერი | 1.5 მილიონი | 75. 45. |
| 3. [illegible] | [illegible] | 19 დეკემბერი | 1.1 მილიონი | 80. 65. 45. |
| 4. [illegible] | [illegible] | 19 დეკემბერი | 0.9 მილიონი | 248. 148. 88. 38 |
| 5. [illegible] | ჩიკაგო, ილინოისი | 29-31 დეკემბერი | 0.5 მილიონი | 68. 33. 28 |
| 6. ემი გრანტი & ვინს გილი | 22 დეკემბერი | [illegible] | 0.5 მილიონი | 77. 52. 42. |
| 7. Trans-Siberian Orchestra | [illegible] | 20 დეკემბერი | 0.4 მილიონი | 42. 32. |
| 8. ემი გრანტი & ვინს გილი | [illegible] | 21 დეკემბერი | 0.4 მილიონი | 75. 50. 40. |
| 9. [illegible] | ჩიკაგო, ილინოისი | 31 დეკემბერი | 0.3 მილიონი | 77. |
| 10. Les Cowboys Fringants, Dumas | მონრეალი, კვებეკი | 30 დეკემბერი | 0.3 მილიონი | 21. 17. 13. |

### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| 1. "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება" | პიტერ ჯექსონი | [illegible] | 28,180,378 | 290,410,961 |
| 2. [illegible] | [illegible] | სტივ მარტინი, ბონი ჰანტი, ჰილარი დაფი | 21,644,537 | 86,620,095 |
| 3. "რაღაც უნდა გასცე" | ნენსი მეიერსი | ჯეკ ნიკოლსონი, დაიან კიტონი, კიანუ რივზი | 11,705,123 | 81,211,676 |
| 4. "ცივი მთა" | ენტონი მინგელა | ნიკოლ კიდმანი, ჯუდ ლოუ, რენე ზელვეგერი | 11,579,747 | 43,737,222 |
| 5. [illegible] | ჯონ ვუ | ბენ აფლეკი, უმა თურმანი, ეარონ ეკჰარტი | 9,837,313 | 38,644,452 |
| 6. "პიტერ პენი" | პ. ჯ. ჰოგანი | [illegible] | 8,818,755 | 34,179,235 |
| 7. "მონა ლიზას ღიმილი" | მაიკ ნიუელი | ჯულია რობერტსი, კირსტენ დანსტი, ჯულია სტაილსი | 8,300,794 | 50,006,766 |
| 8. "უკანასკნელი სამურაი" | ედ ზვიკი | ტომ კრუზი, ბილი კონოლი | 7,373,719 | 90,017,337 |
| 9. "კალენდრის გოგონები" | ნაიჯელ კოული | ჰელენ მირენი, ჯული უოლტერსი | 4,437,082 | 6,953,194 |
| 10. "ცუდი სანტა" | ტერი ზვიგოფი | ბილი ბობ ტორნტონი, ლორენ გრეჰემი | 2,937,737 | 56,909,596 |



### კვირის ბესტსელერები გაზეთ "დეილი ტელეგრაფის" მიხედვით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | ფასი |
|---|---|---|---|
| 1. ჯონ გრიშემი | "[illegible]" The King of Torts | "[illegible]" | 6.99 გირვანქა სტერლინგი |
| 2. ალექსანდერ მაქკოლ სმიტი | "პირველი ლედების დეტექტიური სააგენტო" | "აბაკუსი" | 6.99 გირვანქა სტერლინგი |
| 3. იან მარტელი | "პის ცხოვრება" | "კენონგეიტი" | 7.99 გირვანქა სტერლინგი |
| 4. ჯოან ჰარისი | Holy Fools | "ბლექ სუონი" | 6.99 გირვანქა სტერლინგი |
| 5. ელის სიბოლდი | "საყვარელი ძვლები" | "პიკადორი" | 7.99 გირვანქა სტერლინგი |
| 6. [illegible] | Spellbound | "პინგვინი" | 6.99 გირვანქა სტერლინგი |
| 7. [illegible] | "[illegible]" | "ქორგი" | 6.99 გირვანქა სტერლინგი |
| 8. [illegible] | "[illegible]" | "ბლუმზბერი" | 7.99 გირვანქა სტერლინგი |
| 9. ალექსანდერ მაქკოლ სმიტი | "ლამაზი გოგონების მორალი" | "აბაკუსი" | 6.99 გირვანქა სტერლინგი |
| 10. [illegible] | "[illegible]" | "[illegible]" | 7.99 გირვანქა სტერლინგი |

ფეხბურთი

# 2003 წლის სიმბოლური ნაკრები - რობერტო კარლოსის ვერსიით

## შვიდი მადრიდელი და დანარჩენები

*UEFA-ს ოფიციალურმა ვებგვერდმა გულშემატკივრებს შორის გამოკითხვა ჩაატარა. ნებისმიერ მსურველს შეეძლო, დაესახელებინა 2003 წლის ნაკრების მისეული ვერსია. ვებგვერდი თითოეულ პოზიციაზე რამდენიმე ფეხბურთელის კანდიდატურას გვთავაზობდა, გულშემატკივარს კი თავისი ფავორიტები უნდა დაესახელებინა. სასიხარულოა, რომ მარცხენა მცველის პოზიციაზე, UEFA-ს მიერ წარმოდგენილ კანდიდატებს შორის, ბიქსენტ ლიზარაზუსთან, ჯანლუკა ძამბროტასთან, ჯონ ო`შისთან და რობარტო კარლოსთან ერთად კახა კალაძეც არის. გამოკითხვის შედეგებს დღეს შევიტყობთ, მანამდე კი, uefa.com-მა 2003 წლის ნაკრების წევრობის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატს, რობერტო კარლოსს ნაკრების მისეული ვერსიის დასახელება სთხოვა.*




"ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ იმით, რომ 2003 წლის საუკეთესო მარჯვენა მცველის წოდების კანდიდატთა შორის დამასახელეს. "რეალში" მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ, ამიტომაც ნუ გაგიკვირდებათ, თუ 2003 წლის ნაკრების ჩემეული ვერსია ჩემი თანაგუნდელებით იქნება სავსე", - ამბობს რობერტო კარლოსი და თავისი "ოცნების" გუნდის დასახელებას იწყებს...

**მეკარე: ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი)**

ევროპის საუკეთესო მეკარედ სრულიად დაუფიქრებლად იკერ კასილიასს დავასახელებდი, მაგრამ UEFA-ს ნომინანტთა შორის ის არ არის დასახელებული. 2003 წელს "იუვენტუსის" წინააღმდეგ ჩვენი მატჩი უაღრესად მძიმე აღმოჩნდა. მათ შეაჩერეს ჩვენი მსვლელობა რიგით მეათე ჩემპიონთა თასისკენ, რადგან ჩვენზე ძლიერები იყვნენ.

**მარჯვენა მცველი: მიჩელ სალგადო (რეალი)**

უკვე ხუთი წელია, რაც მიჩელი "რეალში" თამაშობს და ახლა საუკეთესო ფორმაშია. ის შესანიშნავი მცველია, თანაც, სალგადო უნივერსალური ფეხბურთელია. ყველას ძალიან გვიხარია, რომ მან "რეალთან" კონტრაქტი გააგრძელა.

**მარცხენა მცველი: ბიქსენტ ლიზარაზუ (ბაიერნი)**

საკუთარ თავს ვერ დავასახელებ, ჯობს, ლიზარაზუ იყოს საუკეთესო მარცხენა მცველი. ის შესანიშნავად თამაშობს "ბაიერნის" შემადგენლობაში, თანაც, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონია. რაღა უნდა დავამატო?!

**ცენტრალური მცველები: ივან ელგერა (რეალი) და პაოლო მალდინი (მილანი)**

ადამიანები ხშირად საუბრობენ "რეალის" შეტევაზე, ჩვენს თავდამსხმელებზე, მაგრამ ასეთ წარმატებებს ვერ მივაღწევდით, კარგი დაცვა რომ არ გვყოლოდა. ივანი კლდესავით დგას უკან. სამწუხაროდ, ზოგჯერ მას ისე არ ენდობიან, როგორც იმსახურებს.

მალდინი ცოცხალი ლეგენდაა. მრავალი წლის განმავლობაში ის უმაღლეს დონეზე თამაშობს და დღემდე ასპარეზობს სერია A-ში. 35 წლის ასაკში მალდინი ჩემპიონთა ლიგაშიც შესანიშნავად თამაშობს. ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ის კარგი მაგალითია.

**მარჯვენა ნახევარმცველი: ლუიშ ფიგუ (რეალი)**

ლუიშთან ერთად წლების განმავლობაში ვთამაშობ. მას ვიცნობ არა მხოლოდ როგორც უმაღლესი კლასის ფეხბურთელს, არამედ როგორც დიდებულ ადამიანს. ლუიში ძალიან მხიარული, კეთილშობილი ბიჭია. ის არის ფეხბურთელი, რომელსაც ნებისმიერი გუნდი ინატრებდა.

**ცენტრალური ნახევარმცველი: დევიდ ბექჰემი (რეალი)**

მიუხედავად იმისა, რომ დევიდთან ერთად არც ისე დიდი ხანია ვთამაშობ, კარგად ვიცი, თუ რა დონის ფეხბურთს აჩვენებდა მადრიდში ჩამოსვლამდე. ის ისე ჩქარა მოერგო თამაშის ესპანურ მანერას და იმდენჯერ დაგვეხმარა ამ სეზონში!.. დევიდი მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ ის მხოლოდ უბრალო ადამიანია, რომელიც თავდაუზოგავად მუშაობს საკუთარ თავზე.

**შემტევი ნახევარმცველი: ზინედინ ზიდანი (რეალი)**

რა უნდა გითხრათ ზიზუზე?! არა მგონია, რომ uefa.com-ის მომხმარებელთა შორის ბევრი იქნება ისეთი, ვინც ხმას არ მისცემს ამ არაჩვეულებრივ ადამიანს. ის საოცარი ფეხბურთელია და სრულიად გასაგებია, თუ რატომ მიაღწია ასეთ წარმატებას.

**მარცხენა ნახევარმცველი: რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი)**

მე ყოველთვის გიგზის დიდი გულშემატკივარი ვიყავი, აღტაცებაში მომიყვანა მისმა თამაშმა, როცა "მანჩესტერს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში შევხვდით.

**თავდამსხმელები: რონალდო და რაული (ორივე რეალი)**

რონის არ სჭირდება რეკლამა. ყველაფერი მარტივია – ის მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია. ჩემთვის ის კარგი ღვინოსავითაა, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უკეთესი ხდება.

დიახ, მადრიდის "რეალის" კიდევ ერთი ფეხბურთელია, მაგრამ ვინ შემეწინააღმდეგება ამ აზრში?! მრავალი წელია, რაული წამყვანი ფეხბურთელია "რეალში". გულშემატკივართა სიყვარულს და იმედებს ის ასი პროცენტით ამართლებს და ყოველ წელს უკეთესად თამაშობს.

**მწვრთნელი: მარჩელო ლიპი**

ნებისმიერი მწვრთნელი, რომელიც ახლანდელი "რეალის" დამარცხებას შეძლებს, პატივისცემას იმსახურებს. სწორედ ეს მოახერხა ლიპიმ გასულ წელს ტურინში.

# "შემოგვხედეთ, რა ბედნიერები ვართ!"

## ლოთარ მათეუსის პირველი ინტერვიუ ბუდაპეშტიდან

ნინო პირველი

როგორც იქნა, საბრალო ლოთარისთვისაც დადგა ბედნიერი დღეები. თავის მესამე მეუღლესთან ერთად სახეგაცისკროვნებული დაეხეტება დათოვლილი ბუდაპეშტის გაყინულ ქუჩებში და მარიანასთან გატარებული ყოველი წამით ტკბება. ახლად დაქორწინებულები არაფერს აქცევენ ყურადღებას. არც იმას, რომ შუა ზამთარია და საშინალდ ცივა, არც ის ადარდებთ, რომ ბუდაპეშტში თოვლისგან ქუჩების გაწმენდით არავინ იწუხებს თავს და გაყინულ ქუჩებში მოსეირნე შეყვარებულებს, სიამოვნების ნაცვლად, ყოველ წუთს თოვლზე წაქცევის და ცხვირ-პირის დამტვრევის რეალური საფრთხე ემუქრებათ. ლოთარი და მარიანა უნგრული ეგზოტიკით ტკბებიან, გადათეთრებულ ბუდაპეშტში ფოტოებს იღებენ და ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ. ასეთი ბედნიერი ლოთარ მათეუსი დიდი ხანია აღარავის უნახავს. როგორც ჩანს, ქერათმიანი სერბი ლამაზმანი, მართლაც, მისი ოცნების ქალია. მისი გულისთვის მათეუსმა ბელგრადის "პარტიზანიც" კი მიატოვა - გუნდი, რომელიც მას ძალიან უყვარდა და რომელთან ერთადაც ჩემპიონთა ლიგაში ფურორის მოხდენაზე ოცნებობდა. სერბებიც დიდ პატივს სცემდნენ თავიანთ გერმანელ თავკაცს, უზრუნველი ცხოვრებისა და მუშაობის ყველა პირობას უქმნიდნენ და დარწმუნებული იყვნენ, მათეუსი კონტრაქტის ამოწურვამდე მათ არავითარ შემთხვევაში არ მიატოვებდა, მაგრამ... უცებ ყველაფერი დამთავრდა. მოულოდნელად მათეუსმა განაცხადა, რომ "პარტიზანის" დატოვებას აპირებს. მთელი ბელგრადი გაოგნებული დარჩა. ვერავის გაეგო, რატომ აიყარა გული მათეუსმა "პარტიზანზე", მაგრამ მალე ყველაფერი ცხადი გახდა. "Cherche la femme! – ეძიე ქალი!" დამნაშავის ძებნის ეს ცნობილი ფორმულა ლოთარის შემთხვევაშიც აქტუალური გამოდგა. სწორედ ქალის გამო გაწყვიტა კონტრაქტი მათეუსმა სერბებთან და უნგრეთს მიაშურა, სადაც მას ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტი შესთავაზეს. მისი მარიანაც ხომ იქ ცხოვრობს და მუშაობს.



*ლოთარ მათეუსი ცხოვრებით ტკბება*

აბა, ბელგრადში რაღა დარჩენია მათეუსს? არ ჯობს, მუდამ მეუღლის გვერდით იყოს?

ბუდაპეშტში ორივე ძალიან ბედნიერია, იმის მიუხედავად, რომ ჯერ წესიერად არც კი მოწყობილან და ნაქირავებ პატარა ბინაში ცხოვრობენ. არც ის უშლით ხელს, რომ ჯერჯერობით ერთმანეთის მშობლიურ ენას ვერ ფლობენ და ურთიერთობისთვის ორივესთვის უცხო ენას - ინგლისურს იყენებენ. როგორც ლოთარი ამბობს, სიყვარულს გრამატიკა არ სჭირდება...

გთავაზობთ მესამედ დაქორწინებული ლოთარ მათეუსის პირველ ინტერვიუს დათოვლილი ბუდაპეშტიდან:

**- ორივენი ყურებამდე შეყვარებული ჩანხართ...**

**ლოთარი:** დიახ, ასეა. მე ვიცი, რომ ეს მარადიული სიყვარულია და მას არასოდეს დავშორდები.

**მარიანა:** ლოთარი ძალიან მოსიყვარულეა. ამას გარდა, ის შესანიშნავი მამა გახლავთ.

**- მარიანა, თქვენი გოგონები, 13 წლის დიანა და 6 წლის ანჯელა, თქვენთან და ლოთართან ერთად ცხოვრობენ 120 კვადრატულ მეტრიან ბინაში. როგორ ეწყობით ერთმანეთს?**

**მარიანა:** შესანიშნავად. ჩემი ვაჟიშვილი, ალექსანდრე, მამამისთან ერთად ცხოვრობს. ბუდაპეშტში დიდ ბინას ვეძებთ. საერთო ბავშვზეც ვფიქრობთ.

**ლოთარი:** (სიცილით) უკვე ვმუშაობთ ამ საკითხზე...

**- რაიმე ტატუს გაკეთებას ხომ არ აპირებთ ახალ სიყვარულთან დაკავშირებით?**

**ლოთარი:** ამაზე უკვე გვქონდა საუბარი. თუ გავიკეთებთ სვირინგს, მხოლოდ ისეთ ადგილას, რომ სხვამ ვერავინ დაინახოს.

**- ბავშვებს რა ენაზე ელაპარაკებით?**

**ლოთარი:** მარიანა მათ სერბიულად ესაუბრება, მე - გერმანულად. საერთოდ, 95 პროცენტი ინგლისურზე მოდის, 5 პროცენტი კი - იტალიურზე. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ სიყვარულს საერთოდ არ სჭირდება რომელიმე ენა და მისი გრამატიკა...

**- თქვენ გაცნობიდან ოთხი თვის შემდეგ იქორწინეთ. რატომ ასე სწრაფად?**

**მარიანა:** როცა 32 წლის ხარ, უკვე გრძნობ, სწორ გადაწყვეტილებას იღებ თუ არა. რატომ უნდა გვეცადა ორი წელი? მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ლოთარი სწორედ ის მამაკაცი იყო, ვინც მე მჭირდებოდა.

**ლოთარი:** ჩვენ საქორწინო კონტრაქტიც კი არ გვაქვს, რადგან ერთმანეთი გვიყვარს და ეს ქორწინება ანგარებაზე არ არის დაფუძნებული. მარიანას არაფერში სჭიდრება ჩემი ფული, მას თავად აქვს საკმაოდ წარმატებული ბიზნესი.

**- ლოთარ, თქვენ უკვე ორჯერ მოასწარით განქორწინება. რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ მარიანასთანაც იგივე არ მოხდება?**

**ლოთარი:** მარიანას მე ისეთი ვუყვარვარ, როგორიც ვარ. ჩემს გარდაქმნას არ ცდილობს. ჩემი ადრინდელი ქალები, ყველანი ლამაზები იყვნენ, მაგრამ მათ მაინც დავშორდი. მარიანა ძალიან ხალისიანია. მთელი დღის განმავლობაში ღიმილი არ სცილდება სახიდან. როცა სილვია შევირთე, ორივენი ძალიან ახალგაზრდები ვიყავით. ლოლიტა ვერასოდეს გრძნობდა თავს კარგად მიუნხენში, მარენ მიულერ-ვოლფარტთან ურთიერთობაში კი მისმა მშობლებმა შემიშალეს ხელი. მათ მიაჩნდათ, რომ მარენი ძალიან ახალგაზრდა იყო ჩემთვის.

**- მარიანა, ლოთარი უცებ შეგიყვარდათ?**

**მარიანა:** ერთმანეთს რომ შევხვდით, არც კი ვიცოდი, ვინ იყო. ოცი წუთი მელაპარაკა და ძლივს დამითანხმა, რომ ტელეფონის ნომერი მიმეცა. როცა გავიგე, ვინც იყო, გავიფიქრე, რომ სანდო პიროვნება არ უნდა ყოფილიყო, მას ხომ არც ისე კარგი იმიჯი ჰქონდა სხვადასხვა ქალებთან ურთიერთობის გამო. აბა, რა უნდა იფიქრო იმ კაცზე, რომელსაც 17 წლის გოგონასთან აქვს ფლირტი?

**ლოთარი:** ფლირტის დროს ყოველთვის რაღაცას ეძებ და ვერ პოულობ. ახლა მე შეყვარებული ვარ და როცა ვინმე მიყვარს, ღალატი გამორიცხულია.

**- დაქორწინება რა ვითარებაში გადაწყვიტეთ?**

**მარიანა:** ყველაფერი საოცრად რომანტიკულად მოხდა: ლოთარმა შემომთავაზა, მანჰეტენის თავზე ვერტმფრენით გადაგვეფრინა. ცაში მან უხმოდ გამომიწოდა პატარა კოლოფი, რომელშიც იდო საქორწინო ბეჭედი და ბარათი, რომელშიც ეწერა: "მე შენ მიყვარხარ. გინდა ვიქორწინოთ?"

**- არც ერთს არ გაქვთ რაიმე სისუსტე?**

**მარიანა:** როგორ არა. ლოთარი საოცრად პედანტია. ცისფერს მუდამ ცისფერზე იცვამს და თეთრს - თეთრზე.

**ლოთარი:** მარიანა კი, ცოტა არ იყოს, მოუწესრიგებელია. მაგრამ ეს არაფერია.

**- ერთმანეთს რა საალერსო სახელებს ეძახით?**

**მარიანა:** მე მას "ჩემს სიყვარულს" ვუწოდებენ და ისიც ასევე მომმართავს.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** "ასოშეიტედ პრესზე" დაყრდნობით, ესპანური "ბარსელონა" მოლაპარაკებებს აწარმოებს ჰოლანდიელ ედგარ დავიდსთან. კატალონიური კლუბი იმედოვნებს, რომ "იუვენტუსის" ნახევარმცველთან კონტრაქტზე იანვრის ბოლომდე მოაწერს ხელს. კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში დავიდსი "ბარსელონაში" იჯარის უფლებით ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, "ჰერტას" ფეხბურთელთა ხელფასი 25 პროცენტით შემცირდება. 25 პროცენტის სანაცვლოდ, ანუ გაწეული ეკონომიის ხარჯზე, "ჰერტას" გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ, გასვლით მატჩებზე საყვარელ გუნდს გაყვნენ. ხელფასის შემცირება ფეხბურთელთა არადამაკმაყოფილებელმა თამაშმა განაპირობა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლიბიის ლიდერის ვაჟს, საადი კადაფის დოპინგის ხმარების გამო სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. საქმე ისაა, რომ გასული წლის ნოემბერში "პერუჯას" თავდამსხმელი აკრძალული პრეპარატის ხმარებაში ამხილეს. სხვათა შორის, ანალოგიური ქმედებისთვის რვათვიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა "ინტერის" თავდამსხმელს მოჰამედ კალონს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სეზონის დასრულების შემდეგ "საუთჰემპტონის" მთავარი მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი დაკავებული თანამდებობიდან გადადგება. კერძოდ, სტრაჩანს კლუბთან კონტრაქტის ვადა წლის ბოლოს ეწურება. გაზეთ The Daily Express-ის ინფორმაციით, მწვრთნელმა "საუთჰემპტონთან" კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ ისურვა. გარდა ამისა, ირკვევა, რომ პირადი პრობლემების გამო სტრაჩანს სურს, ერთი წელი ფეხბურთის გარეშე იცხოვროს. ერთ-ერთ ინფორმაციაზე დაყრდნობით, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლიდსის" ყოფილ მოთამაშეს ბარძაყზე ოპერაცია სჭირდება, მეორე ინფორმაციის თანახმად კი, სტრაჩანს თანამედროვე ფეხბურთის წნეხისგან დასვენება სურს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" წყაროებზე დაყრდნობით, ინგლისური ტაბლოიდი The Sun იტყობინება: კლუბის მეპატრონემ, რომან აბრამოვიჩმა გუნდის მწვრთნელ კლაუდიო რანიერისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ სურს, "ჩელსი" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით გააძლიეროს. მიზანი ერთია - ლონდონურმა კლუბმა კვლავაც შეძლოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

"აბრამოვიჩმა ახალი ფეხბურთელების შესაძენად 110 მილიონი ფუნტი სტერლინგი დახარჯა და ყოველგვარი მომჭირნეობის გარეშე უფრო მეტის დახარჯვას აპირებს", - აცხადებს კლუბის ერთ-ერთი ინფორმატორი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა პოლ გასკოენმა ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბის "ოლდჰემის" მიერ კონტრაქტზე შეთავაზებული წინადადება იუარა, იტყობინება Tribalfootball.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** soccerage-ის ცნობით, "პერუჯამ" "ფიორენტინას" მოთამაშე კრისტიან მანფრედინისთან კონტრაქტი გააფორმა. მანფრედინი "პერუჯაში" ნახევარი წლის განმავლობაში იჯარის უფლებით ითამაშებს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავის შაკილ ო`ნილის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ო`ნილს ორი მატჩის გამოტოვება მაინც მოუწევს. კერძოდ, თანაგუნდელებს ვერ შეეშველება "ატლანტასთან" და "კლივლენდთან". არადა, შაკილის გარეშე "ლეიკერსმა" სამი თამაში უკვე წააგო.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ინგლისის ნაკრების წევრი გრეგ რუზეცკი დოპინგის ხმარებაში ამხილეს. კერძოდ, ჩოგბურთელის ორგანიზმში ნანდროლონის კვალს მიაგნეს. თავად რუზეცკი უარყოფს აკრძალული პრეპარატის გამოყენებას, მაგრამ იმავე დროს დოპინგშემოწმების შედეგებსაც არ უარყოფს. თებერვალში რუზეცკი წარდგება ანტიდოპინგური კომისიის წინაშე, რათა საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** დიდმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა მარტინა ნავრატილოვამ კარიერის დასრულების საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა. პირველად ნავრატილოვამ კარიერის დასრულების შესახებ 1994 წელს განაცხადა. 2000 წელს კორტს დაუბრუნდა იმ მიზნით, რომ მხოლოდ წყვილთა თანრიგში ესასპარეზა. კორტებთან საბოლოოდ გამოთხოვებას კი სეზონის დასრულების შემდეგ აპირებს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ექვსი ათასამდე სპორტსმენი ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას საბერძნეთის მოსაზღვრე ბულგარეთში აპირებს. ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ბულგარეთის ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელი ვასილ ივანოვ-ლუჩანო.

ივანოვ-ლუჩანოს თქმით, მის სამწყსოში წინასაოლიმპიადო სამზადისის მოსურნე 35 ქვეყნის 5920 ამგვარი მოთხოვნაა შესული. შედარებისთვის: ათენის თამაშებზე 200 ქვეყნის 10 ათასი სპორტსმენი იასპარეზებს.

■ ■ ■

**თხილამურები.** სწრაფდაშვებაში მსოფლიო თასის ეტაპისთვის, რომლისთვისაც გუშინ საფრანგეთის შამონს უნდა ემასპინძლა, უამინდობის გამო გადაიდო. გადადებულ ეტაპს კი 16 იანვარს შვეიცარიის კურორტი ვენგენი შეიკედლებს.

კალათბურთი

# "ლეიკერსს" დიაგნოზი დაუსვი...


გარი პეიტონი


კარლ მელოუნი


კობი ბრაიანტი


შაკილ ო`ნილი

სანდრო ნავერიანი

*ისევ "ლეიკერსზე"... რა ვქნა? წარმოიდგინეთ, რომ შოუბიზნესზე უნდა ილაპარაკოთ. ვისზე ილაპარაკებთ - ლუი არმსტრონგზე თუ ლექს-სენზე? ან წარმოიდგინეთ, რომ მწერლებზე საუბარობთ, ფრანც კაფკას "პროცესზე" ისაუბრებთ თუ ჯუმბერ ჯოჯუას "სისხლიან ედელვაისებზე"? არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ მინდა, გამიგოთ, რატომ ვწერ სულ "ლეიკერსზე" და მისთანებზე და არა "მემფის გრიზლისზე" და მისთანებზე.*

21 გამარჯვება და 9 მარცხი - ასეთია ამაყი "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" მონაგარი დღევანდელი დღისთვის და ამ შედეგით ის წყნარი ოკეანის დივიზიონში მეორე ადგილს იკავებს "საკრამენტო ქინგზის" შემდეგ. და მაინც, რაშია პრობლემა? არც არაფერში. "ლეიკერსი" მაინც გამოიყენებს საკუთარი მოედანზე თამაშის ფაქტორს და პლეი ოფის პირველ რაუნდს ადვილად დაძლევს, შემდეგ კი ჩვეულ ფორმას აღიდგენს და უკანასკნელი ხუთი სეზონის განმავლობაში მეოთხე ტიტულს მოიპოვებს. ასე რომ, სანერვიულო არაფერია.

მაგრამ რაც ახლა ხდება, ეს არ ჰგავს იმას, რასაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გულშემატკივრები სეზონის დასაწყისში ამბობდნენ. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დიდების დარბაზის ოთხი შესანიშნავი წევრი - შაკილ ო`ნილი, კობი ბრაიანტი, გერი პეიტონი და კარლ მელოუნი - ამას დამატებული ახალგაზრდა, პერსპექტიული დივეინ ჯორჯი - ეს ხუთი კალათბურთელი ძალიან ძლიერი სასტარტო ხუთეულია, რომელსაც "ჩიკაგო ბულზის" რეკორდის მოხსნას თუ არა, გამეორებას მაინც უწინასწარმეტყველებდნენ. კალიფორნიელებმა სეზონი ისე დაიწყეს, რომ მათზე გაცემულ ავანსს ამართლებდნენ. პირველ მატჩში მათ დაამარცხეს "დალას მავერიქსი", რომელიც "ლეიკერსის" შემდეგ ყველაზე ძლიერი გუნდია, თუ, რა თქმა უნდა, შემადგენლობით ვიმსჯელებთ. ამ გამარჯვების შემდეგ მათ კიდევ 17 გამარჯვება მოიპოვეს და მხოლოდ 3 დათმეს.

ამ დროისთვის "ლოს-ანჯელეს ლეიკერსს" ზედიზედ 4 წაგებული მატჩი აქვს აქტივში და ოთხივე ახალ, 2004 წელს. უკანასკნელი მატჩი მათ "დენვერ ნაგეთსთან" დათმეს. გაურკვეველი დროით გამოეთიშნენ კალათბურთს და "ლეიკერსს" შაკილ ო`ნილი და კარლ მელოუნი. ამ უკანასკნელის დაბრუნებას უფრო მალე ვარაუდობენ, ვიდრე შაკისა.

კალიფორნიელებს, ტრავმების გარდა, ისედაც საკმაოდ ბევრი პრობლემა აქვთ. მაშინაც კი, როდესაც შემადგენლობა ოპტიმალური იყო, მათი გამარჯვებები ულიმღამოდ ჩანდა, მაგრამ გუნდი იგებდა და ამიტომაც არავინ ცდილობდა, ის ნაკლოვანებები შეევსო, რომელიც გუნდს ჰქონდა. "ლეიკერსი" სისტემატურად აგებს ისეთ გუნდებთან, რომლებიც მათზე სწრაფ კალათბურთს თამაშობენ. ასეთები კი დასავლეთ კონფერენციაში საკმაოდ არიან ("დენვერ ნაგეთსი", "საკრამენტო ქინგზი", "მემფის გრიზლის", "ლოს-ანჯელეს კლიპერსი", "გოლდენ სთეით უორიორზი" და "სიეტლ სუპერ სონიქსი"). პოზიციური დაცვაც მოიკოჭლებს, რაც შაკილის ბრალია. მელოუნი და პეიტონიც ვერ გამოიყურებიან ისე, როგორც მათგან ელიან - ისინი ხომ სწორედ დაცვის ხაზის გასაძლიერებლად მიიყვანეს კალიფორნიულ კლუბში, ხოლო დაზღვევა საერთოდ ამოვარდნილია თამაშის სქემიდან.

"ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" სათადარიგოთა სკამი (ჰორეს გრანტი, სლავა მედვედენკო, ბრაიონ რასელი, დერეკ ფიშერი, კარიმ რაში და ლიუკ უოლტონი) კიდევ ერთი სუსტი წერტილია კალიფორნიული კლუბისა, თუმცა, ფილ ჯექსონი სულ ცდილობს, სათადარიგო მოთამაშეები ერთად და დიდი ხნით გაიყვანოს მოედანზე, რასაც ხშირად "მშრალად" ჩატარებული წუთები მოყვება და მეტოქე გუნდი "ლეიკერსის" სასტარტო ხუთეულის მიერ მოპოვებულ უპირატესობას აბათილებს და კალიფორნიულ შესანიშნავ ხუთეულს თავიდან უწევს თამაშის დაწყება.

"ლეიკერსი" საკმაოდ ბევრ ქულას აკეთებს იმისთვის, რომ ნებისმიერი მატჩი მოიგოს. დღეს შაკილ ო`ნილი სამწამიანი ზონის საუკეთესო კალათბურთელია და ხშირად მისი შეჩერება, უბრალოდ, შეუძლებელია. შაკს კიდევ ერთი კარგი თვისება აღმოაჩნდა - მან ისწავლა გადაცემების გაკეთება და ხშირად ელოდება თავის პარტნიორს, რათა ის გათავისუფლდეს მეტოქისგან, რომ ბურთი გადასცეს. კობი ბრაიანტი მშვენივრად ისვრის როგორც ფარქვეშ, ისე დისტანციიდანაც. ამასთან, მას იმპროვიზაციის არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს და რომელსაც თითქმის ასი პროცენტით იყენებს და მეტოქე გუნდის დაცვას თავგზას უბნევს. რაც მთავარია, გადამწყვეტ მომენტებში ის საოცრად აქტიურია. გერი პეიტონს ვერავინ ასწავლის, თუ როგორ უნდა შეუტიოს მეტოქის ფარს. მას შეტევის მთლიანი არსენალი აქვს. კარლ მელოუნი სამწამიან ზონაში არანაკლებ საშიშია შაკზე. დივეინ ჯორჯს კი ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალპროცენტიანი ტყორცნა აქვს.

ფილ ჯექსონი პეიტონ-მელოუნის ტანდემს უფრო შემტევ კალათბურთს ათამაშებს, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო - დაცვიდან შეტევაში გადასული "ლეიკერსი", როგორც არასდროს, იმდენ ქულას აკეთებს. როგორც ჩანს, ფილ ჯექსონი დაცვის ხაზის გაძლიერებას მაინც შაკილ ო`ნილის გააქტიურებით აპირებს. ამას ფილ ჯექსონის სიტყვებიც ადასტურებს: "თუ ბიჭებს მართლა მიზნად აქვთ დასახული ჩემპიონობა, მაშინ უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ შაკი დაცვაში ისე ვერ თამაშობს, როგორც საჭიროა", - განაცხადა ფილ ჯექსონმა და ისიც აღნიშნა, რომ შაკთან აუცილებლად ჩაატარებს სპეციალურ ვარჯიშებს.

კიდევ ერთი უდიდესი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა შაკილ ო`ნილისა და კობი ბრაიანტის უთანხმოებაა. ორივეს სურს, რომ გუნდის აშკარა ლიდერად აღიარონ. ერთი ამბობს, რომ ლოს-ანჯელესი მისი ქალაქია, ხოლო მეორე ამტკიცებს, რომ "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" მას ძეგლს დაუდგამს იმ ამაგისთვის, რომელიც მან კალფორნიულ გუნდს გაუწია. ეს სიტყვები ციტირებული არ გახლავთ, მაგრამ კობი ბრაიანტმა სწორედ ეს თქვა, როდესაც შაკილი თავისას გაიძახოდა. გულშემატკივრებს არ აინტერესებთ, ვინ რას წარმოადგენს და ვისი რა არის. მათთვის მთავარი "ლეიკერსის" წარმატებაა, მაგრამ წარმატების მიღწევა ნამდვილად ოცნებად დარჩებათ, თუ შაკმა და კობიმ ასე გააგრძელეს. ხშირად ისინი ერთმანეთს ბურთს არ გადასცემენ. ეს ისეთი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტასაც ფილ ჯექსონი ვერ ახერხებს. თუ ჯექსონი რომელიმეს გუნდიდან გაგდებით დაემუქრება, მაშინ ყველაფერი პირიქით მოხდება და გუნდიდან თავად ჯექსონი წავა, ხოლო ბრაიანტ-ო`ნილის უთანხმოება სხვა მწვრთნელის ხელში გაგრძელდება. ამიტომ ჯექსონი ჭკვიანურად იქცევა, რომ ამის შესახებ არაფერს ამბობს და აცხადებს: "მთავარია, მათ ქულები მოქვთ გუნდისთვის და სხვისთვის რა მნიშვნელობა აქვს, როგორი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან".

კიდევ არის ბევრი პრობლემა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანზე უკვე გიამბეთ. ამ ყველაფერს დაუმატეთ ტრავმები, რაც ნამდვილად გულზე არ ეხატება "ლეიკერსის" ხელმძღვანელობას.

როგორ შეიძლება, რომ "ლეიკერსმა" ეს პრობლემები მოაგვაროს? ძალიან ადვილად? არა! იოლად? არა! აბა, თავისით მოგვარდება? არა და არა! პირველ რიგში მოედანზე უნდა დაბრუნდნენ შაკი და მელოუნი. "ფოსტალიონი" (კარლ მელოუნი) და გერიპი (გერი პეიტონი) ხომ სწორედ ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად მივიდნენ კალიფორნიულ კლუბში. სწორედ ისინი არიან ყველაზე მონდომებულები. ისინი ხომ კალათბურთის სამყაროში მოწინავე რიგებში არიან და არასოდეს არა აქვთ ჩემპიონის ბეჭედი თითზე მორგებული. მოკლედ, ფილ ჯექსონმა სწორედ ამ ორ კალათბურთელზე უნდა ააწყოს თამაში, ხოლო ბრაიანტი და ო`ნილი იქამდე არ უნდა გამოიყვანოს მოედნიდან, სანამ მატჩის ბედს საბოლოოდ გადაწყვეტილად არ ჩათვლის. მეორე: შაკილ ო`ნილმა ცოტათი უკეთ უნდა გაანძრიოს უკანალი და დაცვაში დროზე ჩავიდეს ხოლმე. დაცვიდან შეტევაშიც იგივე ტემპში უნდა გადავიდეს. მოკლედ, შაკილ ო`ნილმა მთელი მატჩის განმავლობაში შეუჩერებლად უნდა ირბინოს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ შაკმა და კობიმ საერთო ენა უნდა გამონახონ, რათა გულშემატკივრებმა მათი ბუტიაობის გამო თავდახრილებმა არ დატოვონ ტრიბუნები.

"ლეიკერსის" ფანებო! მართალი თუ გინდათ, საგანგაშო არაფერია. უბრალოდ, ჯერჯერობით არ გვყავთ ისეთი გუნდი, რომელსაც ადვილად შეეძლება ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

ფორმულა 1

# უკონკურენტო FW 26

პაატა თოთაძე


"უილიამსის" ახალი ბოლიდი საუკეთესოა

კვირის დასაწყისიდან Williams-BMW აგრძელებს გულშემატკივართა გაოგნებას და კონკურენტთა შეშინებას. ზედიზედ მესამე დღეა, ახალი ბოლიდი FW26 ხერესში გამართულ ტესტებზე საუკეთესო შედეგს აჩვენებს. საგულისხმოა ისიც, რომ კონკურენტები საგრძნობლად უარეს დროს აჩვენებენ.

მოვლენების ამგვარი განვითარების მიუხედავად, ექსპერტი ჰანს-იოახიმ შტუკი აცხადებს, რომ კონკურენტებს უთუოდ ექნებათ რაიმე დაფარული, რომელსაც უშუალოდ მსოფლიო ჩემპიონატზე ახდიან ფარდას: "საუბარი Williams-BMW-ს ახალი ბოლიდის უპირატესობაზე ჯერ ნაადრევია. დარწმუნებული ვარ, კონკურენტებმა მშვიდად მიიღეს ეს ინოვაცია და მოფიქრებულიც ექნებათ, რა დაუპირისპირონ მას".

რა მოხდება, თუ FW26 მაინც უფრო სწრაფი იქნა, ვიდრე კონკურენტები? "გასულ წლებში "ფერარი" იყო ყველაზე სწრაფი მანქანა, მაგრამ ამა თუ იმ გრან-პრიზე სხვებიც ხომ ახერხებდნენ გამარჯვებას? ასევე იქნება ახლაც, შესაძლოა, FW26, მართლაც, ყველაზე სწრაფი აღმოჩნდეს, მაგრამ კონკურენტები ამას როგორლაც დააბალანსებენ", - ესეც შტუკის ნააზრევია.

სავარაუდოდ, ახალი FW26, მართლაც, უსწრაფესი იქნება. ისეთი რევოლუციური ცხვირი, როგორიც მას აქვს, უაღრესად მნიშვნელოვანია. სწორედ ამგვარი წვრილმანები იძლევიან უპირატესობას. უცნაურია მანქანის ძირის კონსტრუქციაც. ცხვირის და ძირის ახალი კონსტრუქციის წყალობით ჰაერი ახალ ბოლიდში სხვაგვარად ცირკულირდება, რაც ზრდის მანქანის მიწასთან მოდებას. ეს კი პირდაპირპროპორციულად აისახება სისწრაფეზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხმამაღალმა რეზონანსმა და ახალი ბოლიდის შესანიშნავმა შედეგებმა რალფ შუმახერი ჩინებულ გუნებაზე დააყენა. პილოტი დარწმუნებულია, რომ მომავალი სეზონი მის გუნდს აუცილებლად მოუტანს ესოდენ ნანატრ ჩემპიონის ტიტულს. "ახალი ბოლიდისგან მიღებული პირველი შთაბეჭდილებები მხოლოდ პოზიტიურია. მე ადრეც ვცდიდი ახალ კომპონენტებს ამ ბოლიდისთვის და მაშინვე ვხვდებოდი, რომ ეს დიდი პროგრესი იყო. ჩვენ უკეთეს პოზიციაში ვართ, ვიდრე "მაკლარენი" ან "ფერარი". ჩვენ ბევრი ვისწავლეთ გასული სეზონის შეცდომებზე, ამიტომაც მოუთმენლად ველი ახალი სეზონის დაწყებას – დარწმუნებული ვარ, პირველივე რბოლას მოვიგებთ", - ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა უმცროსმა შუმახერმა.

ქომაგის ტრიბუნა



მამუკა ლოსაბერიძე

## ქართული ფეხბურთის დღევანდელობა

ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტ ქომაგებს არ დაგვიკარგავს უკეთესი მომავლის იმედი და თუ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობას არ ვფიქრობთ, იმის რწმენა გვაქვს, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები მეტოქეთათვის ანგარიშგასაწევი ძალა მაინც იქნება. ეს კი, ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენი ღრმა რწმენით, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლა, ერთი მხრივ, ძველი წყენებისთვის ანგარიშსწორებისა და, მეორე მხრივ, ურთიერთდაპირისპირებისა და წესების გარეშე ბრძოლის არეალად რომ არ ქცეულიყო, ჩვენ ამ მდგომარეობამდე არ მივიდოდით.

მხოლოდ ქართველ ფეხბურთელთა ნიჭიერებასა და მათ ბუნებრივ მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობდნენ ჩვენი ფეხბურთის მესვეურნი ფონს გასვლას და ყველაფერ ამას რომ კარგი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ესაჭიროებოდა, ეს თითქოს ყველას ავიწყდებოდა. ბევრმა არაკეთილსინდისიერმა ადამიანმა, რომლებიც მრავლად იყვნენ და ახლაც არიან ფეხბურთის მესვეურთა შორის, ისარგებლეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით და პირდაპირ მონათა ბაზარი გააჩაღეს, რითაც ხელს ითბობდნენ ჩვენი უნიჭიერესი ფეხბურთელების ძირითადად დაბალი რანგის უცხოურ კლუბებში გაყიდვით. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ ცალკეულ პიროვნებებს დიდი ფული ეშოვათ.

პირდაპირ შეიძლება ითქვას: დღეს თუ გიორგი ქინქლაძე უგუნდოდაა და ამ განსაკუთრებული მონაცემების ფეხბურთელმა ვერ შეძლო თავისი პოტენციალის ბოლომდე გახსნა, ამაში, მასთან ერთად, დიდი ბრალი მიუძღვის თბილისის "დინამოს" მაშინდელ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელ პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიას. სწორედ მისი დიდი მცდელობით გაიყიდა ეს ფეხბურთელი "მანჩესტერ სიტიში" საკმაოდ სოლიდურ თანხად (3 200 000 აშშ დოლარად), რაც მაშინდელმა მასმედიამ ლამის საუკუნის გარიგებად მონათლა. ეს ნაბიჯი იმით გაამართლეს, რომ ინგლისის პრემიერლიგაში ის დახვეწდა თავის ოსტატობას და ეროვნულ ნაკრებს დიდად წაადგებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ჩვენ, ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტ ქომაგებს, ისღა დაგვრჩენოდა, გვეფიქრა, იქნებ ნაკრებში თამაშით მაინც გაგვახაროსო, მაგრამ, თუ ცალკეულ მატჩებს არ მივიღებთ მხედველობაში, დიდად არც იქ გამოუჩენია თავი.

ასევე დიდი ხმაური მოჰყვა იმ ფაქტს, რომ შოთა არველაძე, დისციპლინის დარღვევის გამო, ივო შუშაკმა მატჩის განაცხადში არ შეიყვანა. რა თქმა უნდა, ისინი ამას ვერ გაბედავდნენ, რომ არ ჰქონოდათ ასევე "კარენოი" თბილისელის, მერაბ ჟორდანიას ყველანაირი მხარდაჭერა და თანადგომა. ცალსახაა, რომ ეს ფეხბურთელები ეროვნული ნაკრებისთვის არასაკმარისად დაიხარჯნენ, რასაც ვერ ვიტყვით თემურ ქეცბაიაზე, რომელმაც ქართველ ფეხბურთელთაგან ყველაზე ნორმალური კარიერა შეიქმნა. იგი პირდაპირ არ შესჭიდებია საფეხბურთო გრანდებს და თავისი მოღვაწეობა მოკრძალებული კვიპროსის კლუბში დაიწყო, შემდეგ საბერძნეთში გააგრძელა. მერე აღმოჩნდა პრემიერლიგის ერთობ ავტორიტეტულ კლუბ "ნიუკასლში", შემდეგ ინგლისის პირველი ლიგის გუნდში "ვულვერჰემპტონში" გააგრძელა თამაში, ბოლოს კი ისევ კვიპროსში დაბრუნდა. ზემოთ ჩამოთვლილ მის კოლეგებსაც ნაკრებში თავისი უშუალო მოვალეობების შესრულებისთვის რომ მოეცალათ, ვფიქრობ, გუნდი გაცილებით უკეთეს შედეგებს აჩვენებდა.

სწორედ ეს გახლდათ ტირანაში მომხდარი ინციდენტის მთავარი მიზეზი, როდესაც გახოკიძემ გააპროტესტა ქინქლაძის მოედანზე გასვლა და სათადარიგოთა სკამზე თავისი დარჩენა. "ბოროტი ენები" იმასაც ამბობენ, ზაზა ჯანაშიას ნაკრებში ჩამოუსველელობის მიზეზი გარკვეულწილად იქ არსებული განუკითხაობის ბრალი იყოო. ჩვენ კი, ყოველი ახალი შესარჩევი ციკლისა თუ ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნის შემდგომ, მკერდში მჯიღის ცემით გვიმტკიცებდნენ, გუნდში არსებული ყველა უთანხმოება დაძლეულია და ნაკრები, როგორც არასოდეს, ისეა მომზადებულიო.

სწორედ ამ ფეხბურთელთა უცხოურ კლუბებში წასვლით საგრძნობლად დასუსტდა თბილისის "დინამო" და თუ ქართველი გულშემატკივარი მისი თამაშით მაინც იღებდა გარკვეულ სიამოვნებას, ეს ერთი ბეწო სიამოვნებაც მოაკლდა მაშინ, როდესაც გუნდი საშუალო ევროპულზე დაბალი დონის გუნდების დამარცხებას მაინც ახერხებდა, ახლა კი ესეც აღარ შეგვიძლია. იმის მაგივრად, სხვა გუნდები ასულიყვნენ "დინამოს" დონეზე, მოხდა პირიქით, ის დავიდა სხვების დონეზე.

ჩემი აზრით, ყოვლად გაუმართლებელია ეროვნული ჩემპიონატის ამჟამინდელი ფორმულა. იგი არათუ ხელს არ უწყობს მასში მონაწილე გუნდების დონის ამაღლებას, არამედ ძალიან გვაგონებს საბჭოთა "ურავნილოვკის" პრინციპს: თუ მაინცდამაინც რიგი გუნდებისა არ შეესაბამებიან უმაღლესი ლიგის დონეს, მაშინ არსებობდეს რაღაც, ყველასთვის მისაღები კრიტერიუმი, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გუნდებს არ ექნებათ იქ მონაწილეობის უფლება. შეირჩეს დაახლოებით 8-10 გუნდი და მათ შორის ოთხ წრედ გაიმართოს ეროვნული ჩემპიონატი და ბოლო ორ ადგილზე გასულმა გუნდებმა დატოვონ უმაღლესი ლიგა და თავიანთი ადგილები დაუთმონ ქვედა ლიგაში წარმატებით მოასპარეზე გუნდებს. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით მდიდარი გამოცდილება არსებობს მსოფლიო ფეხბურთში.

ქართულ ფეხბურთს არავითარი მომავალი არ ექნება, თუ მისმა ამჟამინდელმა მესვეურებმა დიამეტრულად არ შეცვალეს მუშაობის სტილი და მეთოდები. უნდა განხორციელდეს მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლი და ამ საქმეში გადამწყვეტი როლი მასმედიამ უნდა იტვირთოს. როგორც იტყვიან, გაჟეჟილს გატეხილი სჯობსო, და გულწრფელად ვაღიაროთ: იგი ყოველთვის ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე და მთელ რიგ გადამწყვეტ მომენტებში კონიუნქტურის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ამასთან, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს თავისი ერთ-ერთი ძირითადი, მაკონტროლებელი ფუნქცია. მოკლედ, ვიდრე ფეხბურთი არ გახდება საყოველთაო სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი, ძნელია რაიმე წარმატებაზე ფიქრი. ამის ნათელი მაგალითი ლატვიამ გვიჩვენა. თუ უცხოეთის მაგალითებს არ მიიღებენ მხედველობაში, მაშინ ქართველ "ბორჯღალოსანთა" მაგალითი მაინც გაითვალისწინონ ჩვენი ფეხბურთის მესვეურებმა. მათ ხომ ამისთვის შორს წასვლა არ დასჭირდებათ. სულაც არ მინდა, რომ ჩემი წერილი საზოგადოებამ აღიქვას დაცემულის ჩაწიხლვის მცდელობად, ან იმად, რომ ქართული ფეხბურთის დღევანდელ სავალალო მდგომარეობაზე მხოლოდ მერაბ ჟორდანიას ვაკისრებთ მთელ პასუხისმგებლობას. უბრალოდ, მისი დაკავება და ეს წერილი ერთმანეთს დროში დაემთხვა. არც იმის ილუზიით ვარ შეპყრობილი, რომ საქმეს მისი დაპატიმრებით ეშველება, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ ხომ უნდა აგოს რაიმეზე პასუხი.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

## გულახდილად





# მხოლოდ მას...















ჩემს თაობაში, წრეში ძალიან ბევრი ნიჭიერი იყო. ზოგიერთი კარგად ხატავდა, ზოგიერთი უკრავდა, ზოგიერთიც მღეროდა ან წერდა მუსიკას, მაგრამ ცოტა მათგანი გამოვიდა მხატვარი თუ მუსიკოსი. ნიჭი ნიჭად შეიძლება, დარჩა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში მოხდა მისი პროფესიული რეალიზაცია.

ერთ-ერთი, ვინც ჩვენს თაობაში ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი არაორდინალურობით, დათო გომართელი იყო. დათო ბავშვობაშიც მღეროდა და დღესაც მღერის, მთელი ბავშვობა დაუვიწყარ კონცერტებს გვიწყობდა და დროს გვატარებინებდა და დღესაც გვატარებინებს, ოღონდ უკვე არა მარტო თავის მეგობრებს, არამედ ბევრად ფართო საზოგადოებას. იქ, სადაც გომართელია (ოღონდ, აუცილებლად კარგ ხასიათზე უნდა იყოს), ცუდ გუნებაზე ვერ დარჩები, საღამო ისე არ დამთავრდება, რომ არ იცეკვო, იცინო და არ მიიღო დადებითი იმპულსი.

ამ კვირას კლუბ "ტიფლისში" (ლამაზად, კარგად გაკეთებული, გემოვნებიანი) მოწყობილ ახალი კლიპის პრეზენტაციაზე, დათო, ნერვიულობის მიუხედავად, ცდილობდა, ყველასთვის სასიამოვნო, ხალისიანი აურა შეექმნა. სწორედ ამ პრეზენტაციის მაგალითზე მინდა, დათო გომართები დაგიხასიათოთ, ვინაიდან ძალიან კარგად ვიცნობ თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება, და მისი ხასიათის თვისებების აღწერა ასე დავიწყო:

მხოლოდ დათოს შეეძლო ასეთი ჭრელი, მრავალფეროვანი საზოგადოების შეკრება. ყველაზე მდიდრიდან, ყველაზე ექსტრავაგანტულამდე; ყველაზე უნიჭოდან, ყველაზე ნიჭიერამდე; უშნოდან - ლამაზამდე; დაცვიანებიდან - დაუცველებამდე; გასათხოვრებიდან - 10-10-ჯერ გათხოვილებამდე. აქ იყვნენ ბურჟუაზია, ბიუროკრატია, ბოჰემა, ავანგარდი, ანდერგრაუნდი, პრესა, ესტრადის მბჟუტავი თუ მოკაშკაშე ვარსკვლავები, 60-70 წელს გადაცილებულები და ბავშვები, ლამაზად და უშნოდ, სადად და გიჟივით ჩაცმულები, პრეტენზიულები და თავმდაბლები. მოკლედ, ყველა - წარსულები, აწმყო და მომავლები.

მხოლოდ დათოს შეეძლო შეეთავაზებინა მაყურებლისთვის, სრულიად საქართველოსთვის ატიპური, ყოველგვარი ღრმა, დრამატული, სერიალების შესაბამისი შინაარსის გარეშე, ამერიკანიზებული, ჭრელი, მხიარული, გაუგებარი სახალისო სიმღერა "მამა აფრიკაზე" გადაღებული კლიპი.

მხოლოდ დათოს შეეძლო ამ კლიპის გადაღება მიენდო ახალგაზრდა, ნიჭიერ, დარწმუნებული ვარ, მომავლიან რეჟისორ რეზიკო გიგინეიშვილისთვის და რუსული ძალებით დაკომპლექტებული გადამღები ჯგუფისთვის, რომლებმაც დინამიკური, კარგად დამონტაჟებული, პროფესიულად გადაღებული, სანახაობრივი კლიპი შექმნეს. კლიპის ერთადერთი პრეტენზიაა, კარგ გუნებაზე დააყენოს, გაცეკვოს და გამხიარულოს.

მხოლოდ დათოს შეეძლო, არ ეღალატა თავისი ცხოვრების კრედოსთვის და ამდენი ლამაზი, მრავალფეროვანი ქალებით გარშემოერტყა თავი, თუნდაც კლიპში. რაც უყვარს, უყვარს!

მხოლოდ დათოს შეეძლო მოეფიქრა და გურამ შარაძის საძულველი დროშის გამოსახულებიანი მინანქრის სამაჯური ასე ოპერატიულად შეეძინა ან შეეკვეთა, რომელიც მის, საკმაოდ კონსერვატულ, შავ კოსტიუმსა და თეთრ პერანგს რევოლუციურობას შემატებდა.

მხოლოდ დათოს შეეძლო ამდენი გულწრფელი მადლობა გადაეხადა "არტ იმედისთვის", რომლის მადლიერი არცთუ ისე ბევრი მომღერალია.

მხოლოდ დათოს შეეძლო გომართელისეული იუმორი ჩაექსოვა თანამედროვე ქართული ესტრადის სრულიად არასასაცილო მდგომარეობაში.

დაბოლოს, მხოლოდ დათოს შეეძლო ჩემთვის ასეთი წერილის დაწერის სურვილი გაეჩინა, თავისი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისების ხარჯზე.













# ანიმაციური სიახლე ტელეეკრანზე

21-ე საუკუნის ტექნიკურმა შესაძლებლობებმა მართლაც ძალიან მაღალ დონეს მიაღწიეს და ანიმაციური პერსონაჟის გამოჩენა ჩვეულებრივ კინოში ან ტელევიზიაში, დიდი ხანია, აღარავითარ სასწაულს აღარ წარმოადგენს. ეტყობა, ტელეარხმა "მზემ", როგორც ერთ-ერთმა ყველაზე პროგრესულმა და ფინანსურად შეძლებულმა (მდიდარი მეპატრონის ხარჯზე), სწორედ ასეთ ტექნიკურ ტრიუკს მიმართა და საინფორმაციო გადაცემა "მზერაში" ვინმე სოფიკო ნიკოლაიშვილის სახით, სწორედ ასეთი ანიმაციური პერსონაჟი შემოგვთავაზა, რომელიც, ცოტა არ იყოს, "ტომი და ჯერიდან" გადმომხტარ, ოღონდ ნაკლებად სიმპათიურ და, რა მთავარია, ნაკლებად მოსაზრებულ თაგვს წააგავს.

თუმცა, არ ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ არხის მფლობელი მართლაც ძალიან შეძლებულია, სწორედ მდიდრებს არ უყვართ ფულის უაზრო ხარჯვა, ანიმაცია კი საკმაოდ ძვირი ჯდება. ეგება, სოფიკო ნიკოლაიშვილი, უბრალოდ, მოზარდ მაყურებლის თეატრის ერთ-ერთი მსახიობი იყო, რომელიც პატარა ბიჭების როლებს ასრულებდა. ასეთი მსახიობის ტელეეკრანზე გადმობირება კი ნამდვილად იაფი დაჯდებოდა.

ასეა თუ ისე, სოფიკოს, მულტპერსონაჟს, თუ პატარა ხულიგან ბიჭს, დღეს მიჰყავს ბლიცინტერვიუ, რომელიც ჩემში სრულიად ცალსახა აზრს იწვევს. მსგავსი არაფერი არც მინახავს და არც მომისმენია. მე ის კი არ მაღშფოთებს, რომ რესპოდენტებმა არ იციან, რამდენია 6X7, რა ჰქვია მტრედის ან სპილოს შვილს და "დათა თუთაშხიას" მეტი არაფერი წაუკითხავთ (ეს ცალკე წერილის თემაა), არამედ ის, რომ წამყვანის ინტელექტუალური შესაძლებლობები კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია, ვიდრე თვით რესპოდენტების.

მაინტერესებს, რა იცის თვით სოფიკომ - გამრავლების ტაბულა, პროზა, პოეზია, ცხოველთა სამყარო, თეატრი, ფლირტი, ხელოვნება თუ სექსი, რომელიც მას, ასე ნოვატორულად, გადაცემის ერთ-ერთ წამყვან თემად აქვს შერჩეული.

ერთი ვიცი დაზუსტებით, რომ კარგი მანერების კი არაფერი გაეგება. ამგვარი ჟესტიკულაცია, ინტონაცია, ემანსიპაცია არაფერია, გარდა ელემანტარული უზრდელობისა.

ეგება, დროზე მიხედონ ქართულ თეატრებს და მოზარდ მაყურებელმა აღადგინოს აქტიური მუშაობის პროცესი. მაშინ სოფიკო ნიკოლაიშვილი შეუდგებოდა თავისთვის უფრო შესაფერის საქმეს და სცენაზე სკოლის ძველ ბიჭს ან მაწანწალას განასახიერებდა. უფლისწულის როლზე მაინც სხვა ვინმე ეყოლებოდათ მოსაძებნი. ასეთი მანერებით, ლექსიკით და ხმის ამგვარი ტემბრით, უფლისწულის როლი მისთვის მიუწვდომელია.

მაგრამ, სანამ ეს ყველაფერი მოხდება და სოფიკო ახალ ამპლუას მოძებნის, ამ ბლიცინტერვიუს უნდა ვუყუროთ?

გასაგებია, რომ წამყვანი ამით ელემენტარულ ცოდნას მაინც ღებულობს. მაგრამ რამდენად სწორია, რომ მისი განათლების პროცესი ტელეეკრანზე უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი და პოლიტიკოსების ხარჯზე. სანამ სოფიკო გაიზრდება, ჩამოყალიბდება და დაიხვეწება, ჩვენ დავბერდებით და პოლიტიკოსები კი ნამდვილად შეიცვლებიან. თუმცა, მაინც ეჭვი მეპარება, რომ ასი წლის შემდეგაც რამე ეშველოს თვითონ სოფიკოს. აი, ბლიცინტერვიუს კი, შეიძლება, ეშველოს, თუ, რა თქმა უნდა, "მზის" მდიდარი მეპატრონე ცოტა მეტ ფულს დახარჯავს და ოდნავ მაღალ ინტელექტს მოიწვევს "ბლიცის" წასაყვანად.

რამდენიმე შეკითხვა სოფიკო ნიკოლაიშვილის ბლიცინტერვიუდან, რომლებიც შეგიძლიათ უპასუხოდ დატოვოთ, კომენტარი კი გაუკეთოთ:

1. პირველად როდის იყავით ქალთან?
2. რა ჰქვია ყვავის შვილს?
3. რამდენი ქალი გყოლიათ ლოგინში?
4. როცა წვიმს, რომელი სახლი სველდება პირველი?
5. მექალთანე ხართ?
6. რამდენია 7-ჯერ 8?
7. ღალატობთ თუ არა ცოლს?
8. საყვარელი გმირი?
9. რას ეტყვით ღმერთს შეხვედრისას?

## სახლი









ყოფილი ბარნოვის, ამჟამინდელი ირაკლი აბაშიძის ქუჩა, 50-60 წლების სახლი, მემორიალური დაფები სახლის ფასადზე.

ნინა რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის დიდი, მაგრამ, მაინც სამოთახიანი ბინა პირველ სართულზე, სადაც დღეს ნინო სუხიშვილი ცხოვრობს და ცდილობს, არაფერი შეცვალოს, ვინაიდან მისთვის ყველაზე ძვირფასი ის გარემო, მოგონება და ტრადიციაა, რომელიც ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ბინაში სუფევს.

ბევრი ფოტო კედლებზე, სოლიკო ვირსალაძის სამუშაო ესკიზები სუხიშვილების ანსამბლის სხვადასხვა საცეკვაო კოსტიუმებისთვის, მინიმალური ავეჯი, ერთი, ყველაზე ძვირფასი, წითელი ხის კუთხის კარადა, არავითარი ფუფუნება და იმ ხალხის აურა, ვინც თავისი ნიჭითა და შრომით ქართული ცეკვა მაღალი ხელოვნების რანგში აიყვანა.

ქალბატონ ნინას, დადუს - როგორც მას ოჯახის წევრები და ახლობლები ეძახდნენ, ორი საყვარელი ადგილი ჰქონდა სახლში. ერთი - ბუხართან, სადაც ხშირად ღებულობდა სტუმრებს და სამზარეულოს დიდ, მრგვალ მაგიდასთან, ტელევიზორით კუთხეში და ნაცრისფერი პუდელით მუხლებთან. მეც არაერთხელ მქონია ბედნიერება, მეურთიერთა უმშვენიერეს, მუდამ ახალგაზრდა ქალბატონ ნინასთან, რაც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას მოგონებად რჩება და ამ სახლსაც განსაკუთრებული სითბო, სიმყუდროვე და მნიშვნელობა აქვს ჩემთვის.







# მოდელი მილიონებისთვის

ბარბარა ბეკერი

ის თავდაჯერებულ ქალადაა ცნობილი და ცნობილი ქმრის ყოფილ ცოლად მას აღარავინ აღიქვამს. ბორის ბეკერის ყოფილ მეუღლეს, ბარბარას, ჟურნალისტები "სტილის კერპად" რაცხავენ, რაზედაც მას მხოლოდ ეცინება. ბარბარა სამკაულებს ქმნის, თან დიდი წარმატებით: წელს ბარბარა ბეკერმა პირველ კოლექციასთან დაკავშირებით კონტრაქტი დადო.

ბარბარა ბეკერი ოთხი დღის განმავლობაში ნიუ იორკში დარბოდა, ბაზრობებსა და ბუტიკებში ყველაფერს ქექავდა. ის ყიდულობდა ლარნაკებს, მაისურებს, ძველ მძივებს, შემდეგ "ნადავლს" სასტუმროში ტოვებდა და კვლავ ლარნაკებს, მაისურებს და მძივებს ყიდულობდა. მას თხელი პალტო ეცვა, ცივი ზამთრისთვის სრულიად მიუღებელი. მას განუწყვეტლივ ურეკავდა ორი ვაჟი, ნოა და ელია, რომლებიც მაიამიში დედას ელოდნენ.

ბარბარას ირგვლივ გადამღები ჯგუფი ტრიალებდა – ისინი ვარსკვლავს გერმანული ტელევიზიისთვის იღებდნენ. მას გვერდში სარა რისენი ედგა, "ოტოს" წარმომადგენელი, რომელმაც მისი კოლექციის პრეზენტაცია იტვირთა. თავად ბარბარა ცოტა ხნის წინათ ადის-აბებაში იყო, სულ მალე კი მაიამიში მიემგზავრება. "ნეტა, შემდეგი გზა საით წაგვიყვანს?" იცინის ბარბარა.

ბეკერი მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის როდი დარბის საყიდლებზე. ეს მისი ახალი საქმის – დიზაინერობისა და "ოტოს" წარმომადგენლობისთვის აუცილებელი პროცესია. გარდა იმისა, რომ ტელეგადაცემა ჩინებული რეკლამა იქნება, ის ბაზრობებსა და მეორადი საქონლის მაღაზიებში ისეთ ნივთებს ეძებს, რომლებიც მას სამკაულების ესკიზების გაკეთებაში დაეხმარება და შთაგონებას შეჰმატებს.

თავად ბარბარა ბეკერი ვეგეტარიანელია, ცოტას მიირთმევს, მაგრამ ყოველთვის ყველას საჭმლის ფულს იხდის. ის მიმტანს უამრავ ფულს უტოვებს ხოლმე, ორჯერ მეტს, ვიდრე საჭიროა. "ყველამ კარგად უნდა იგრძნოს თავი," ამბობს ის, და ასეც ხდება: ბარბარა ბეკერთან ყველა კარგად გრძნობს თავს, და არამარტო მის მიერ გაცემული ფულის გამო.

ერთი ქუჩის სათამაშო მოედნის კუთხეში ბარბარა შეჩერდა. "ერთი წამით დამელოდეთ, კარგად უნდა ვნახო," - მისთვის მართლაც საინტერესო სანახაობაა: რვა საქანელაზე ჩამოსკუპებულ რვა ბავშვს რვა მამაკაცი ახლავს, დედები არ ჩანან. "საოცარია," ამბობს ბარბარა.

2001 წელს გერმანიის ყველაზე ცნობილი ჩოგბურთელი, ბორის ბეკერი, თავის მეუღლეს გასცილდა. მას შემდეგ ბარბარა გერმანიის ყველაზე ცნობილი "ყოფილი ცოლი" იყო. თუმცა, სხვა ქალებისგან განსხვავებით, ამის გამო ბარბარა არ გაბოროტებულა. მისი თქმით, ის ბეკერს თავის ყველაზე დიდ ქონებას – ორ ვაჟს უმადლის, და თან ბევრად უკეთაც მისდის საქმე, ვიდრე მრავალ სხვა მიტოვებულ ქალს. შვილებზე ზრუნვას ის თავის კარიერასაც ჩინებულად უთავსებს.



მედიტაცია. ბარბარა ბეკერი

სამკაულების დიზაინერი ბარბარა ბეკერი უკვე გარკვეული აღიარებით სარგებლობს, და ეს არამარტო მისი ყოფილი მეუღლის სახელის, არამედ ბარბარას ნიჭის დამსახურებაცაა. ამჟამად ის უკვე მანუფაქტურის ძიებაშია, რადგან შეკვეთებს მარტო ველარ უმკლავდება – ბუტიკებში ყოველდღიურად მისი უამრავი მძივი იყიდება.

ამგვარად, ახალგამოჩეკილი და უკვე სახელოვანი დიზაინერების, კლაუდია შიფერის, ვერონა ფელდბუშის და ჰაიდი კლუმის რიგებს ბარბარა ბეკერიც შეემატა. გერმანელები ყოფილ რძალს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, რაზეც ბეკერს მხოლოდ ეცინება და ამბობს: "ვნახოთ, რას იზამენ. შემეშველონ, და შემდეგ ჯერზე მე გადავიხდი".

# შვილობილი 9 ათას დოლარად

კამბოჯაში პატარა ბიჭის აშვილება მსახიობ ანჯელინა ჯოლს 9 ათასი დოლარი დაუჯდა. სწორედ ამ თანხად შეაფასა თავისი სამსახური ამერიკელმა ქალმა, რომელმაც კამბოჯაში ახალშობილები ბიოლოგიური მშობლებისგან შეისყიდა, ისინი ობლებად აქცია და ყალბი ამერიკული ვიზებით მოამარაგა.

მომავალ კვირაში ლორინ გალინდო ამერიკის სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს. მას, როგორც მოსალოდნელია, წაუყენებენ ბრალდებებს თაღლითობისათვის, ვიზების გაყალბებისა და ფულის გათეთრების გამო.

The Age-ის მტკიცებით, ჯოლის ნაშვილები ბიჭი – ერთი ობოლთაგანია, რომლებზეც საკუთარმა მშობლებმა, გარკვეული თანხის გამო გალინდოს სასარგებლოდ უარი თქვეს. გამოცემის მონაცემების თანახმად, პატარა მედოკსი გალინდოს 100 დოლარი დაუჯდა, რომელიც მის ღატაკ დედას მისცა. "დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბავშვი არ იყო ნამდვილი ობოლი, იგი არ იყო მიტოვებული", - ამტკიცებს პროფესორი კეკ გალიბრუ, ერთ-ერთი პრესტიჟული უფლებებისდამცველი ორგანიზაცია Licadho-ს თავმჯდომარე. ჯგუფის მოხსენებამ კორუფციისა და აფრიკელი ბავშვების გაშვილების ბიზნესის შესახებ, აშშ აიძულა მორატორიუმი დაედოთ ობოლი კამბოჯელების შვილებაზე, FBI-მ კი "გატეხილი გულების" ოპერაციის ჩარჩოებში გამოძიება დაიწყო.

ბრიტანეთის პრესა ამტკიცებს, რომ ჯოლიმ იცოდა (მას ჰქონდა ყველანაირი საფუძველი იმისა, რომ ამას მიმხვდარიყო), რომ მედოკსი ობოლი არ იყო. გასული წლის დეკემბერში მან დაიქირავა ადვოკატთა რაზმი, რომლებიც ყველა კანონის საშუალებებით მედოკსის კამბოჯაში დაბრუნებას უნდა შეწინააღმდეგებოდნენ.

თავად ჯოლი ამტკიცებს, რომ "დედას შვილს არასდროს არ მოპარავდა". "შემიძლია მხოლოდ წარმოვიდგინო ეს საშინელი გრძნობა. მედოკსი ჩემი შვილია, იგი ყოველთვის ჩემთანაა და ვფიქრობ,



ანჯელინა ჯოლი

რომ მე მისთვის ბევრი რამის მიცემა შემიძლია. ახლა მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია", - ამბობს გაეროს კეთილი ნების ელჩი, ანჯელინა.

გალინდა ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა. იგი არასდროს არ ამბობს იმის შესახებ, რომ "გაშვილებითაა" დაკავებული, უპირატესობას ანიჭებს ტერმინს "საქველმოქმედო საქმიანობა". "მე იმისათვის არ მოვსულვარ, რომ ბავშვები მოვიპარო. მე მოვედი, რათა გარკვეული დახმარება გამეწია". ამერიკული ხელისუფლების მონაცემების მიხედვით, 9 ათასი დოლარის ნახევარი, ანუ "დახმარების" სტანდარტული საფასური, კამბოჯელი ჩინოვნიკების ქრთამი იყო. მის ბიზნესს, როგორც ჩანს ფესვები საკმაოდ ღრმად აქვს გადგმული: გალინდო ფეშენებელურ სახლში ცხოვრობს, ჰყავს "მერსედესი", საზოგადოებაში კი პირად დაცვასთან ერთად ჩნდება. The Age-ის მონაცემებით, მან რამდენიმე ასეულ ამერიკელს "გაუწია დახმარება".

## სკანვორდი



## TV პროგრამა

10 იანვარი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.15** სერიალი "ლისი და კლარკი" **10.30** მულტფილმი "კონკია" **12.20** მხ. ფილმი "ელექტრონიკის თავგადასავლი" **13.30** მხ. ფილმი "დიდი" **15.20** დოკ. ფილმი "ველური სამყაროს ამბები" **16.20** მხ. ფილმი "ინდიანა ჯონსი" **18.00, 21.00** კურიერი **18.20** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **18.50** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი 3" **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": "ბოლი". მხ. ფილმი რეჟ. უენ-უნგი. **02.00** მხ. ფილმი "მატრიცა". მთ. რ-ში: კიანუ რივზი, ლორენს ფიშბერნი.

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი "შერეკილები არდადეგებზე" **09.45** კრიმინალური ქრონიკა **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** დოკ. ფილმი "საქსონიის ნაკრძალი" **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** მხ. ფილმი "რაც არ გერგება, არ შეგერგება" **16.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.00** საწინდარი **17.30** ასე ვცხოვრობთ **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.35** ცაიტნოტი **22.00** ფორტუნა **22.40** პროფათეული **23.15** ამბობენ **23.50** მოამბე **00.00** მხ. ფილმი "შურისმაძიებლები-თამაში ორისთვის" **01.30** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი "სინდბადი ზღვაოსანი". ანიმაციური ფილმი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "ჩრდილზე სწრაფად" მთ. რ-ში ჯო მანტენია, მარშა გაი ჰარდენი. **01.50** "ღამურა" "მოჩვენებებზე მონადირე" მთ. რ-ში ჯეიმს სპეიდერი, ჯანინ ესერი. **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "გაქცევა საქათმიდან" **10.15** საბ. სერიალი "დინოტოპია" **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** საფეხბურთო მიმოხილვა **12.30** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 21.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "შოკის შემდეგ" **19.00** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **20.45** მხ. ფილმი "დაქირავებული მკვლელი" (ჯეტ ლი) **22.30** მხ. ფილმი "მულენ რუჟი" (ნიკოლ კიდმანი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი **19.25** ბენი ჰილი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** მიზანი **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი "წითელი მზე"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "შვიდი წელი ტიბეტში" **14.20** მხ.ფილმი "სეიფების მძარცველი" **16.30** მხ.ფილმი "დამოუკიდებლობის დღე" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "არც ცოცხალი, არც მკვდარი" **22.30** მხ. ფილმი "თოვლის კაცი" **00.20** მხ. ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე"

### იბერია

**08.00** ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "ჟანა დარკი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.50, 18.30, 21.55, 02.30** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **17.20** მუსიკა **18.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი "ინგლისელი ქალი და ჰერცოგი"

### მეცხრე არხი

**08.05** მხ. ფილმი "რა სურს გოგონას" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ბაზა" **13.15, 16.20, 17.50, 22.00** მუსიკა **13.30** დოკ. ფილმი "ფურცლები საბ. შაქ. ისტ." **14.00** მულტფილმი "სიმბა, მეფე ლომი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ზამთრის ალუბალი" **16.35** დოკ. სერიალი "ველური ვარსკვლავები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **17.50** "ტელემეტრი" **18.00** მულტფილმი "სიმბა, მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" მე-3ნ. **21.15** მხ. სერიალი "საფრთხის ზღვარს მიღმა" **22.20** "ტელემეტრი"- ფასტფუდი, ჩრდილები. **22.30** "ოლიმპი" **22.50** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "პირადი მცველი"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.05** ანიმაციური სერიალი "კამელოტი" 1-ლი ნ. **10.30** მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** "თემა" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია - ფენიქსი-საკრამენტო **17.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს იდუმალი ადგილები" **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" მე-12ს. **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **01.30** იმედის მელოდიები

### არხი

**08.00, 14.00, 18.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი 8.40 მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **09.20** სათავგადასავლო ფილმი "მეათე სამეფო" **10.45** მუსიკა **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.20** ბოევიკი "თოვლით დაბრმავება" **14.05** ბოევიკი "თოვლით დაბრმავება" (ფილმის გაგრძელება) **14.30** კომედია "მეექვსე ელემენტი" **16.20** მულტფილმი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" **17.00** მუსიკა **17.10** ბოევიკი "ჯაშუში ვარ" **18.05** ბოევიკი "ჯაშუში ვარ" (ფილმის გაგრძელება) **18.50** მუსიკა **19.30** "ჭიტა-ჭიტა" **19.40** დოკუმენტური ფილმი **20.20** ვესტერნი "ამერიკელი ბოროტმოქმედი" **21.55** მუსიკა **23.00** Слово (ავტორი თ.დუმბაძე) **23.40** მუსიკა **00.40** მუსიკა **01.00** თრილერი "ბოროტების ბინადარი" **02.40** მუსიკა **03.40** კომედია "მამაკაცები უპირატესობას ქერათმიანებს ანიჭებენ" **05.10** დოკუმენტური ფილმი

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10** Ералаш **07.20 Худ.фильм "Опасный возраст" 09.00** Сериал "Твинисы" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** Смак **11.30** Возвращение домой **12.10** Дог-шоу **13.10** История с географией **13.50** Путешествия натуралиста **14.20** Умницы и умники **15.00** Мультсериал "Тимон и Пумба" **15.20** Сати **15.50 Худ.фильм "Полицейский по найму" 17.30 Худ.фильм "Девушка без адреса" 19.10** Концертная программа **22.00** Время **22.25 Худ.фильм "Доказательство жизни" 00.40 Худ.фильм "Гремлины 2. Скрытая угроза" 02.30 Худ.фильм "Прерванная жизнь" 04.30 Худ.фильм "Уличный боец"**

### РТР

**06.50 Худ.фильм "Вечерний лабиринт" 08.00** Сериал "Академия колдовства" **08.45** Золотой ключ **09.05** Русское лото **09.35** Мультсериал "Том и Джерри" **10.05** Большая перемена **10.35** Городок. Дайджест **10.55** Утренняя почта **11.25** Не скуЧАЙ! **12.20** Сам себе режиссер **13.15** Крутой маршрут - Юг **14.05** В поисках приключений **15.00, 21.00** Вести **15.20 Худ.фильм "Земля Санникова" 17.00 Худ.фильм "Картуш" 19.00** М. Евдокимов "Смех, да и только!" **21.25** Аншлаг **22.20 Худ.фильм "Супертеща для неудачника" 00.15 Худ.фильм "Гудзонский ястреб" 02.00 Худ.фильм "Наперекосяк" 03.45 Худ.фильм "За чертой"**

### НТВ

**07.15 Худ.фильм "Дарэмский бык" 09.00, 13.00, 17.00, 20.00** "Сегодня" **09.15** Сериал "Улица Сезам" **09.45** Сериал "Та-ра-рам!" **09.55** "Без рецепта". Доктор Бранд **10.30** "Обозреватель" **11.00** "Кулинарный поединок": Валерия - Писанка" **11.50** "Квартирный вопрос": сани накрыты, лыжи поданы!" **12.55** Спорт "Лото 6 из 49" **13.15** Экспедиция Т. Баженова "Дикий мир: красная вдова" **14.00 Боевик "За шкуру полицейского" 16.00** "Вкусные истории" **16.05** "Своя игра" **17.20** "Женский взгляд". Л. Лужина **17.45 Сериал "Коллекция Даниэлы Стил: Княжна Зоя", 1 с. 19.30** "Петербург от А до Я", 9 с. **20.35 Комедия "Президент и его внучка" 22.35** "Дедушки по вызову, или Посторонним вход... разрешен" **00.35** "Ночные музы" **01.00** "Стиль от..." Р.Литвиновой **01.10** "Просто цирк" **01.35** "Про дизайн"

# "ბეჭდების მბრძანებელი" ლონდონში



ლივ ტაილერი ფილმის მსოფლიო პრემიერაზე ახალ ზელანდიაში

REUTERS

ამხელა ინტერესი ლონდონის მეცნიერების მუზეუმისკენ, ალბათ, არასდროს ყოფილა მიპყრობილი. იქ "ბეჭდების მბრძანებლის" გრანდიოზული გამოფენა მიმდინარეობს, რომელიც შაბათ-კვირას დაიხურება, მაგრამ სტუმრების ცნობისმოყვარეობის სრულად დასაკმაყოფილებლად ბოლო ორ დღეს შუაღამემდე იმუშავებს.

შოუ უკვე ნახა 236 ათასმა სტუმარმა. გუშინ ლონდონში საგანგებოდ ჩაფრინდა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი ჰელენ კლარკი, რომელსაც პირადად სურდა მადლობის გადახდა გამოფენის ორგანიზატორებისთვის. გამოფენა, რომლის გაკეთებაც 750 ათასი დოლარი დაჯდა, ლონდონის შემდეგ სინგაპურს, ბოსტონსა და სიდნეისაც მოივლის.

ლონდონის საგამოფენო დარბაზიდან გამოსული სტუმრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ შოუ ყოვლისმომცველია. წარმოდგენილია ნაწყვეტები ფილმებიდან, დეტალურადაა აღწერილი სცენების, მონსტრების, კოსტუმების შექმნის პროცესი და ისიც, თუ როგორ იდგმებოდა მასობრივი ბრძოლის სცენები. ასე რომ, ტოლკიენის ტრილოგიის თაყვანისმცემლები ექსპოზიციას დიდი ინტერესით აწყდებიან.

## სად არის ჩილდო

"სად არის ნემო" – ფილმი, რომლის ნახვის საშუალებაც კინო-თეატრ "რუსთაველში" ქართველ მაყურებელსაც აქვს, "ენის" დაჯილდოების ცერემონიალზე 12 ნომინაციაზეა წარდგენილი.

"ენის" წელს, 7 თებერვალს 31-ედ გასცემს ანიმაციური ფილმების საერთაშორისო საზოგადოება და ამით კიდევ ერთხელ გამოყოფს ანიმაციის წლის საუკეთესო ნიმუშებს ფილმიდან, ტელევიზიიდან, რეკლამიდან და სხვა მცირე ვიდეო-რგოლებიდან.

"სად არის ნემო" წარდგენილია საუკეთესო ანიმაციური ფილმის, საუკეთესო რეჟისურის, მუსიკის, დიზაინის, კოსტუმის დიზაინისა და გახმოვანების (ელენ დენეჯერესი ახმოვანებს დორის) ნომინაციებზე. საუკეთესო ანიმაციური სურათის პრიზზე "ნემოს" ეცილება "ძმა დათვი" (შვიდი ნომინაციით), "ლუნი თიუნზი", "ათასწლეულის მსახიობი" და "ბელვილის ტყუპები". ტელევიზიის განხრით კი ერთმანეთს ეჯიბრებიან "მართლაც უცნაური მშობლები", "სამურაი ჯეკი", "სიმპსონები" და "კაციობობას ანიმაციური სერიები".

## ჯიმ კერი უმდიდრესია

კომპანია "ქუიგლი ფაბლიშინგი" ყოველწლიურად ატარებს კვლევას და წლის ყველაზე შემოსავლიანი ვარსკვლავების სიას ადგენს. წელს პირველ ადგიზლე ჯიმ კერი ლიდერობს, მეორე ადგილზეა ნიკოლ კიდმანი, მას მოჰყვებაიან ჯეკ ნიკოლსონი, ტომ კრუზი, ჯულია რობერტსი, ჯონი დეპი, რასელ ქროუ, ტომ ჰენქსი, უილ ფერელი და რენე ზელვეგერი.

"ქუიგლის" გამოკითხვა 1932 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ტარდება. ვარსკვლავების შემოსავალს კინო-თეატრების სალაროების მონაცემებით ითვლიან. წელს გამოვლინდა ის ორი მსახიობიც, რომლებიც სავარაუდოდ 2004 წელს გახდებიან ყველაზე მდიდრები. ესენი გახლავთ: ეშტონ კუჩერი და სკარლეტ იოჰანსონი.







**გვესაჭიროება !**

ინგლისურის და კომპიუტერის მცოდნე

**ფარმაცევტები და ექიმები.**

**ტელ: 95 90 60, 899 166897**







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.